PRIME Time

N21 (322) ორშაბათი, 1 ივნისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ოდესის ექსკლუზიური დეტალები

რა თამაში წამოიწყო სააკაშვილმა

ვის წინააღმდეგ დასჭირდა ის პოროშენკოს

EXCLUSIVE სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტად იყრის კენჭს

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

ოლიმპიური ცეცხლი უკვე საქართველოშია

სკანდალური ინტერვიუ

ქართველი დიპლომატის შვილი პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიით ბრალდებულია ეჭვმიტანილი

„არავისთან არ მქონია სექსი კანონდარღვევით... “

ამერიკაში ძებნილი ალექსანდრე სუმბაძე თბილისშია

EXCLUSIVE

„სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასშტაბური ონკოლოგიური ცენტრი გახსნა

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

საქართველოში დასაკრავი ნარკოტიკი გამოჩნდა

„პლასტირის დაფიქსირება თითქმის შეუძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სკანირებისას

SCANDAL

პრეზიდენტის რეზიდენცია სამუზეუმო ექსპონატებისთვის შესაფერისია

„არის ნაწილი მუზეუმებისა, რომლებიც მართლაც იმყოფებიან ავარიულ მდგომარეობაში“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართულ ბაზარზე ახალი ნარკოტ

ირაკლი მამალაძე

ოპიუმის პლასტირი – ახალი ნარკოტიკი, რომელიც საქართველოში ე.წ. შავ ბაზარზე უკვე გამოჩნდა, რითიც სამართალდამცავებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ, ნარკომომხმარებლებს კი – 100-პროცენტიანი ოპიუმის ჯგუფის შემცველი ნარკოტიკი ორიგინალური შეფუთვით. ოპიუმის პლასტირები, შეიძლება ითქვას, ბოლო გამოძახილია ნარკობიზნესში, რადგან მსგავსი დახვეწილი მეთოდით ნარკოტიკით გაბრუება ნამდვილი „ნოუ ჰაუა“. როგორც ირკვევა, ევროპულმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა შთამბეჭდავ მეთოდს მიაგნეს, რომლის მიზანია, პრეპარატი უმტკივნეულოდ, ინექციას გარეშე მოხვდეს ორგანიზმში. კერძოდ, თუ აქამდე მორფინს ინტრავენური გზით, ანუ შპრიცით მოიხმარდნენ, პლასტირის შემთხვევაში საინექციო საშუალებები საჭირო აღარ არის.

ნარკოლოგების ინფორმაციით, პლასტირი გაჟღენთილი და დამუშავებულია ქიმიურად. ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის პლასტირს მომხმარებელი ერთი ხელის მოძრაობით იკრავს სხეულზე, კერძოდ, მხარზე და პრეპარატი რამდენიმე წუთში ორგანიზმში შეიწოვება, რაც იწვევს ნარკოტიკულ ზემოქმედებას. ოპიუმის პლასტირებს უკვე აქტიურად მოიხმარენ ესპანეთში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. პლასტირები აფთიაქებში რეცეპტით გაიცემა და წარმოდგენილია, როგორც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტური საშუალება. ძირითადად გათვლილია ონკოდაავადებულ პაციენტებზე, თუმცა პრეპარატმა უკვე მიიპყრო ნარკომომხმარებლების ყურადღება და შავ ბაზარზე პლასტირზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. ოპიუმის ახალმა შეფუთვამ თავსატეხი გაუჩინა სამართალდამცავებს, რადგან პლასტირის დაფიქსირება თითქმის შეუძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სკანირებისას და ამის გამო მისი ქვეყანაში შემოტანა კონტროლს თითქმის არ ექვემდებარება. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, რა ინსტრუქციებით ხელმძღვანელობენ ქართველი სამართალდამცავები აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების დაფიქსირებისა და ამოღებისას. ნარკოლოგები კი განმარტავენ, რომ ქვეყანაში პლასტირის შემოტანა მარტივია. რა რაოდენობით ფიქსირდება აღნიშნული ნარკოტიკის საქართველოში შემოდინება და რა მეთოდით მოიხმარენ მას, ევროპელებისგან განსხვავებით, ქართველი ნარკომომხმარებლები? „პრაიმტაიმს“ ესაუბრა ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ხათუნა თოდაძე.

„კვალს არ ტოვებს და ამიტომაც ძალიან წარმატებით გამოიყენება მედიცინაში“

– ქალბატონო ხათუნა, რა შეგიძლიათ თქვათ ნარკოტიკზე, რომელიც ძალიან დახვეწილი ფორმით გამოჩნდა ევროპულ ბაზარზე და მან უკვე საქართველოშიც შემოაღწია?

– ეს ნამდვილად სიახლეა, არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ უკვე ჩვენთანაც გამოჩნდა შავ ბაზარზე. რეალურად, ამ წებოვანი პლასტირების გამოყენება ევროპაშიც ახალი დაწყებულია. ეს არის მედიკამენტის ორგანიზმში შეყვანის ე.წ. აპლიკაციური მეთოდი. მკლავზე მიკრული პლასტირის საშუალებით შედის მედიკამენტი ორგანიზმში, თანაც ეს პლასტირი ისეა გაკეთებული, თვითონ ფორმა, რომ შესაძლებელია დარეგულირდეს დრო, რა პერიოდის განმავლობაში უნდა შევიდეს პრეპარატი ორგანიზმში.

– პლასტირი მოხმარების შემდეგ ქრება?

– არა, უბრალოდ, ეს ქიმიურად არის დამუშავებული, მასზე არსებული ნივთიერება შეიწოვება ორგანიზმში. ეს არის დახვეწილი მეთოდი. წამლის მიღება ამ ფორმით ეფექტურია და მედიკამენტი დანაკარგის გარეშე შედის ორგანიზმში. გარდა ამისა, არც კვალს ტოვებს და ამიტომაც ძალიან წარმატებით გამოიყენება მედიცინაში.

– რომელ ნარკოტიკულ საშუალებებს შეიცავს პლასტირები?

– მორფინს, ფენტალინს, ძირითადად ოპიუმის ჯგუფის ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერებების პლასტირები არსებობს. ეს არის ტკივილის სინდრომის გაყუჩების მიზნით, მაგრამ ძალიან მარტივად ხვდება შავ ბაზარზე და ნარკორეალიზატორების ხელში.

– საქართველოში თუ იციან მისი მოხმარები წესები?

– სამწუხაროდ, ჩვენთან მისი მავნედ გამოყენება დაიწყეს. რა თქმა უნდა, მცირე რაოდენობით, მაგრამ ის მაინც გვხვდება შავ ბაზარზე. ჩვენთან ამ პლასტირებს არასწორი მეთოდით მოიხმარენ, არავინ არ იწებებს პლასტირს, ხდება მისი მოხარშვა და თხევადი ფორმით ინტრავენური გზით მოხმარება.

– რამდენად სახიფათოა მისი ამ გზით მოხმარება?

– ძალიან სახიფათოა, იგივე ზედოზირების თვალსაზრისით. ნარკომომხმარებელმა, რა თქ-

„წამლის მიღება ამ ფორმით ეფექტურია და მედიკამენტი დანაკარგის გარეშე შედის ორგანიზმში“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...იკი გამოჩნდა



„ეს ნარკოტიკული საშუალებაა და მისი შემოტანა, ჩვეულებრივ, დასჯადია“

მა უნდა, წინასწარ არ იცის ნარკოტიკული ნივთიერების რა დოზაა მოთავსებული პლასტირზე, აგრეთვე, არის საშიშროება, რომ ორგანიზმში, ნარკოტიკთან ერთად, სხვა ქიმიური ნივთიერებიც მოხვდეს, რომელიც დატანილია პლასტირზე. ასე რომ, ინექციით მისი გამოყენება სახიფათოა ჯანმრთელობისთვის.

– რა გზით შემოდის ეს ნარკოტიკი საქართველოში?

– ეს ნარკოტიკული საშუალებაა და მისი შემოტანა, ჩვეულებრივ, დასჯადია. მე არ ვარ ამის სპეციალისტი და არ ღირს ბოლომდე ჩემზე დაყრდნობა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე სკანერებით, რომლითაც აეროპორტებსა და საბაჟო პუნქტებზე ბარგს სინჯავენ, პლასტირის დანახვა თითქმის შეუძლებელია, რადგან ეს არის ჩვეულებრივი მატერია, რომელიც არაფრით გამოირჩევა. შეიძლება ვცდები და არსებობს რაღაც მეთოდები, რომელიც ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი შემოტანა, სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან განსხვავებით, გაცილებით მარტივად ხერხდება.

– ევროპაში ოფიციალური გზით როგორ ხდება შეძენა პლასტირის, რომლიც ძალიან ძლიერ ნარკოტიკულ ჯგუფს შეიცავს?

– ევროპაში ის იყიდება, აფთიაქებში რეცეპტის საშუალებით გაიცემა, როგორც სხვა ტკივილგამაყუჩებლები და ნარკოტიკული საშუალებები.

– მსგავსი ფორმის პლასტირები თუ გამოიყენება ჩანაცვლებით თერაპიაში, იგივე მეტადონის პროგრამაში, და თუ იგეგმება საქართველოში მისი შემოტანა?

– ზოგიერთ ქვეყანაში ჩანაცვლებით თერაპიაშიც გამოიყენება პლასტირები, თუმცა ეს არ არის ფართოდ გავრცელებული. ისეთ ქვეყნებშია დაშვებული, სადაც პაციენტებს ნაკლებად აკონტროლებენ. ჩვენთან ეს შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნებში, როცა თხევად მეტადონს ვაკონტროლებთ, რომ პაციენტმა არ გაიტანოს პირის საშუალებით, წარმოუდგენელია ჩანაცვლებით თერაპიაში პლასტირის გამოყენება.

ოპიუმის პლასტირის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მოხმარება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნარკოტიკის მოხმარების ეს დახვეწილი მეთოდი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სისხლის სამართლის კოდექსს გაექცეთ, რადგან ამ გზით მოხმარებული ნარკოტიკიც აისახება ადამიანის ორგანიზმში. შესაბამისად, სამართალდამცავებს მარტივად შეუძლიათ, დაადგინონ პლასტირის სახით მიღებული ნარკოტიკის ზემოქმედება.



„ევროპაში ის იყიდება, აფთიაქებში რეცეპტის საშუალებით გაიცემა, როგორც სხვა ტკივილგამაყუჩებლები და ნარკოტიკული საშუალებები“

რა მოთხოვნები ჰქონდა ზურაბ ჯაფარიძეს

რას ითხოვს გიორგი ვაშაძე და როგორია სააკაშვილის პოზიცია

ქეთი ხატიაშვილი

მთავარი ინტრიგა ჯერ ისევ რჩება, ჯერ ისევ გაურკვეველია, ვინ დაიკავებს ზურაბ ჯაფარიძის ადგილს „ნაციონალურ მოძრაობაში“. პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან წასვლის შემდეგ ვაკანსია გაჩნდა და როგორც ჩანს, ეს პარტიის შიგნით გარკვეულ მღელვარებას მაინც გამოიწვევს.

ერთი მღელვარება თუ შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანეს, არ არის გამორიცხული, ეს შემთხვევა სკანდალურად დასრულდეს.

მიხეილ მაჭავარიანის აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან წასვლის შემდეგ, ამ თანამდებობისთვის ზურაბ ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე იბრძოდნენ. მაშინ გიგი უგულავამ ვაშაძეს მერობის პრაიმერისში ჩართვა ურჩია და ვაშაძემაც პოზიციები დათმო. ზურაბ ჯაფარიძე აირჩიეს. ვისი ინიციატივა იყო ჯაფარიძის არჩევა ახლა ამაზე სხვადასხვა ვერსიებია. ზოგი ამბობს, რომ სააკაშვილის, ზოგიც ამ ინიციატივას ბოკერიას მიაწერს და ზოგიც – პალიკო კუბლაშვილს. თუმცა, ახლა ეს მნიშვნელოვანი აღარ არის.

მთავარი იყო ის, რაც მერე მოხდა, აღმასრულებელ მდივნად არჩეულმა ჯაფარიძემ შავი სია შეადგინა და ის ფიგურები შეიყვანა შიგნით, ვის გარეშეც წარმოედგინა მას პარტია. ამ სიაში, სხვებთან ერთად, მოხვდნენ თავად გიორგი ვაშაძე, გია ბარამიძე და ნუგზარ წიკლაური.

თუმცა, პარტიაში სერიოზული გადაადგილებები არ მომხდარა. პარტიიდან წასული ლიდერები სწორედ ამ მიზეზით ხსნიან მოძრაობის დატოვებას. თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა.

რაც შეეხება ვაშაძეს, საბოლოოდ ის მერობის გარეშეც დარჩა და უკრაინაში გადაინაცვლა.

გიორგი ვაშაძეს ახლაც აქვს აღმასრულებელი მდივნის პოსტის დაკავების ინტერესი. პარტიაში მას ისევ ჰყავს მოწინააღმდეგეები. არ გამორიცხავენ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში პარტიის კარი მანაც ხმაურით გაიხუროს.

სხვათა შორის, გაურკვეველია, რატომ არა აქვთ სხვებს სიმპათიები გიორგი ვაშაძის მიმართ. ის ენერგიულია, ემოციურიც, ძალიან კარგად შეუძლია ხალხის აყვანა, მათი დამუხტვა. თუმცა, ნაციონალების ელიტა მას რატომღაც ვერ ეგუება.

მაშინ სააკაშვილმა ის უკრაინაში წაიყვანა. თუკი პარტიაში ვაშაძეს კარს ისევ მიუხურავენ, შესაძლოა, ის ან პარტიიდან წავიდეს, ან ისევ უკრაინაში გაემგზავროს. სავარაუდოდ, ვისი ამბიციები პარტიაშიც „ვერ ჩაეტევა“, ოდესაში სააკაშვილის გუნდს შეავსებს.

ერთ-ერთ ვერსიად, ყველაზე რეალურ კანდიდატად ოთო კახიძე სახელდება.

მიხეილ სააკაშვილმა პარტიას ურჩია, ჯერჯერობით თავი შეიკავონ ახალი მდივნის არჩევისგან. როგორც ჩანს, მას კარგად ესმის, რომ ეს შეიძლება ახალი დაპირისპირების თემა გახდეს. სააკაშვილის აზრით, თავის დროზე მაჭავარიანის გადარჩევა არასწორი იყო.

ასეა თუ ისე, პარტია სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მან ახლა უნდა შეძლოს ერთიანობის შენარჩუნება. გიორგი ვაშაძისა და სხვების ინტერესების დაკმაყოფილება აქ, ან უკვე ოდესაში.

გიორგი ვაშაძე რომ ამ რაუნდსაც წააგებს, უკვე ცხადია. თუკი ზურაბ ჯაფარიძემ ვერ შეძლო პარტიის რებრენდინგი, ვაშაძის მცდელობებიც წარუმატებელი იქნება. არადა, ვაშაძე უკვე დიდი ხანია, ღიად საუბრობს ძველების პარტიიდან წასვლის აუცილებლობაზე.

თუმცა, სხვა საქმეა, რატომ წავიდა ოთხეული „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამ თემაზე ყველას თავისი პასუხი აქვს. ზოგი ფიქრობს, რომ ისინი მიხეილ სააკაშვილს დაუპირისპირდნენ, რომ სწორედ მისი წასვლა სურდათ პოლიტიკური სივრციდან. სხვათა შორის, სწორედ ამ ოთხეულის წასვლის შემდეგ დასთანხმდა სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობას. ამ თემაზე ოთხეულს კომენტარი არ გაუკეთებია.

სხვებისთვის ჯაფარიძე-კუბლაშვილი-მელაძე-ხაჩიძის პარტიიდან წასვლა ძველ სახეებთან დაპირისპირება იყო. დანარჩენებისთვის კი საქმეში დიდი ფინანსები ჩაერთო. ვისი ფინანსები? პასუხები აქაც სხვადასხვაა. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აშშ-ს მიერ ბავშვთა პორნოგრაფიით

ალექსანდრე სუმბაძის სკანდალური ინტერვიუ

ირაკლი მამალაძე

ბავშვთა პორნოგრაფიით ვაჭრობასა და საკუთარ მოსწავლებთან სექსუალურ კავშირში ეჭვმიტანილი ალექსანდრე სუმბაძე საქართველოს აფარებს თავს. „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა ძებნილთან. 26 წლის ალექსანდრე სუმბაძე საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში ერთი თვის წინ მოექცა. „washington post“ სამართალდამცველებზე დაყრდნობით წერდა, რომ კარატის ქართველი ინსტრუქტორი სპორტულ სკოლაში საკუთარ მოსწავლე ბიჭუნებთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა, რასაც ვიდეოკამერით იღებდა და ბავშვთა პორნოგრაფიით ვაჭრობდა. ქართველი არალეგალის სახლიდან ამოიღეს პორნოგრაფიული ვიდეომასალები. გამოცემა ვარაუდობდა იმასაც, რომ სუმბაძემ გაქცევა მოახერხა და ის საქართველოში გაემგზავრა. „პრაიმტაიმმა“ დაადგინა 26 წლის ინსტრუქტორის ადგილსამყოფელი. ბრალდებული საქართველოშია და მან „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს უპასუხა. ალექსანდრე სუმბაძე „washington post“-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ცილისმწამებლურს უწოდებს და გამოცემის წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. ის „washington post“-ს თბილისიდან პასუხობს. კარატის 26 წლის ინსტრუქტორი ამბობს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. „პრაიმტაიმთან“ ალექსანდრე სუმბაძე საკუთარ ვერსიაზე საუბრობს. პედოფილიაში ეჭვმიტანილი არ უარყოფს მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან სექსუალურ კავშირს, თუმცა ირწმუნება, რომ მისი პარტნიორები არასრულწლოვნები არ ყოფილან და არაც ძალდატანებას ჰქონია ადგილი.

ალექსანდრე სუმბაძე:

– ძალიან არ მინდა ამ ამბის გახსენება, რადგან ჩემმა ოჯახმა და ნათესავებმა უმძიმესი დღეები გამოიარეს. ამის გარდა, ჩემი ადვოკატები მუშაობენ ამ საქმეზე და რამდენად მაქვს უფლება ჟურნალისტთან საუბრის, არ ვიცი. შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ, რაც ვნახე და წავიკითხე, აბსოლუტურად ტყუილია ყველაფერი.

– ამერიკელი სამართალდამცველები აცხადებენ, რომ თქვენ დანაშაული აღიარეთ...

– არა, არ მიღიარებია. მე უბრალოდ ვიმყოფებოდი დაკითხვაზე და მათ შეკითხვებზე გავეცი პასუხი.

– იქნებ გვითხრათ, რა მოხდა? ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს ფაქტებს კარატეს სკოლაში, სადაც თქვენ ინსტრუქტორად მუშაობდით?

– არ არის სწორად დაწერილი და არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია. ეს თემა ააგორა მედიამ. სინამდვილეში კი სულ სხვა რაღაც მოხდა. მე უბრალოდ ვუფრთხილდები ჩემს ბიზნეს-პარტნიორებს და არ მსურს, სიღრმისეულად ვისაუბრო ამ თემაზე.

– თუ არაფერი მომხდარა, რატომ დატოვეთ აშშ და რატომ არ დაელოდეთ გამოძიების დასრულებას?

– მე არალეგალის სტატუსი მქონდა და სწორედ ამიტომ დავტოვე ამერიკა. ეს კიდევ სხვა პრობლემაა, რომელიც ამ სტატიის შემდეგ წარმოიქმნა.

– როგორც ამბობთ, ეს ფაქტები გამოგონილია. შეგიძლიათ გვითხრათ, რაში დასჭირდა „washington post“-ს მსგავსი ინფორმაციის გავრცელება?

– ამაზე ჩემი ადვოკატები მუშაობენ და ვაპირებ ჩივილს. შეერთებული შტატების კანონმდებლობით ცილისწამება დასჯადია და ვაპირებ ვიჩივლო, რადგან, რაც იქ წერია, არ არის მართალი და ეს უკანონობაა მათი მხრიდან.

– თქვენ საერთოდ უარყოფთ იმ ინფორმაციას, რაც მედიაში გავრცელდა?

– არა, უბრალოდ, სხვა კუთხით წარმოაჩინეს. პირადად მე ბავშვებთან არანაირი სექსუალური კავშირი არ დამიმყარებია. ეს არის სიცრუე.

– საერთოდ არ ჰქონია ადგილი ასეთ ფაქტებს კარატეს სკოლაში?

– არ ვიცი, მე სხვებზე ვერ ვილაპარაკებ. რაც შემეხება მე, შემიძლია გითხრათ, რომ იყო გაურკვევლობა. იყო შემთხვევა, როცა ერთხელ გვიან ღამე მივედი სკოლაში, ცოტა ხანს დავრჩი ერთ ადამიანთან ერთად, ბიჭთან, და პრობლემა ის გახლავთ,

წყნეთში სუპერმარკეტი „სმარტი“ და „დანკინ დონატსის“ რესტორანი გაიხსნა

„ვისოლჯგუფმა“ წყნეთში ყველაზე დიდი სუპერმარკეტი „სმარტი“ და „დანკინ დონატსის“ პირველი რესტორანი გახსნა. საზეიმო ლენტი „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ ვაკის რაიონის გამგებელთან, ლაშა აბაშიძესთან ერთად გაჭრა. „დანკინ დონატსის“ პირველი ასი მომხმარებელი უფასო დონატებით დასაჩუქრდა. 28 მაისიდან 8 ივნისამდე ადგილობრივი მომხმარებელი „სმარტში“ ყველა პროდუქტზე 10%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს.

„ვისოლჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარება ახალ ფაზაში შედის. წყნეთში „სმარტისა“ და „დანკინ დონატსის“ ობიექტები გამოირჩევა თავისი ერგონომიკით და თითოეული დეტალი მომხმარებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის სიტყვა „ხარისხი“. მომსახურების ხარისხის სრულყოფისთვის „სმარტი“ წყნეთში 24 საათი იმუშავებს და ერთ სივრცეში განთავსებული სუპერმარკეტი პირველადი მოხმარების პროდუქტებით, მზა კერძებით, ყოველდღიურად ახალი ხორცით, პურ-ფუნთუშეულით, საკონდიტრო ნაწარმითა და ექსკლუზიური ევროპული პროდუქტებით, მსოფლიოში ცნობილ „დანკინ დონატსის“ ყავის პროდუქტებთან, ყოველდღიურად ახალი ინგრედიენტების გამოყენებით დამზადებულ და განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით გამორჩეულ სენდვიჩებთან და 28 სახეობის დონატებთან ერთად, მომხმარებელს ახალ ობიექტზე სტუმრობას სასიამოვნო გამოცდილებად უქცევს“, - განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.

„ვისოლ ჯგუფის“ სუპერმარკეტებისა და ამერიკული რესტორნების ქსელების ახალ ობიექტებზე 100-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა.

„ვულოცავ წყნეთელებს და „ვისოლ ჯგუფს“, იმიტომ რომ მსგავსი ობიექტების გახსნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია. 100-მდე ადგილობრივმა მოსახლემ გაიარა ინტენსიური ტრენინგი და დასაქმდა“, - განაცხადა ვაკის რაიონის გამგებელმა ლაშა აბაშიძემ.

წყნეთის „დანკინ დონატსის“ რესტორანში განთავსდა „ვენდის“ კიდევ ერთი „Frosty Corner“-ი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა არომატისა და ინგრედიენტების გამოყენებით შექმნილი 25-ზე მეტი სახეობის ნაყინი, შეიკები და ნაყინზე დამზადებული პროდუქტები.

„სმარტი“ გამორჩეულია ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტის ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანდარტებით. „ვისოლჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, საბურთალოზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, გორში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

„ვისოლჯგუფმა“ ამერიკული რესტორნების უმსხვილეს ოპერატორთან „დანკინ დონატსთან“ ფრანჩაიზინგის ექსკლუზიურ ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა. წყნეთის ობიექტი „დანკინ დონატსის“ უკვე მეხუთე რესტორანია, რომელიც მოკლე დროში ყველასათვის საყვარელ თავშეყრის ადგილად იქცა. „ვისოლჯგუფი“ 2015 წლის ბოლომდე საქართველოში 15 „დანკინ დონატსის“ რესტორანს გახსნის და კიდევ 500-მდე ადამიანს დაასაქმებს. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვაჭრობაში ეჭვმიტანილი თბილისშია

კარატეს ინსტრუქტორი „washington post“-ს უჩივის

EXCLUSIVE

„შეერთებული შტატების კანონმდებლობით ცილისწამება დასჯადია და ვაპირებ ვიჩივლო, რადგან, რაც იქ წერია, არ არის მართალი და ეს უკანონოზაა მათი მხრიდან“

რომ, რადგან ვერ დაადგინეს მისი ასაკი, ამიტომ დამკითხეს, მაგრამ ეს ადამიანი არც ჩემი სტუდენტი იყო, არც არასრულწლოვანი და არც დაძალებით ყოფილა რამე. ეს იყო შეთანხმებით სრულწლოვანთან, თან ისეთ პერიოდში, როცა იქ სტუდენტები არ იმყოფებოდნენ, მარტო ჩვენ ვიყავით. ეს იყო 20 წლის ბიჭი და, უბრალოდ, ადგენდნენ, ვინ იყო.

– და ეს კადრები საიდან მოხვდა სამართალდამცველების ხელში?

– ეს კადრები იყო ჩემთან სახლში. სიმართლე გითხრათ, არც მახსოვდა და როცა გაჩხრიკეს, ამოიღეს და ნახეს. კადრები ნამდვილად ამოიღეს, ეს სიმართლეა, უბრალოდ, რაც იმ კადრებშია, არ ყოფილა ძალდატანებით და არც არასრულწლოვანთან.

– „washington post“-ის სტატიაში საუბარია ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველ ვიდეომასალებზე და ამით ვაჭრობაზე, ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?

– ის კადრები, რომელიც ჩემი სახლიდან ამოიღეს, არ ყოფილა არსად, ის იყო ჩემს კუთვნილებაში და ეს არ ყოფილა ჩემს სტუდენტთან, არც დაძალება იყო. ეს იყო შეთანხმებით და არანაირი გაყიდვა და საიტებისთვის გადაცემა არ მომხდარა. მაგ თემაში დანაშაული არანაირად არ არის.

– ანუ, რომ დავაზუსტოთ, თქვენი სახლიდან ამოღებული ვიდეომასალებიდან პოლიციამ ვერ მოახერხა ადამიანების იდენტიფიცირება და მათი ასაკის დადგენა. მხოლოდ ეს გახდა საფუძველი, რომ პედოფილიაში დაგდეს ბრალი?

– დიახ, ეს იყო გაურკვევლობა და როგორც ვიცი, ახლა უკვე მოხდა იმ ხალხის ამოცნობა.

– რა შეგიძლიათ თქვათ თქვენს ბიზნესპარტნიორებზე და სხვა ინსტუქტორებზე? ისინიც ფიგურირებენ ამ საქმეში?

– მათზე ვერაფერს გეტყვით. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი სიტუაცია შეიქმნა. მე ამ საქმეში ბიზნესპარტნიორებიც მყავდა და შეიძლება ითქვას, მათი ინტერესების დასაცავად წამოვედი. მათ მომცეს პირობა, თუ წამოვიდოდი და ამერიკას დავტოვებდი, ეს საქმე არ ამოტივტივდებოდა არანაირ დონეზე. ჩემი ბიზნესი რომ არ დაზარალებულიყო, ავდექი და წამოვედი. მართალია, ჩემი ცხოვრება, შრომა წყალში გადავყარე, მაგრამ რას ვიზამ, რაც მოხდა, მოხდა.

– თქვენმა ბიზნესპარტნიორებმა აშშ-ს დატოვებამდე მოგცეს გარანტიები, არადა თქვენი საქართველოში გამომგზავრების შემდეგ გახმაურდა ეს საქმე. რაში დასჭირდათ, ასე რომ მოგექცნენ?

– კი, მე რომ ჩამოვედი, ამის მერე იყო და ეს თემა მთლიანად მედიამ წაიღო. პოლიციასთან პრობლემა თითქმის არ მქონია, უბრალოდ დამკითხეს. რაც ითქვა, სიმართლე არ არის, მე არავისთან არ მქონია სექსი კანონდარღვევით.

– როცა საქართველოში ჩამოხვედით, აქ თუ დაგკითხეს სამართალდამცველებმა?

– არა, აქ პოლიცია არ მოსულა, ჩვეულებრივად ვცხოვრობ.

– რამდენი წელი ცხოვრობდით ამერიკაში და რა საქმიანობას ეწეოდით?

– საქართველოდან დაახლოებით 20 წლის წინათ წავედი. ვვარჯიშობდი, ვსწავლობდი, დავამთავრე უნივერსიტეტი... როგორც გითხარით, მქონდა ჩემი ბიზნესი – კარატეს სკოლა. ჩემს პარტნიორებთან ერთად ავწყვე ეს საქმე და რომ არა ეს სამწუხარო ამბავი, ალბათ, გავაგრძელებდი მუშაობას, მაგრამ ასე მოხდა და ველარაფერს ვიზამ.

– რას აპირებთ მომავალში? საქართველოში დარჩებით?

– ჯერ არ გადაგვიტანია ეს შოკი. იმედია, რამე უკეთესი მელოდება ცხოვრებაში. მინდა ყველაფერი თავიდან დავიწყო. იქაური უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული, ბიზნესის გამოცდილება და იმედია, ავაწყობ ცხოვრებას თავიდან.

26 წლის ქართველი ინსტრუქტორი, რომელიც სკანდალურ საქმეში ფიგურირებს, არ საუბრობს დანაშაულში ჩართულ სხვა პირებზე. თემაზე: იყვნენ თუ არა სხვა ინსტრუქტორები დაკავებული არასრულწლოვნებთან მსგავსი ქმედებით და ვაჭრობდნენ თუ არა ბავშვთა პორნოგრაფიით, ალექსანდრე სუმბაძემ საუბარი არ ისურვა და განაცხადა, რომ გამოძიების დასრულებას დაელოდება. რაც შეეხება „washington post“-ის მიერ მომზადებულ სტატიას, ირკვევა, რომ ეჭვმიტანილს ჰქონდა სექსუალური ხასიათის ურთიერთობა მოზარდ ბიჭებთან, ამ ყველაფერს ვიდეოზე იღებდა და, სავარაუდოდ, ავრცელებდა კიდეც.

ალექსანდრე სუმბაძე კარატეს ინსტრუქტორად მუშაობდა შეერთებული შტატების დედაქალაქის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქ ბეთესდაში. ამერიკული მედიის ინფორმაციით, სუმბაძესთან ერთად ვიდეოში, სავარაუდოდ, მისი მოსწავლეები ჩანან და გადაღებაც კარატეს დარბაზში ხდებოდა. პოლიცია არ აკონკრეტებს ინფორმაციას, მაგრამ ირკვევა, რომ მოზარდებმა, რომლებიც ვიდეოში ჩანან, სავარაუდოდ, იცოდნენ, რომ მიმდინარეობდა გადაღება.

კარატეს კლუბი, სადაც სუმბაძე მუშაობდა, ქალაქ ბეთესდაში, ვისკონსინის გამზირზე მდებარეობს. გამოძიება ამ საქმეზე შარშან დეკემბერში დაიწყო. ადგილობრივ პოლიციას სამხრეთ დაკოტას შტატის პოლიციამ შეატყობინა, რომ ქალაქ ბეთესდადან ვიღაცამ ინტერნეტში საბავშვო პორნოგრაფია ატვირთა. პოლიციამ იცოდა ვიდეოს გამავრცელებლის აი-პი მისამართი.

ამ შეტყობინების შემდეგ დეტექტივებმა მიიღეს სასამართლოს ნებართვა და ამ აი-პი მისამართზე მოახდინეს ალექსანდრე სუმბაძის იდენტიფიცირება. 2015 წლის პირველ აპრილს სუმბაძე დაკითხვაზე დაიბარეს. პოლიციაში მან აღიარა, რომ მონაწილეობდა საბავშვო პორნოგრაფიით ვაჭრობაში – სავარაუდოდ, როგორც მყიდველი. ამ დღეს ის არ დაუკავეს, სამხილების უკმარისობის გამო.

ამის შემდეგ პოლიციამ მიიღო ბინის ჩხრეკის ნებართვა. ალექსანდრე სუმბაძის სახლიდან ამოღებულ ელექტრონულ მოწყობილობებში აღმოჩენილია რვა პორნოგრაფიული ვიდეოფაილი. პოლიცია მიიჩნევს, რომ სუმბაძე თავად იღებდა ამ ვიდეოებს და თავადვე მონაწილეობდა მათში.

ვიდეოში მონაწილე სხვა პირების იდენტიფიცირება ჯერ არ მომხდარა. შესაძლოა, ისინი კარატეს კლუბში სუმბაძის მოსწავლეები იყვნენ. არ არის გარკვეული მათი ასაკიც, ანუ უცნობია, იყვნენ თუ არა ისინი არასრულწლოვნები. გავრცელებული ინფორმაციით, კადრებით არ დგინდება არც ძალადობის ფაქტი. ამერიკელ პოლიციელებს მიაჩნიათ, რომ ვიდეო კარატეს კლუბში 2011 წლის ოქტომბრამდეა გადაღებული.

იყო თუ არა ალექსანდრე სუმბაძე ნამდვილად ჩართული ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებასა და არასრულწლოვნებთან სექსუალურ კავშირში, ამას გამოძიება დაადგენს. გავრცელებული ინფორმაციით, მას ბრალი წაყენებული აქვს ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობისა და გავრცელებისთვის. შეერთებულ შტატებში მსგავსი დანაშაული მინიმუმ ათწლიანი პატიმრობით ისჯება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის არსებობს ექსტრადირების ხელშეკრულება. რაც არ გამორიცხავს ბრალდებულის ამერიკული მხარისთვის გადაცემას.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ალექსანდრე სუმბაძის ბიოგრაფიიდან – ის დაახლოებით 20 წლის წინათ შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად მშობლებმა წაიყვანეს. ალექსანდრე სუმბაძე ცნობილი დიპლომატის შვილია. მამამისი, დავით სუმბაძე, 1994-2006 წლებში შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში დესპანი იყო. ის ახლაც შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და რამსფელდის ფონდის პროგრამის დირექტორია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი ცოლის დაქალებში“ გიორგი გაბუნია ითამაშებს

მალე სერიალში - „ჩემი ცოლის დაქალები“ გიორგი გაბუნია გამოჩნდება. ტელეჟურნალისტმა შემოთავაზება სერიალის ფროდაქშენისგან როგორც კი მიიღო, მაშინვე დასთანხმდა. ჯერჯერობით უცნობია რა როლს შეასრულებს გიორგი.

მიშა მშვილდაძე:

- მოდით, ეს სიურპრიზად დავტოვოთ. გიორგის ჩვენს სერიალში სულ მალე, დაახლოებით ორ კვირაში იხილავს მაყურებელი. საინტერესო იქნება, ნიჭიერი ადამიანია და დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს.

სერიალის გულშემატკივრებს კი გავახარებთ, „ჩემი ცოლის დაქალები“ შემოდგომიდან ისევ გაგრძელდება. მისი შემქმნელები გვპირდებიან, რომ ჩვენთვის ძველებურად რეიტინგულ პროდუქტს შექმნიან.

„კონტრაქტი ჯერ არ გვაქვს, მაგრამ რეალური შეფასებით შემდეგი სეზონი გვექნება. ვმუშაობთ იმაზე, რომ სერიალი გავხადოთ კიდევ უფრო საინტერესო, კიდევ უფრო რეიტინგული და კარგი. რეიტინგით ძალიან კმაყოფილები ვართ. წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი წარმატებულია. ის უფრო რეიტინგულია, ვიდრე წინამორბედი.

- ამ სეზონის ამოჩემებული პერსონაჟი რომელია?

- იმდენი გმირია ამ სერიალში, მაყურებელი თვითონ ირჩევს საყვარელ პერსონაჟს. ზოგს დუდუ მოსწონს, ზოგს ანუკი და გიო, ზოგს ბაქარი და ასე შემდეგ.

მაკა შალიკაშვილი ბოშად იქცა

მსახიობ მაკა შალიკაშვილს შემოქმედებითად აქტიური პერიოდი უდგას. თეატრზე ვარ გადართულიო, გვითხრა. მარჯანიშვილის თეატრში „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზის მოსამსახურის როლს თამაშობს. ძალიან მოეწონა ბოშის როლი, რომელიც ილიაუნის თეატრში გოგა ქაჩიბაიამ მისცა. ჟან ბატისტ მოლიერის „სკაპენის ოინების“ პრემიერა 3, 4 და 7 ივნისსაა დაგეგმილი.

მაკა შალიკაშვილი: - მაგრად მომეწონა ამ როლის თამაში. ზერძინეტა ძალიან საინტერესო ქალია. „ციგანკას“ თამაში არ გამჭირვებია. მაცვია ბოშის ტანსაცმელი, კარგად მოვირგე. კმაყოფილი ვარ.

სპექტაკლში თამაშობენ - გიორგი შავგულიძე, კახა გოგიძე, პაატა კიკვაძე, ანდრეა ვაჭრიძე, გიორგი მახარაძე, ნინი არჩაია, დათო დავითულიანი...

მაკას რესო ესაძე ფილმში იღებს.

„თვე როგორც ერთი დღე“ - ასე ჰქვია ფილმს. მაგარი გარემო იყო, ბედნიერებაა რეზოსთან მუშაობა. ჩემი სცენების გადაღება დასრულდა“, - ამბობს მსახიობი.

კორტების საქმის გაგ

მირიან ბოქოლიშვილი

იური ვაზაგაშვილის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება, რამაც შესაძლოა, საზოგადოებაში აქამდე არსებული ვერსია თავდაყირა დააყენოს. როგორც ცნობილია, მკვლელობაში ბრალდებულის, გია სოსანაშვილის წინასასამართლო სხდომა, რომელიც 28 მაისს იყო ჩანიშნული, პროკურატურის მოთხოვნით გაურკვეველი ვადით გადაიდო. ბრალდების მხარე საკუთარ შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედებების გაგრძელებით ხსნის. სხვა დეტალებს პროკურატურა არ აკონკრეტებს, თუმცა მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მალე მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი ბრალდებულის გამოვლენა იგეგმება და ამჟამად სამძებრო ღონისძიებები საზღვარგარეთ მიმდინარეობს.

ვის ეძებს პროკურატურა საზღვარგარეთ? რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულებს იური ვაზაგაშვილის აფეთქებასთან და რა ინფორმაცია აქვს პროკურატურას ირაკლი ფირცხალავას კავშირებზე საზღვარგარეთ?

„გამოძიებისთვის უკვე დაზუსტებით არის ცნობილი, რომ შემთხვევის ადგილზე გია სოსანაშვილი მარტო არ იმყოფებოდა“, – ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ პროკურატურიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა. მისივე ცნობით, სწორედ ამ ინფორმაციის გადამოწმება ხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

კონკრეტულ გვარებს არც ჩვენი წყარო ასახელებს, თუმცა მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით შეგვიძლია ორ მთავარ ვერსიაზე საუბარი.

ვერსია #1 – დამნაშავეს ევროპაში ეძებენ?

ერთ-ერთი ვერსიით, პირი, რომელსაც გამოძიება ეძებს, იდენტიფიცირებულია მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ გია სოსანაშვილთან სატელეფონო კავშირის მეშვეობით. აღნიშნული პირი კი გარკვეულ კავშირშია იური ვაზაგაშვილის შვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულებთან.

წინასწარი ინფორმაციით, გამოძიება სასამართლოში წარადგენს მტკიცებულებას, რომლითაც შეეცდება, დაადასტუროს, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ გია სოსანაშვილს მკვლელობის შესრულებისთვის გარკვეული თანხა აქვს აღებული.

სოსანაშვილის ადვოკატი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მკვლელობის დაკვეთა უცხოეთიდან მიიღო. ადვოკატის თქმით, სოსანაშვილი უდანაშაულოა და არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს მან მკვლელობა თანხის სანაცვლოდ განახორციელა.

„პროკურატურამ გია სოსანაშვილს ბრალი მხოლოდ იმიტომ წარუ-

პროკურატურა: „სავარაუდოდ, ფირცხალავას მიერ ჩადენილია არაერთი, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც, სასჯელის სახით, გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა... აქვს ფართო და მნიშვნელოვანი კავშირები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეალობა თუ ქურდული შურისძიება?

ზაზა ჭაია: „ერთი მხრივ, დააჩქარებინეს იმ პოლიციელების დაპატიმრება, რომლებიც მთელი ცხოვრება მათი მხილებით იყვნენ დაკავებულნი, მეორე მხრივ კი, შური იძიეს ადამიანზე, რომელმაც ეს ჯგუფი პოლიციასთან თანამშრომლობაში ამხილა. „კანონიერი ქურდები“ ამას არავის პატიობენ“

დგინა, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოეცხადებინა“, – **ამბობს ადვოკატი სოსო ჯოგლიძე**.

ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი კი არ გამორიცხავს, რომ მკვლელობის დამკვეთის ძებნა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მიმდინარეობდეს. გაგი მოსიაშვილის თქმით, არც ის არის გამორიცხული, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე რამდენიმე პირი პასუხისგებაში მიეცეს.

„გამოძიება ბევრ ეფექტურ ნაბიჯს დგამს, რომ ეს პასუხისმგებლობები გამოვლინდეს. საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“, – **განაცხადა მოსიაშვილმა.**

ის ადასტურებს, რომ გამოძიებას აქვს მოტივი სოსანაშვილისა და იმ პირების, ვინც მკვლელობა შეუკვეთეს.

ამ ვერსიით, იური ვაზაგაშვილის აფეთქება პირდაპირ კავშირშია მისი შვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ პირებთან, მათ შორის ირაკლი ფირცხალავასთან. რაც შეეხება კავშირებს საზღვარგარეთ, ეს გახლდათ ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, რის გამოც ირაკლი ფირცხალავა ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე პროკურატურა ირაკლი ფირცხალავასთვის წინასწარი პატიმრობას შეფარდებას სწორედ იმ მიზეზით ითხოვდა, რომ მას აქვს ახლო კავშირები ქვეყნის გარეთ. ჩვენ მიერ მოპოვებულ საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ „ფირცხალავას მიერ ჩადენილია არაერთი, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა“. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, პროკურატურას ჰქონდა ვარაუდი, რომ ის თავს აარიდებდა გამოძიებას და შეძლებდა საზღვარგარეთ საცხოვრებლად სათანადო პირობების შექმნას. პროკურატურის ინფორმაციითვე, „ფირცხალავას აქვს ფართო და მნიშვნელოვანი კავშირები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“.

პროკურატურა ამავე საბრალდებო დასკვნაში ირაკლი ფირცხალავას დაპატიმრებას პირდაპირ უკავშირებს იური ვაზაგაშვილის გარდაცვალებას.

„გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ზურაბ ვაზაგაშვილის მამამ, იური ვაზაგაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი შვილის მკვლელობის საქმის გახსნისა და დამნაშავე პირთა დაკავების შესახებ უმოკლეს ხანში გააკეთებდა საჯარო განცხადებას, რა დროსაც აპელირებდა გამოძიების მიერ მოპოვებულ ახალ მტკიცებულებებზე. მის მიერ დამნაშავეთა დაკავების დაანონსების შემდეგ, გარდაცვალების გამო რეალური მოლოდინია იმისა, რომ ირაკლი ფირცხალავასა და დანაშაულის ჩამდენი სხვა თანამდებობის პირების მიმალვის საფრთხე ერთი ორად გაზრდილია“, – მიიჩნევს სახელმწიფო ბრალდება.

ვის ეძებს პროკურატურა საზღვარგარეთ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე?

მოკლედ, პირველ ვერსიას თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება მართლაც კავშირშია ე.წ. კორტების სპეცოპერაციის შემსრულებლებთან, რომელთაც, როგორც პროკურატურა ირწმუნება, ახლო კონტაქტები აქვთ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ დანაშაულის კვალმა გამოძიება მართლაც ევროპის რომელიმე ქვეყანაზე გაიყვანა, სადაც თავს აფარებს იური ვაზაგაშვილის აფეთქებაში ბრალდებული კიდევ ერთი პირი.

ვერსია #2 – მოსკოვი და კრიმინალური სამყარო

მეორე ვერსიით კი გამოძიება მკვლელობის დამკვეთის კვალს რუსეთის ფედერაციაში ეძებს. ამ ვერსიის თანახმად, შესაძლოა, მკვლელობის კვალი კრიმინალურ სამყაროსთან მიდიოდეს. საუბარია ცნობილ „კანონიერ ქურდ“ ჯეკო მამოიანზე, რომლის დაჯგუფების წევრად სახელდება კორტების სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ალექსანდრე ხუბულოვი. მამოიანმა ქართული ციხე 2013 წელს დატოვა და რუსეთის ფედერაციაში გაემგზავრა, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ქვეყნიდან წასვლამდე მან ყვავილებით შეამკო იუსტიციის სახლთან არსებული მემორიალი, რომელიც, სხვებთან ერთად, მისი მეგობრის, ალექსანდრე ხუბულოვის სახელზე გაიხსნა.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, რომელიც მას თავის დროზე, სავარაუდოდ, იური ვაზაგაშვილმა მიაწოდა, ხუბულოვი პოლიციის აგენტი იყო და სოდ-ს ირაკლი ფირცხალავას ძმის ნარკოდანაშაულის შესახებ აცნობა, რის შემდეგაც ფირცხალავამ პირადი შურისძიების მიზნით, ხუბულოვის მიმართ ანგარიშსწორება გადაწყვიტა.

„2006 წლის 7 აპრილს, სოდ-ის თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ იქნა ირაკლი ფირცხალავას ძმა ლევან ფირცხალავა. აღსანიშნავია, რომ ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებს, მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მიაწოდა მოგვიანებით სპეცოპერაციის დროს მოკლულმა ალექსანდრე ხუბულოვმა, რის შესახებაც ცნობილი გახდა ირაკლი ფირცხალავასთვის“, – აცხადებენ პროკურატურაში.

ჯეკო მამოიანი

მოკლედ, იური ვაზაგაშვილის ინფორმაციის საფუძველზე პროკურატურამ ხუბულოვი, ანუ მამოიანის დაჯგუფება პოლიციის აგენტად გამოაცხადა. ქურდულ სამყაროში აღიარებული წესების თანახმად კი, ქურდები ასეთი იარლიყის მიკერებას არავის პატიობენ. სწორედ ამიტომაც გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, იური ვაზაგაშვილის აფეთქება ქურდულ შურისძიებას უკავშირდებოდეს, მით უმეტეს, რომ საფლავებზე აფეთქება სწორედ კრიმინალური სამყაროს ხელწერაა და ის ხშირად გამოიყენებოდა 90-იანი წლების რუსეთში.

ამ ვერსიას არ გამორიცხავს ირაკლი ფირცხალავას თანამოაზრე, „სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი ზაზა ჭაია, თუმცა მას ეჭვი ეპარება, რომ აფეთქებასთან, მით უმეტეს, მამოიანის ჯგუფთან რაიმე კავშირი ჰქონდეს მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ გია სოსანაშვილს.

„პრობლემა ის არის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველა გახმაურებული საქმე პოლიტიკურ ქვეტექსტს ატარებს. ამ შემთხვევაშიც ასე გახლავთ. გამოძიებას ხელში შერჩა სოციალურად დაუცველი, მძიმედ დაავადებული პოლიციელი, რომელსაც აიძულებდნენ, ხელი დაედო ირაკლი ფირცხალავასთვის. ახლა რა ვერსიებზე მიდის მუშაობა, ჩემთვის უცნობია, თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, კვალი სწორედ კრიმინალური სამყაროსკენ მიდიოდეს. დანაშაულის სტილი სწორედ ამაზე მიუთითებს. ამით მათ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირეს – ერთი მხრივ, დააჩქარებინეს იმ პოლიციელების დაპატიმრება, რომლებიც მთელი ცხოვრება მათი მხილებით იყვნენ დაკავებულნი, მეორე მხრივ კი, შური იძიეს ადამიანზე, რომელმაც ეს ჯგუფი პოლიციასთან თანამშრომლობაში ამხილა. „კანონიერი ქურდები“ ამას არავის პატიობენ და სასტიკად უსწორდებიან, მათ შორის ასეთი მეთოდებით, უშუალოდ საფლავებზე მკვლელობები მათი სტილია“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ზაზა ჭაია.

იური ვაზაგაშვილის ოჯახი კი დარწმუნებულია, რომ მკვლელობის დამკვეთი საქართველოშია. ამის შესახებ იური ვაზაგაშვილის დამ, მანანა ვაზაგაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, არ აქვს ინფორმაცია მკვლელობის მეორე შემსრულებლის, ან დამკვეთის საზღვარგარეთ ძებნის შესახებ.

„იმედი მაქვს, პროკურატურა გამოიძიებს, ვინ არის მეორე პირი და ვინ დაუკვეთა მკვლელობა. მკვლელობის ერთი შემსრულებელი გია სოსანაშვილი სპეციალურად შეარჩიეს, რადგან იციან, რომ არ ლაპარაკობს. რაც შეეხება დამკვეთს, ვფიქრობ, რომ ის, ალბათ, საქართველოშია“, – განაცხადა **მანანა ვაზაგაშვილმა.**

მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ეტაპზე იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე ერთი პირი – გია სოსანაშვილია დაკავებული. მას, მკვლელობის გარდა, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებაც აქვს წარდგენილი. იარაღის ნაწილში ბრალდების საქმე პროკურატურამ ცალკე წარმოებად გამოყო და მისი განხილვა გორის სასამართლოში მიმდინარეობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა თამაში წამოიწყო მიხეილ სააკაშვილმა?

რატომ დასთანხმდა ის ოდესის გუბერნატორობას და ვის წინააღმდეგ მოუნევს ბრძოლა?

ქეთი ხატიაშვილი

ოდესა ყოველთვის რთული რეგიონი იყო. აქ ყოველთვის თავს იყრიდა სერიოზული ფინანსური ინტერესები, რაც რეგიონს მაფიოზურ-ბანდიტური დაჯგუფებების გავლენების სფეროდ აქცევდა. ფინანსებისა და გავლენებისთვის აქ ყოველთვის სისხლიანი ბრძოლები იყო. ვალერი გელბახიანი ისტორიულ ფაქტს იხსენებს. სტალინმა მეორე სამამულო ომის შემდეგ, ოდესაში ჟუკოვი გაუშვა ბანდიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ საბრძოლველად. „და ჟუკოვს მოუწია, სისხლში ჩაეხშო მაფიოზური კლანების იქ თარეში... მაგრამ ის სამხედრო პირი იყო, სააკაშვილი პოლიტიკური ფიგურაა“, – ამბობს ვალერი გელბახიანი.

სააკაშვილის დანიშვნის შემდეგ უკრაინულმა და რუსულმა მედიამ ორ ფაქტორს გაუსვა ხაზი. პირველი და მთავარი, პოროშენკოსა და კოლამოისკის შორის სერიოზული დაპირისპირება გრძელდება და მეორე, დასავლეთ უკრაინას სააკაშვილი აღმოსავლეთ უკრაინაში იანუკოვიჩის საპირწონედ დასჭირდა.

საქართველოს ექსპრეზიდენტის დანიშვნას უკვე მოჰყვა მკვეთრი შეფასებები. ამ დანიშვნას თავად იგორ კოლომოისკი გამოეხმაურა. კოლომოისკი ადრე დნეპროპეტროვსკს ხელმძღვანელობდა, ის უკრაინაში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურაა როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად.

მისი განმარტებით: სააკაშვილი დროებითი ფიგურაა, ახლა ის ოდესას რუსეთს ჩააბარებს, მერე კი ისევ მოგვინევს მისი დაბრუნებისთვის ბრძოლა.

კოლომოისკის სააკაშვილის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. მედია წერს, რომ პოროშენკოს მისი დანიშვნა კოლომოისკისა და მისი მსგავსი ფინანსური მაგნატების მოსარჯულებლად დასჭირდა.

თავად სააკაშვილი ოდესას ჰპირდება მთელ შავი ზღვის აუზში სანიმუშო და სამაგალითო რეგიონად გადაქცევას. ვალერი გელბახიანი ექსპრეზიდენტის ამ სულისკვეთებას მთლიანად იზიარებს. მისი განმარტებით, ოდესაში სააკაშვილი კორუფციას დაუპირისპირდება და მასობრივ დაპატიმრებებს განახორციელებს:

– სააკაშვილის ერთადერთი გამოწვევა კორუფციის დამარცხება იქნება. ის მიიღებდა გარანტიებს იმისთვის, რომ შეძლებს ბევრი სოციალური პროგრამის განხორციელებას და იმუშავებს დაბალ ფენებზე. მისი გათვლა ოდესა არ არის, ის მასშტაბურად ითამაშებს და უკრაინის პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს...

რუსული მედია მიიჩნევს, რომ სააკაშვილს ოდესაში რეფორმები არ გამოუვა. მიზეზები არა მხოლოდ კლანურ-ბანდიტური დაჯგუფებების ოდესისთვის მუდმივი ბრძოლაა, არამედ თავად სააკაშვილი. მათი დახასიათებით, სააკაშვილი შეიძლება კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ ის წარუმატებელი ჩინოვნიკი იქნება – ვერ შექმნის ისეთ გუნდს, რომლითაც სერიოზულ და მასშტაბურ რეფორმებს გაატარებს. მეტიც, რუსული მედია მიიჩნევს, რომ მოსკოვი არც კი ნერვიულობს ამ დანიშვნის გამო, რადგანაც ძალიან კარგად იცნობს სააკაშვილს, იცის მისი მინუსებიც და პლუსებიც და მასთან „დაპირისპირება“ არ გაუჭირდება.

სააკაშვილის დანიშვნის შემდეგ, სოცქსელებში იანუკოვიჩის ვორონეჟში გუბერნატორად დანიშვნის ინიციატივით გამოვიდნენ. ხუმრობით უკრაინის სხვა რეგიონებში ბლერისა და შვარცენეგერის დანიშვნა მოთხოვეს. ითქვა, რომ პოროშენკო სერიოზულ საკადრო ცაიტნოტში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, ყურადღება სააკაშვილზე გაეჩერებინა.

თუმცა, ვისაც როგორი გათვლები არ უნდა ჰქონდეს, ფაქტი ერთია – სააკაშვილს საკუთარი ინტერესები აქვს. ვალერი გელბახიანის აზრით, ის აუცილებლად იყრის კენჭს უკრაინის პრეზიდენტად, საქართველოში კი სამ ახალ ლიდერს მაინც „გამოჩეკავს“ იმისთვის, რომ დასაყრდენი შეინარჩუნოს და ზურგი ჰქონდეს. თავის დროზე მისთვის საკრებულოს თავმჯდომარეობაც ტრამპლინი იყო, ვარაუდობენ, რომ სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ოდესის გუბერნატორობა მისთვის უკრაინის პრეზიდენტობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყოს.

ამერიკული აკადემიის კურსდამთავრებულებმა სამ მილიონზე მეტი დოლარის სასწავლო გრანტები მოიპოვეს

30 მაისს, თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის მოსწავლეთა გამოსაშვები ცერემონიალი გაიმართა. მეთორმეტე კლასელებმა სამ მილიონზე მეტი დოლარის ოდენობის სასწავლო გრანტები მოიპოვეს. ღონისძიებას ამერიკული აკადემიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – მამუკა ხაზარაძე, დამფუძნებელი დირექტორი – დონალდ თომასი, მოწვეული სტუმრები – კურტნი ოსტრიანი, აშშ-ს საელჩოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება ანდრეს კრუზმა გახსნა. მამუკა ხაზარაძე საზოგადოებას სკოლის დაფუძნების ისტორიას მოუყვა და აღნიშნა, რომ აკადემიის მიზანი მაღალკვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებაა. მისივე შეფასებით, განათლება ყოველთვის სიკეთესთან უნდა მიდიოდეს. ხაზარაძემ ასევე აღნიშნა, რომ დღეიდან ამერიკული სკოლის მოსწავლეები ახალ, დამოუკიდებელ სამყაროში გადადიან და იმედოვნებს, რომ ისინი თავიანთ განათლებას საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოიყენებენ.

კურტნი ოსტრიანის თქმით, სკოლა რომ არსებობს, ეს თავად მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების დამსახურებაა.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვარ. ამ თანამშრომლობას დიდი მოლოდინით ვუყურებ. ეს არის რაღაც ძალიან დიდის დასაწყისი“, – აღნიშნა მან და სტუდენტებს რჩევები მისცა ცხოვრების გზაზე წინსვლისთვის. ორ გამორჩეულ სტუდენტს „თომასის მედალი“ და „მასწავლებლების მედალი“ გადაეცათ. მედლების გადაცემისას დონალდ თომასმა პოემა „დაკარგული სამოთხის“ ციტატა წაიკითხა. ამის შემდეგ ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი საზოგადოების წინაშე გამოსამშვიდობებელი სიტყვით წარსდგა. სტუდენტმა აღნიშნა, რომ იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, როგორც მოაზროვნე ადამიანები.

„უბრალოებაში უნდა ვშვათ სიდიადე“, - აღნიშნა სტუდენტმა.

შემდგომ კურსდამთავრებულები სცენაზე ავიდნენ, სადაც მამუკა ხაზარაძემ და ანდრეს კრუზიმ დიპლომები გადასცეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. ცერემონიალის ბოლოს კრუზმა გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოსთქვა და კლასმა ამერიკული აკადემიის ჰიმნი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიღწევა საქართველოს არც ერთ საშუალო სკოლას არ ჰქონია არასდროს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასშტაბური ონკოლოგიური ცენტრი გახსნა

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია



კობა კიკნაველიძე: „აპარატი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, უმაღლესი ხარისხისაა და საშუალებას იძლევა ზუსტად დავასხივოთ სიმსივნე“

ონკოლოგიის ცენტრის შესაქმნელად „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ 12 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა

გიორგი ურუშაძე

„სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ ქუთაისში ონკოლოგიური ცენტრი გახსნა. ასე რომ, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, ყველაზე დიდმა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილმა ონკოლოგიურმა ცენტრმა პირველი პაციენტების მიღება დაიწყო.

ცენტრი დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ონკოლოგიურ პაციენტებს სამედიცინო მომსახურების სრულ სპექტრს შესთავაზებს: მათ შორის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს, მედიკამენტოზურ და თანამედროვე სხივურ თერაპიას.

ონკოლოგიურ ცენტრში ჩატარებულ სამედიცინო საქმიანობას საქართველოს და უცხოეთის წამყვანი სპეციალისტები გაუწევენ კონსულტაციებსა და მეთვალყურეობას.

ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, კობა კიკნაველიძის თქმით, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობისთვის უმაღლესი სტანდარტების სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება.

კობა კიკნაველიძე: „ცენტრში შესაძლებელი იქნება ონკოლოგიური მომსახურების სრული სპექტრის დაფარვა, მათ შორისაა დიაგნოსტიკა, მედიკამენტოზური მკურნალობა და სხივური თერაპია. სხივური თერაპიის ჩასატარებლად კორპორაცია „ევექსმა“ შეიძინა ფირმა „ვარიანის“ წარმოების თანამედროვე ხაზოვანი ამაჩქარებელი და ასევე აპარატურა ბრაქითერაპიისთვის. მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა, მედიკამენტოზური თერაპია და განსაკუთრებით სხივური თერაპია არ არის ერთჯერადი ჩარევა, არამედ ხშირად წარმოადგენს დროში გახანგრძლივებულ პროცესს. მაგალითად, სხივური თერაპიის დროს პაციენტს მკურნალობა მიეწოდება ფრაქციულად. კერძოდ, ავადმყოფი კვირაში 5 დღე აუცილებლად უნდა მივიდეს კლინიკაში მკურნალობის სეანსის ჩასატარებლად და ეს შეიძლება გაგრძელდეს 6-8 კვირის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პაციენტებს - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ან თუნდაც სამეგრელოს რეგიონებიდან ასეთი მომსახურების მისაღებად მოუწევდათ დედაქალაქში სიარული. ბუნებრივია, ყველას არ აქვს შესაძლებლობა თბილისში ხანგძლივად დარჩეს, მოიძიოს საცხოვრებელი ფართი და კიდევ გასწიოს მრავალი გადასახადი. ჩვენ კი, შესაძლებელი გავხადეთ მაღლი დონის მკურნალობა, პაციენტებმა ახლა უკვე საცხოვრებელ სახლთან ახლოს ჩაიტარონ.

„ონკოლოგიის ცენტრი“ ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა მთელ იმერეთის რეგიონში, სადაც „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ ხაზოვანი ამაჩქარებელი აპარატის ინსტალაცია განახორციელა. აპარატი ანატომიურად რთულად მისადგომ ადგილებში, სიმსივნურად დაზიანებული ქსოვილების დამიზნებით დასხივებას ახორციელებს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მნიშვნელოვნად მცირდება მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენებისა და გართულებების სიხშირე და იზრდება ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობა. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქრონიკულ ონკოლოგიურ პაციენტებს რეგიონიდან გასვლა აღარ მოუწევთ, რადგან ცენტრში ონკოლოგიური სერვისების სრული სპექტრი იქნება წარმოდგენილი, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე, მკურნალობის თვალსაზრისით.

დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიის ცენტრის შესაქმნელად „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ 12 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

კობა კიკნაველიძის თქმით, სამედიცნო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია, რომ პაციენტებს მიეწოდებოდეს მაღალი, დასავლური ხარისხის მკურნალობა. რასაც მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო აღჭურვილობასთან ერთად, აპარატურის გარდა, აუცილებლად განაპირობებს მაღალკვალიფიციური პერსონალი. ამ მიზნით ონკოლოგიური ცენტრის რიგმა სპეციალისტებმა გადამზადება უცხოეთის წამყვან კლინიკებში გაიარეს.

კობა კიკნაველიძე: „ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხარისხი. ამისთვის ჩვენ სპეციალისტები გავაგზავნეთ საზღვარგარეთ ტრენინგებზე, რათა მათ უკეთ შეძლონ ახალი აპარატურის ათვისება და პრაქტიკაში წარმატებულად გამოყენება, ანუ უცხოური გამოცდილებაც საკმაოდ წარმატებულად ინერგება ჩვენს კლინიკაში. სწორედ ამ მიზნით ვთანამშრომლობთ წამყვან დასავლეთევროპელ და ამერიკელ სპეციალისტებთან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში ამერ

„როდესაც ვამბობთ, რომ საქართველოში იქნება ამერიკის დღეები, ეს ნიშნავს იმას, რომ გვაქვს შანსი, უფრო საინტერესო გავხადოთ ჩვენი ურთიერთობა, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება“

სალომე ჩადუნელი

საქართველოში ამერიკის დღეები დაიწყო, ინიციატორი და ორგანიზატორი ამერიკის საელჩოა. ივენთი რამდენიმე ქალაქში გაიმართება, მათ შორის ზუგდიდში, ახალციხეში, გორსა და თბილისში.

პროექტის ფარგლებში საქართველოში ექვსკაციანი ჰიპ-ჰოპ ბენდი „Danger flow“ და მოცეკვავეების ჯგუფი „sea2sea“ ჩამოდის.

ამერიკის დღეები საქართველოში პირველად ტარდება. რა დანიშნულება აქვს ამ ღონისძიებას და რა მესიჯს უგზავნის ამით ამერიკა საქართველოს? „პრაიმტაიმს“ ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე ჯეიმს დიუისი ესაუბრება.

– რა მოლოდინები გაქვთ ამერიკის დღეებთან დაკავშირებით? რას აღმოაჩენენ ქართველები განსაკუთრებულსა და ახალს?

– მე ამერიკაში დავიბადე და იქ გავიზარდე, მაგრამ თითქმის 2 წელია საქართველოში ვმუშაობ და ვცხოვრობ. მანამდე ვსწავლობდი თქვენს ენასა და ისტორიას, პოლიტიკასა და კულტურას. ამერიკის დღეები, იმედი მაქვს, ერთგვარი ხიდი იქნება ჩვენს ქვეყნებს შორის. მესმის, რომ დღეს მთელ მსოფლიოში რთული მდგომარეობაა, ვიცი, რომ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს პრობლემები, საელჩოშიც არაა საქმე უპრობლემოდ, მაგრამ შაბათს, 6 ივნისს, უნდა გამახვილდეს ყურადღება ამ ორი ქვეყნის მეგობრობასა და საერთო ინტერესებზე. მით უმეტეს, რომ ჩემი, როგორც საქართველოში მომუშავე ქართველის, დაკვირვებით, ქართული და ამერიკული სული ერთმანეთისგან შორს არ დგას. ჩვენ ოპტიმისტები ვართ. მივისწრაფვით თავისუფლებისკენ, დემოკრატიისკენ.

გასულ წელს ვიყავი სვანეთში და როცა სვანეთის ბუნება, მთები ვნახე, მივხვდი, რომ საქართველო მხოლოდ ფართობითაა პატარა ქვეყანა, მისი მნიშვნელობა კი ძალიან დიდია. ამერიკის მთავრობაში არსებობს ინიციატივა, რომ უფრო გაღრმავდეს ურთიერთობა საქართველოსთან. იმედია, ეს ფესტივალი აჩვენებს ამერიკის მთავრობისა და კერძო სექტორის სურვილს, ითანამშრომლოს საქართველოსთან. იქნება გამოფენა და საგანმანათლებლო ბაზრობა, იქნებიან 70-მდე ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაღრმავებისთვის. მაგალითად, USID-ის დახმარებით იგეგმება საკმაოდ საინტერესო პროექტები. აუცილებლად იქნება ინფორმაცია იმ გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომლებიც აბსოლუტურად უფასო იქნება ქართველი ახალგაზრდებისთვის. მართალია კონკურენცია დიდი იქნება, მაგრამ ღირს მონაწილეობა.

ეს ფესტივალი საინტერესო იქნება ყველასთვის, დღის განმავლობაში ოჯახით შეუძლიათ გვესტუმრონ, ხოლო საღამოს ახალგაზრდებისთვის გაიმართება კონცერტი. მაიამიდან ჩამოდის ჯგუფი „Danger Flow“, რომლის შესრულებაც მე პირადად ძალიან მიყვარს. მათი სიმღერა პოპულარული მაშინ გახდა, როცა მაიამის კალათბურთის გუნდმა გაიმარჯვა ერთ-ერთ კონკურსში. ამ გუნდის საგულშემატკივრო სიმღერა კი სწორედ „Danger Flow“-ს ეკუთვნოდა.

ფესტივალზე იქნებიან სტუმრები კავკასიიდან. გვინდა, ღონისძიება ფართო საზოგადოებისთვის იყოს სასიამოვნო და დასამახსოვრებელი.

როგორც უკვე ვთქვი, ეს დღე უნდა იყოს ხიდი. მე, როგორც კულტურის ატაშეს, ბუნებრივია, კულტურის სფეროში უფრო ინტენსიური მუშაობა მიწევს და ვიცი,

ექსკლუზიური ინტერვიუ

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას თბილისში გელოვანის ქუჩაზე რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მონაწილე, ეთნიკური ქისტი ზელიმხან ხანგოშვილი დაჭრეს. საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ეს ყველაფერი ამით არ დასრულდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ზელიმხან ხანგოშვილი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მონაწილეა და პუტინის რეჟიმს არასასურველ პერსონად ჰყავს გამოცხადებული. თავდასხმიდან მალევე გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, მომხდარში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ერიოს. მით უმეტეს, მისი ლიკვიდაცია გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი. ზელიმხან ხანგოშვილის გვარი ფიგურირებს ლაფანყურის სპეცოპერაციაშიც. ის სწორედ გია ლორთქიფანიძის თხოვნით, ახმედ ჩატაევთან ერთად, აწარმოებდა ბოევიკებთან მოლაპარაკებას.

გია ლორთქიფანიძე: „ამას შეიძლება მოჰყვეს გაგრძელება. იმედი მაქვს, ჩვენი ძალოვნები დროულად გასცემენ კითხვებს პასუხს“

უკავშირდება თუ არა თავდასხმა ლაფანყურის სპეცოპერაციას? ექსპერტი მამუკა არეშიძე ეჭვობს, რომ შესაძლოა, მომხდარში რუსული სპეცსამსახურების კვალი გამოიკვეთოს, ვინაიდან, მისი თქმით, „ამ შემთხვევაში შედეგი გაცილებით მძიმე იქნებოდა“. თავად ხანგოშვილის ახლობლები კი სწორედ რუსულ ინტერესებზე საუბრობენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ეტაპზე არც ერთ ვერსიას არ გამორიცხავს. ვახტანგ გომელაური გამოძიების დასრულებამდე დასკვნების გამოტანას მართებულად არ მიიჩნევს.

„გამოძიება მიდის და ამაზე ვერავინ იტყვის, რუსულმა, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა თუ ჩვენმა მოქალაქემ გააკეთა. ამაზე გამოძიება მიმდინარეობს და ცნობილი გახდება, როგორც კი დავადგენთ“, – **განმარტავს ვახტანგ გომელაური.**

„პრაიმტაიმს“ ინტერვიუზე დასთანხმდა შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელიც პირადად იცნობს ზელიმხან ხანგოშვილს.

გია ლორთქიფანიძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე:

– როდესაც ბოევიკებმა ლაფანყურში მძევლები აიყვანეს, ხანგოშვილი ჩემი თხოვნით ჩამოვიდა იქ. ასევე, ჩემი თხოვნით წავიდა და აწარმოებდა მოლაპარაკებას, რადგან ეს კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებების ჩარჩოში მოქცეულიყო... ხანგოშვილს, ჩატაევთან ერთად, ჰქონდა მომლაპარაკებლის როლი. მან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...იკის დღეები იწყება

– უკვე აღნიშნეთ, რომ განსხვავება ქართულ და ამერიკულ კულტურებს შორის, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ საერთოც ბევრია. თქვენი აზრით, რა არის ეს საერთო?

– პირველ რიგში, ვიტყოდი საერთო ოპტიმიზმს – ქართველებიც და ამერიკელებიც ოპტიმისტები ვართ.. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ ისევე როგორც ქართულ, ამერიკულ კულტურაშიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახს. საერთოა დემოკრატიული ფასეულობებიც. ამერიკა სწორედ ამ ნიშნის მიხედვით გამოირჩევა მთელ მსოფლიოში. ისტორიულადაც საქართველო ყოველთვის მიიწევდა თავისუფლებისკენ, დემოკრატიისკენ, დამოუკიდებლობისკენ.

– როგორც ვიცი, ამერიკაშიც ტარდება საქართველოს დღეები. მაინტერესებს, იქ რამდენად ინტერესდებიან და რა დამოკიდებულება აქვთ ქართული კულტურისადმი და, ზოგადად, საქართველოსადმი?

– დაწვრილებითი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ 26 მაისს ნიუ-იორკის ცენტში იყო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდა ქართული ცეკვის ანსამბლი „ფესვები“. ეს ღონისძიება ძირითადად ამერიკაში მცხოვრები ქართველების ინიციატივით გაიმართა. ჩემთვის, როგორც ამერიკის წარმომადგენლისთვის, რა თქმა უნდა, პრიორიტეტულია, მხარი დავუჭირო ასეთ პროექტებს.

ვფიქრობ, ახლა უფრო მკვეთრად გამოჩნდა საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ერი და როგორც საინტერესო ქვეყანა. მაქვს ინფორმაცია, რომ საელჩოში განსაკუთრებულად მუშაობენ, რომ საქართველო მაქსიმალურად წარმოაჩინონ.

როდესაც ამერიკელი ტურისტები საქართველოში ჩამოდიან, აღფრთოვანებულები რჩებიან. მათ უჩნდებათ სურვილი, კიდევ ერთხელ დაბრუნების. ახლა უკვე საქართველოს ჯერია, გახდეს ძალიან ცნობილი, სასურველი და დაფასებული ყველასგან.

– თქვენ რა გიყვართ ქართულ კულტურაში და საქართველოში განსაკუთრებით?

– მე თითქმის 10 თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი სახელმწიფო დეპარტამენტის ენების ინსტიტუტში, სადაც ქართულ ენასთან ერთად ვსწავლობდი ქართულ კულტურასა და ისტორიას. ახლახან ოჯახთან ერთად ვიყავი კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭაში, სვანეთში, მოვიარეთ ლამის მთელი საქართველო. ამ მოგზაურობისას დავრწმუნდი, რომ მართლაც ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა. განსაკუთრებულად გამოვყოფდი ქართულ ხალხურ მუსიკასა და საგალობლებს. უნიკალურია თქვენი ცეკვაც.

– რას უსურვებდით საქართველოსა და ქართველ ერს? და რა არის ის ძირითადი მესიჯი, რის გაგზავნაც გინდათ ქართველებისთვის ამერიკის დღეების ფარგლებში?

– მე მინდა ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს მათ. მისი დამოკიდებულება მეგობრულია. ჩვენი მისია ემსახურება იმას, რომ ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს, ეს არ არის მხოლოდ სტრატეგიული პარტნიორობა. მთავრობებს შორის დამოკიდებულება უნდა იგრძნონ მოქალაქეებმაც. როცა ქართველებს ვესაუბრები, ისინი ამბობენ, ძალიან რთულია ურთიერთობის აწყობა, როცა ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობაა. ჩვენ ეს გვესმის, მაგრამ საელჩოში 24 საათი ვმუშაობთ, რომ უკეთესი გავხადოთ სიტუაცია. გაძლიერდეს საქართველო სამხედრო, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. მე კარგად ვიცნობ ამერიკის საელჩოს პროგრამებს და ვიცი, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობა მეგობრობისკენ უნდა იყოს მიმართული. ეს არაა სტრატეგია, ეს არის გულწრფელი მეგობრობის სურვილი.

გია ლორთქიფანიძესთან

ვინ დაესხა თავს ლაფანყურის საქმის მთავარ მოწმეს?

მართლაც მაქსიმალური გააკეთა, რომ ეს პროცესი მშვიდობიანად დასრულებულიყო და შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაზრდილიყო.

– რა ნიშნით შეარჩიეთ ხანგოშვილი?

– ის არის ერთ-ერთი ავტორიტეტული პიროვნება და მას პატივს სცემენ პანკისის ხეობაში, როგორც ვაჟკაცს, ყველა ისე იცნობს. მის აზრს ხშირად ითვალისწინებენ.

– როგორც ცნობილია, მის მიმართ მუქარები წარსულშიც იყო რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან...

– დიახ, ასეა. და არამხოლოდ მის მიმართ.

– რატომ ერჩოდნენ რუსული სპეცსამსახურები?

– მისი ჩრდილოკავკასიური წარმოშობისა და პოზიციების გამო. ის გახლდათ ჩეჩნეთის ომის მონაწილე. გამორიცხვით ვერაფერს გამოვრიცხავ. ამ ეტაპზე ხაზგასმით იმის თქმა, რომ მასზე თავდასხმის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან, ძნელია, გამოძიებამ ყველა ვერსია უნდა განიხილოს. მე არ ვიცი, რას უკავშირდება ხანგოშვილზე თავდასხმა, მაგრამ ძალიან ცუდია, თუ ეს ყველაფერი იმ ამბების გაგრძელებაა. თუ ეს ასეა, ამას შეიძლება მოჰყვეს გაგრძელება. იმედი მაქვს, ჩვენი ძალოვნები დროულად გასცემენ კითხვებს პასუხს.

– ითქვა, რომ თქვენი ლიკვიდაციაც იგეგმებოდა, ხანგოშვილზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ თავს რამდენად დაცულად გრძნობთ?

– დაცულად არანაირად არ ვგრძნობ თავს. მით უმეტეს, როდესაც სიცრუეს საუბრობენ და სპეციალურად აღიზიანებენ ქისტებს, თითქოს ლაფანყურში ბოევიკები მე შემოვიტყუე და შემდეგ დავხოცე. ცხადია, ეს გარკვეულ უკმაყოფილებას აღვივებს ამ ადამიანებში. მათ მსგავსი სიცრუით უჭედავენ ყურებს. ამ ფონზე დაცული არ ვარ. რა თქმა უნდა, დაცული არ ვარ რუსეთის სპეცსამსახურების თავდასხმისგანაც, რადგან, როგორც უკვე გითხარით, მათ ჩემი ლიკვიდაციის მიზნით კილერი გაცილებით ადრე დაიქირავეს.

– დღევანდელი გადმოსახედიდან არ ფიქრობთ, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს შეცდომები იქნა დაშვებული?

– შეცდომა იყო ის, რომ შესაბამის სამსახურებს გამოეპარათ და დროულად ვერ მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია შეიარაღებული ჯგუფის არსებობის შესახებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია

კვალი, რომელიც იკარგება...

თამარ გორთამაშვილი

მას შემდეგ, რაც საზოგადოება ფიროსმანის „არსენალის მთის“ დასაბრუნებლად გაერთიანდა (რაც უდავოდ დიდი პოზიტივის მატარებელია) და მთავრობას დახმარება სთხოვა, ბუნებრივად გაჩნდა კითხვა - სად შევინახავთ და როგორ მოვუვლით... ალბათ, მიპასუხებთ - იქ სადაც სხვა შედევრებია დაცული... თუმცა „დაცული“ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, რადგან პრობლემა, რომლის წინაშეც ქართული საგანძური დგას, ჯერ კიდევ მოუგვარებელია... არადა სიმდიდრე, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, თავის დროზე მსოფლიოს აღაფრთოვანებდა, დღეს კი, თანამედროვე ახალგაზრდამ დარწმუნებული ვარ არც კი იცის, მაგალითად, სად არის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი, აბრეშუმის მუზეუმი, რომელიც ამავდროულად ქვეყნის განვითარების ისტორიას გვინახავს...

დღესდღეობით საქართველოში 200-ზე მეტი მუზეუმია, მათ შორის 70 მემორიალური, ალბათ, არც ეს ამბავია ბევრისთვის ცნობილი... თუ რატომ, მარტივი მისახვედრია - „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“ და ჩვენც სხვისას შევხარით, საკუთარის დაცვაზე და პოპულარიზაციაზე კი არ ვზრუნავთ. ისე კი, კარგი იქნებოდა, იმავე საზოგადოებას, რომელმაც „არსენალის მთის“ დაკარგვა მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, ის რაც მის თვალწინ ნადგურდება და ინგრევა, იმის გადასარჩენადაც შემოეძახა მთავრობისთვის. სხვათა შორის, თვითონ მთავრობაც არ უარყოფს იმას, რომ ქართულ საგანძურს საფრთხე ემუქრება და პრობლემის მოგვარების გზებს ეძებს... პრემიერმა ეს საკითხი მთავრობის სხდომაზეც გააჟღერა და განაცხადა, რომ თბილისის მუზეუმებთან, ხელნაწერთა ცენტრსა და სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცეებთან დაკავშირებით პრობლემებია... თუმცა, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემები, ერთიანი პოზიცია ამ დრომდე არ არსებობს... გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს და ამ შემთხვევაშიც საკითხი გაცილებით მარტივად გადაწყდებოდა, თუკი ჩვენი საგანძურის გადასარჩენად ერთი შენობა შეირჩეოდა, რომელიც ახალი თაობის თვალსაწიერიდან დაკარგულ ისტორიას გააცოცხლებდა და მას კიდევ უფრო მნიშვნელოვან - საგანმანათლებლო ფუნქციას შესძენდა... ასეთი სივრცე კი თანამედროვე თბილისში ნამდვილად მოგვეძებნება, ავიღოთ თუნდაც ავლაბრის სასახლე, რომელიც თავისი მასშტაბურობით ძალიან შეეფერება ქვეყნის საგანძურის საცავსაც და საგანმანათლებლო ფუნქციის შენობასაც. მით უმეტეს, რომ ავლაბრის სასახლის გაყიდვის მზაობა არსებობს და უკვე მზადაა ათონელის რეზიდენციაც, რომელიც თავისი არქიტექტურით არაფრით ჩამოუვარდება ძველს, ამასთან პრეზიდენტის ტიტულს და ამბიციას აკმაყოფილებს.

ზოგადად, მთელ მსოფლიოში, ბოლო საუკუნის მანძილზე მუზეუმის როლი მკვეთრად შეცვლილია და ის არაფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს, რომლის მთავარი პრიორიტეტიც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, საზოგადოებასა და მუზეუმს შორის კავშირის დამყარებაა, იმისათვის, რომ ვიცოდეთ, გვახსოვდეს და არ დაიკარგოს... ეს პროგრამები ვორკშოპებს, სასწავლო კურსებს, ლექციებს, ფილმების ჩვენებებს, კონცერტებს და მეცადინეობებს უნდა მოიცავდეს, ისევე როგორც ექსკურსიებს, სემინარებსა და სიმპოზიუმებს. მუზეუმს სხვადასხვა პროგრამები უნდა ჰქოდეს, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაკავშირებული იქნება სკოლის სასწავლო გეგმებთან... ვფიქრობ, მხოლოდ ასე თუ შევძლებთ იმის გადარჩენას, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩა, თუმცა ამ ყველაფრისთვის შესაფერისი გარემოა და კრიტერიუმების დაცვაა აუცილებელი, რასაც დღეს თბილისში არსებული საექსპოზიციო სივრცეები ვერ აკმაყოფილებენ...

„მხოლოდ ჩვენი პროგრამის ფარგლებში მუზეუმების სრული რეაბილიტაციის დაფინანსება შეუძლებელია, ისევ და ისევ თანხის სოლიდურობის გამო“

თუ რა მდგომარეობაა ამჟამად მუზეუმებში და რა პრობლემის წინაშე დგას ქართული საგანძური, ამის შესახებ კულტურის სამინისტროს მუზეუმების სამმართველოს უფროსს - მაკა ჭუმბურიძეს ვესაუბრეთ.

მაკა ჭუმბურიძე:

- მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები მუზეუმებში 90-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა. 2008 წლიდან კულტურის სამინისტრომ დაიწყო ახალი პროგრამის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ ინტენსიური განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად გამოიყოფა გარკვეული რაოდენობის თანხა, შემდეგ კი ირჩევა სარეაბილიტაციოდ ის მუზეუმი, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება. შესაბამისად, ყოველწლიურად ხდება 10-15 მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. წელს, ამავე პროგრამის ფარგლებში, 29 პროექტია დაგეგმილი და აქედან 18 მიმართულია მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისკენ.

არის ნაწილი მუზეუმებისა, რომლებიც მართლაც იმყოფებიან ავარიულ მდგომარეობაში. ასეთია მაგალითად აბრეშუმის მუზეუმი, რომელსაც შარშან გამოეყო თანხა, რათა დაფინანსებულიყო შენობის კვლევითი ღონისძიებები. მედიცინის ისტორიის მუზეუმი, რომელსაც სრული რეაბილიტაცია სჭირდება, წელს უკვე მე-5 პროექტი ეხება ამ მუზეუმის პირობების გაუმჯობესებას. ასევე რთულ მდგომარეობაშია ხელოვნების მუზეუმიც, რომლის რეაბილიტაციაც, საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, კულტურის სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ამ ტიპის მუზეუმებისთვის პირობების გაუმჯობესება, ვეძებთ სპონსორს, რომელიც დაინტერესებული იქნება ამ საკითხით. სასურველი იქნება თუ აქვე განთავსდება საცავი, რომელშიც თავს მოიყრის მნიშვნელოვანი ხელოვნების ნიმუშები. მხოლოდ ჩვენი პროგრამის ფარგლებში მუზეუმების სრული რეაბილიტაციის დაფინანსება შეუძლებელია, ისევ და ისევ თანხის სოლიდურობის გამო. რეაბილიტაციის პროცესები მიმდინარეობს რეგულარულად, მაგრამ ეტაპობრივად.

„რთულ მდგომარეობაშია ხელოვნების მუზეუმიც, რომლის რეაბილიტაციაც, საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეზიდენტი ვეტ

ქეთი ხატიაშვილი

პრეზიდენტმა პოზიცია უკვე დააფიქსირა

გიორგი მარგველაშვილი კიდევ ერთხელ გეგმავს ვეტოს გამოყენებას. ამჯერად პოლიტიკური დაპირისპირების ხაზი პარლამენტის საფინანსო კომიტეტზე გადის. მეჭიაურმა უკვე შეიმუშავა პროექტი და ხმაურიანი განცხადებებიც გააკეთა. შეიმუშავა, სხვათა შორის, დამოუკიდებლად – არა, მასთან ერთად პროექტზე „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა ებანოიძემაც იმუშავა. ასე რომ, ეს ერთობლივი, ანუ კოალიციური ნამუშევარია.

თუმცა, ექსპერტების მინიშნებით, გარკვეულმა ჯგუფმა კოალიციაში იჩქარა. ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრად ექსპერტი ლევან ალაფიშვილი კახი კალაძეს განიხილავს.

– იჩქარა ამ ჯგუფმა აშკარად. ეს პროექტი პარლამენტში მაშინ მომზადდა, როცა ქალაქში არც პრემიერი იყო და არც პარლამენტის თავმჯდომარე.

საუბარია პროექტზე, რომლის კანონად ქცევის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქცია უნდა ჩამოერთვას. ამ პოზიციას უკვე დაუპირისპირდნენ ბანკები, ბიზნესსექტორი, არასამთავრობოები.

„პრეზიდენტი ეროვნული ბანკიდან ბანკების ზედამხედველობის გამოყოფას არ ემხრობა და თუკი პარლამენტი მას მაინც უყრის კენჭს, ვეტოს დაადებს“

ყველაფერი კი იბიარდის ვიზიტის დროს ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებიდან დაიწყო:

„რაც შეეხება ქადაგიძის უწყებას, არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება, უბრალოდ, ჩვენ დეტალურ ინფორმაციას ვერ ვიღებთ, კანონმდებლობით არ გვაქვს ამის საშუალება. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრმაც განაცხადა, რომ უჭირს რაიმე დეტალებზე ისაუბროს ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით, თუნდაც ავიღოთ დიდი ბანკების ტრანზაქციები. არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს და არ ვიცით, ბოლო თვეების

განმავლობაში, ბოლო კვირების განმავლობაში თუნდაც „საქართველოს ბანკის“ მიერ, „თიბისი ბანკის“ მიერ რა ტრანზაქციები იქნა განხორციელებული. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ ყველაფრის ბერკეტი ნამდვილად გააჩნია ერ-

რისთვის ემზადება კახა შარტავა



კახა შარტავა უკვე დიდი ხანია, არ ჩანს. მისი გაუჩინარების შემდეგ ითქვა, „ფორუმის“ პოლიტიკური ბოსი პოლიტიკიდანაც ნავიდაო. თუმცა პარტიაში ამ ინფორმაციას არასოდეს ადასტურებდნენ.

„ფორუმი“ მმართველი კოალიციის ერთ-ერთი სუბიექტია. მისი პარტიის წევრებისგან ყველაზე მეტად ანი მიროტაძე აქტიურობს, დანარჩენები უკვე ძვირი სანახავებიც გახდნენ.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტად ისმის კითხვა, რა შემადგენლობით გავა მმართველი კოალიცია არჩევნებზე. თავდაპირველად კოალიციაში შემავალი ყველა პარტია ამბობდა, რომ ისინი დამოუკიდებლად აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. უფრო ზუსტად – ემზადებოდნენ ორივე ვარიანტისთვის. მოგვიანებით, გაირკვა, რომ „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში იმდენად დაწინაურდა, რომ მარათონზე ისინი ერთად გავლენ. რაც შეეხება „ფორუმს“, მრეწველებსა და კონსერვატორებს, ისინი მთავრობის დაკომპლექტებაში არ მონაწილეობენ. შესაძლოა, კონსერვატორებს დიდი ამბიციები არ აქვთ, მაგრამ კახა შარტავა სხვა თემაა.

მისი ამბიციები სერიოზულია. ალბათ, პოლიტიკიდან გაუჩინარებაც ამ ამბიციების ბრალია. შარტავას არ ერგო არც ერთი სერიოზული პორტფელი და პოზიცია. ასე რომ, თუკი რაიმე სერიოზული არ მიიღო, არ არის გამორიცხული, „ფორუმმაც“ დატოვოს კოალიცია და არჩევნებში დამოუკიდებლად გავიდეს.

როგორც ჩანს, ასეც იქნება. კახა შარტავას ხანგრძლივი დუმილი თანხმობის ნიშანი სულაც არ არის. კულისებში ამბობენ, რომ შარტავა სერიოზულად ემზადება და პარტიის სტრუქტურებს სხვადასხვა რეგიონში აძლიერებს.

ამ ეტაპზე „ფორუმი“ ღია კომენტარებისგან თავს იკავებს. ჯერ პროცესებს აკვირდებიან. ერთადერთი, რასაც პირად საუბრებშიც ადასტურებენ, ეს არჩევნებისთვის მომზადებაა. ცალკე თუ კოალიციის ფარგლებში, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ არ აქვთ.

წერეთელმა

ირაკლი წერეთელი არა მხოლოდ პოლიტიკაში გამოჩნდა, არამედ ინტერნეტსივრცეშიც. ის პოლიტიკაშიც ორიგინალური იყო და ტრადიციას არც ვირტუალურ სივრცეში ღალატობს. პოლიტიკაში სულ შიმშილობდა, სხვა აქტიურობები მას, შეიძლება ითქვას, რომ არც აქვს.

სოცქსელებში კი მხოლოდ იმათ იმატებს, ვინც წერეთლის დანაბარევს შეასრულებს.

მაშ ასე, წერეთელმა სოცქსელებში დაგვიბარა:

„ბევრი მთხოვს დამეგობრებას ინტერნეტში, რაც ძალიან მიხარია. დიდი სიამოვნებით დაგიდასტურებთ მეგობრობას, ოღონდ ერთადერთი პირობით – დაგვიტოვეთ თქვენი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და გარანტირებულად და ღირსეუ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოსთვის ემზადება

„ეს პროექტი პარლამენტში მაშინ მომზადდა, როცა ქალაქში არც პრემიერი იყო და არც პარლამენტის თავმჯდომარე“

ოვნული ბანკის პრეზიდენტს. მას ნამდვილად შეუძლია, ჩაერიოს ამ კონკრეტულ პროცესში და დაეხმაროს მთავრობას, ხელისუფლებას, რომ ეს დიდი პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას უდგას, მოგვარდეს“, – **ეს განცხადება კახი კალაძემ გადაცემა „20/30“-ში გაიკეთა.**

სწორედ ამას მოჰყვა პარლამენტის კომიტეტში შესაბამისი პროექტის მომზადება.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, ცოტა უცნაურია, რომ კალაძე, რომელიც თავად ფლობს ბანკს, ტრანზაქციების გამჭვირვალობას ითხოვს.

პრემიერის პოზიცია სწორი იყო, ამბობს ლევან ალაფიშვილი:

– ბიზნესმენების შეხვედრას ესწრებოდა პრემიერის წარმომადგენელი, ეკონომიკური საბჭოს მდივანი და ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია, რომელმაც თქვა, რომ ის ბიზნესთან ერთად არის...

პრემიერისა და ვიცე-პრემიერის პოზიციებს შორის დაპირისპირება ადრეც დაფიქსირდა. მაშინ როცა კახი კალაძემ თქვა: მარგველაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაცია აუცილებლად უნდა დატოვოსო. პრემიერმა, თავის მხრივ, განმარტა, რომ ეს საკითხი პრეზიდენტის გადასაწყვეტია...

კახი კალაძის ჯგუფში ლევან ალაფიშვილი მოიაზრებს საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარეს მეჭიაურს, ასევე ზაქარია ქუცნაშვილს. ეს ის ჯგუფია, რომელიც ქუცნაშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ლობირებდა და პარლამენტში ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო.

ალაფიშვილი იმედოვნებს რომ მეჭიაურის პროექტს პარლამენტში მსვლელობა არ ექნება. მისი განმარტებით, თავად ებანოიძემ, რომელიც ამ სკანდალური ინიციატივის ერთ-ერთი ავტორია, პროექტის უკან გაწვევა არ გამორიცხა.

პრეზიდენტმა პოზიცია უკვე დააფიქსირა – ის ეროვნული ბანკიდან ბანკების ზედამხედველობის გამოყოფას არ ემხრობა და თუკი პარლამენტი მას მაინც უყრის კენჭს, ვეტოს დაადებს.

გიორგი მარგველაშვილი ამით არა მხოლოდ ეროვნული ბანკის ფუნქციებს, არამედ საკუთარ კომპეტენციის საზღვრებსაც იცავს.

დაგვიბარა... სოციალურ ქსელებში

ლად შეგვპირდით, რომ აუცილებლად მობრძანდებით 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის პოლიტიკურ დემონსტრაციაზე, რუსთაველის გამზირზე, დღის 2 საათზე, საქართველოს პარლამენტის ნაგებობის წინ. ეს პირობა არ ეხებათ ინვალიდებსა და დავრდომილებს და საზღვარგარეთის ქვეყნებში წასულებს“.

ანუ თუ შეეცდებით, დაიმეგობროთ ირაკლი წერეთელი, მაგალითად, facebook-ში, მისგან სწორედ ასეთ პასუხს მიღებთ. ნუ, ესეც 90-იანელების მავნე ტრადიციაა. პარლამენტის წინ აქციაზე თუ არ დადგნენ, ისე მათთვის პოლიტიკა და აქტიურობა არ არსებობს. მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა ისტორიაა.

მოგვიანებით მიიღებთ სხვა მესიჯსაც. მაგალითად, ასეთს: „გიდასტურებთ მეგობრობას და სასწრაფოდ გამომიგზავნეთ თქვენი კოორდინატები და დაგვპირდით, რომ მოხვალთ 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის პოლიტიკურ დემონსტრაციაზე, რუსთაველის გამზირზე, დღის 2 საათზე, საქართველოს პარლამენტის ნაგებობის წინ. ეს პირობა არ ეხებათ ინვალიდებსა და დავრდომილებს და საზღვარგარეთის ქვეყნებში წასულებს“.

არ ვიცი, რა დაიბარა წერეთელმა მე-19 საუკუნის ბოლოსკენ, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში წერეთელი რუსთაველზე გვიბარებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინა სუბლატი: ვერც პოლიტიკამ დ

ნინო მჭედლიშვილი



„ათასი კაციდან ხუთი თუ უკმაყოფილოა, ეს დიდს არაფერს ნიშნავს და ნეგატივზე ყურადღების გამახვილება არასწორი იდეაა“

„არასდროს მინდოდა და არც ახლა ვაპირებ პირადი ცხოვრებით და შეხედულებებით მაყურებლის თვალში გაჩხერას. უბრალოდ, იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ყოველთვის ვცდილობ ჩემი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გავუზიარო, მეც მეტი და მეტი სიამოვნება მივიღო ჩემი საქმისგან. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკის კეთებაა, სხვა დანარჩენი თავისით, ბუნებრივად მოდის და ხდება“, - თქვა ნინა სუბლატმა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში. მომღერალს საქართველოში დაბრუნებამდე სოციალური ქსელით დავუკავშირდით და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ „ევროვიზიის“ დეტალებზე.

- ნინა, იმ მომღერალთა შორის მოიაზრები, ვისაც ნაკლებად ეტყობა ნერვიულობა სცენაზე. მოგვიყევი იმ ემოციებზე, რომელიც ევროვიზიის სცენას უკავშირდება...

- სცენაზე ნერვიულობა ჩემთვის წარმოუდგენელიც კია. მხოლოდ მაშინ ვნერვიულობ, როდესაც ჩემი საქმისგან განსხვავებულ სფეროში წარვადგენ რაღაცას. სცენაზე დგომა ჩემი პროფესიაა და გასვლის წინ ყოველთვის მზადყოფნაში ვარ. ალბათ, ამიტომაც არ ვნერვიულობ. ევროვიზიის სცენაზე გამოსვლა ჩემთვის სრულიად ახალი განცდა იყო, რადგანაც ეს არის მომენტი, როდესაც შენ არა მხოლოდ შენს თავს და შენს მუსიკას, არამედ მთელ ქვეყანას წარადგენ. ლაივკონცერტის დროს ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემთან ერთად მთელი საქართველო სცენაზე იდგა, თითქოს მათ აზრს ხმამაღლა ვამბობდი და ჩემს ქვეყანას ჩემს ხალხთან ერთად მთელ ევროპას ვაცნობდი. სწორედ ეს უცნაური, მაგრამ ძალიან ძლიერი განცდა უკავშირდება ევროვიზიის სცენას.

- ბევრი ითქვა და დაიწერა შენს სიმღერაზე, ჩაცმულობაზე... გვიამბე, როგორ აირჩა სიმღერა, სტილი, რომლითაც წარსდექი მაყურებლის წინაშე...

- სიმღერა „Warrior“ ანუ „მებრძოლი“ ჩემი დაწერილია. კომპოზიცია ევროვიზიის სტანდარტების გათვალისწინებით შევქმენი და შიდა შესარჩევი კონკურსის მოგების შემდეგ გადავწყვიტე, რომ არანჟირების ხარისხის გასაუმჯობესებლად ძალიან ცნობილი და ევროვიზიის ფარგლებში, ვფიქრობ, ყველაზე წარმატებული კომპოზიტორისთვის, ტომას გისონისთვის მიმემართა. ზოგადად წარმატებული მუსიკოსები იშვიათად მუშაობენ სხვის მიერ შექმნილ კომპოზიციაზე და, რა თქმა უნდა, მცირედი წვლილის შეტანაზე თანხმობას იშვიათად იძლევიან, მაგრამ ტომასს სიმღერა ძალიან მოეწონა და თანხმობის შემდეგ ერთად შევუდექით არანჟირების გაუმჯობესებას. საბოლოო ჯამში 2015 წლის ევროვიზიის ერთ ერთი ჰიტი გამოგვივიდა. სცენას რაც შეეხება, დაახლოებითი წარმოდგენა მთლიან პერფორმანსზე ჯერ კიდევ სიმღერის წერის დროს მქონდა. სცენის რეჟისორად ძალიან წარმატებული შვედი რეჟისორი, საშა ჟან-ბაპტისტი შევარჩიეთ, რომელიც მუშაობს „ევროვიზიაზე“, „იქს ფაქტორზე“ და სხვადასხვა წარმატებულ პროექტებზე. საშამ ჩვენ გამო უარი თქვა ყველა სხვა მონაწილის ნომერზე მუშაობაზე. გამიხარდა, რომ ჩვენი იდეები ერთმანეთს დაემთხვა. თვეების განმავლობაში ვგეგმავდით როგორი უნდა ყოფილიყო სცენა და საბოლოოდ, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო შედეგი მივიღეთ. სასცენო კოსტიუმის დიზაინი ჩემი შექმნილია. თავდაპირველად სხვა კოსტიუმი შეიკერა, დიზაინი მე, საშას და ქართველ დიზაინერს, ქეთი ჩხიკვაძეს ეკუთვნოდა, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ხვდები, რომ ეს ის კოსტიუმი არ არის, რომელიც უნდა გეცვას. ამიტომ თავად შევქმენი სკეტჩი, ვიყიდე ძირითადი მატერია და ისევ ქეთისთან მივედი, რომ სკეტჩი რეალობად ექცია. მიხარია, რომ ქეთიმ სწორედ ისეთი კოსტიუმი შეკერა, როგორიც ჩანაფიქრში მქონდა. სკეტჩში ძალიან სპეციფიკურად განსახორციელებელი საქმე ფეხსაცმელი და თავის აქსესუარი იყო. ამ რთული საქმისთვის ჩემთვის ერთ-ერთ საყვარელ დიზაინერს - თამარა სუჯაშვილს მივმართე და მან ერთი ერთში შექმნა ის, რაც მინდოდა რომ შეექმნა.

- თითქმის ყველა ქართველი მომღერალი, ვინც ამ კონკურსზე წავიდა, ამბობს, რომ ეს უზარმაზარი გამოცდილებაა... რა მოგცა შენ ამ კონკურსმა?

- ევროვიზია ქართველი მომღერლებისთვის ნამდვილად ძალიან საინტერესო გამოცდილებაა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ კონცერტების ჩატარებას, მაგრამ კონცერტის ჩატარება ისეთ ტექნიკურად უმაღლეს პირობებში, როგორსაც ევროვიზია მომღერას სთავაზობს, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, წარმოუდგენელი ამბავია. ამიტომაც ვფიქრობ, ყველა არტისტი, შედეგის მიუხედავად, მაინც ძალიან კარგად გრძნობს კონკურსის დასრულებისას თავს. პირადად ჩემთვის ეს სასიამოვნო გამოცდილება იყო. წარვადგინე ჩემი სამშობლო და გამოსვლამ ძალიან დადებითი შეფასება მიიღო. ვიმღერე ტექნიკურად გამართულ დარბაზში და ჩემი მუსიკა, ჩემი შეხედულებები და იდეები მთელ ევროპას გავუზიარე.

- ნინა, შენ სოციალურ ქსელში განათავსე რეპეტიციის ვიდეო, რომელიც ფინალზე ნაწილობრივ შეიცვალა. რა მოხდა?

- სამწუხაროდ, ფინალის დღეს, პირდაპირ ეთერში ტექნიკურ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი, რომელსაც, რა თქმა უნდა, არავინ ველოდით. სცენაზე არასწორად გამოუშვეს ბოლი, ფაქტობრივად ნახევარი გამოსვლა ამის გამო ჩავარდა, რადგანაც კამერებმა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ДАგვხია უკან და ვერც ფინანსებმა

„რთულია ქულების მოცემის პროცესი. ამ დროს ხვდები როგორ უპირისპირდება პოლიტიკა ხელოვნებას და ეს გაურკვეველ გრძნობებს იწვევს ყველა არტისტში“

„განსაკუთრებულად ჩემი მეუღლე მგულშემატკივრობდა“

ვერაფრის გადაღება მოახერხეს და რამდენიმე წამის განმავლობაში მაყურებელი მხოლოდ გაბუღულ სცენას უყურებდა. ასევე არასწორი რაკურსით გადაიღეს უმნიშვნელოვანესი სპეც-ეფექტები, რომლის გარეშეც პერფორმანსმა, ფაქტობრივად, მთავარი აზრი დაკარგა. ამ ყველაფრის გამო, რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ევროვიზია არის კონკურსი, სადაც შოუს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროა, როდესაც ოთხი თვის განმავლობაში გაუჩერებლად შრომობ, დაუღალავად ცდილობ უკეთესი შედეგი აჩვენო და ფინალის დღეს, პირდაპირ ეთერში, ასეთი გაუთვალისწინებელი შეცდომები ხდება.

- ჩვენი ინფორმაციით რუსმა ჰაკერებმა ცრუ ინფორმაცია გაავრცელეს შენზე, რომ კოკაინის ზემოქმედების ქვეშ დაგაკავეს სამართალდამცავებმა... როგორ გგონია, ვის სჭირდებოდა ამის გაკეთება და რატომ?

- ნამდვილად ვერ გეტყვით რუსებმა გაავრცელეს თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, ეს ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი არ არის. თუმცაღა საიტი, რომელმაც ეს სტატია გაავრცელა, გარკვევით იუწყება იმასაც, რომ დეზინფორმაციულია და სასურველი იქნება თუ ქართული ინტერნეტმედია უფრო ყურადღებით მოეკიდება სწორი ინფორმაციის გავრცელებას, ხალხის შეცდომაში შეყვანა მედიის მხრიდან, ჩემი აზრით, დიდი დანაშაულია.

- საქართველოში შენს გამოსვლას კარგთან ერთად ცუდი შეფასებებიც ჰქონდა. ალბათ, გულსატკენია, როცა შენიანი არ გიჭერს მხარს, გაკრიტიკებს. რას ეტყვი მათ?

- ეს სამწუხარო ამბავი კი დაგვემართება ხოლმე ხანდახან. მე მიხარია, რომ მთელი საქართველო ჩართული იყო ევროვიზიის კონკურსში, წელს ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ და მართლაც რომ მთელი საქართველო და უცხოეთში მყოფი ქართველები გაერთიანებულები იყვნენ. ჩვენ ევროვიზიაზე საამაყოდ წარვდექით, ერთ-ერთი საუკეთესო ნომერი შევთავაზეთ მაყურებელს და ყოველგვარი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე 40 ქვეყნიდან მე-11 ადგილი დავიკავეთ. მიხარია, რომ ეს შედეგი ყველასთვის გასაგები და მისაღები აღმოჩნდა, ყველას მოეწონა და კმაყოფილი დარჩა. რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ყველამ ვიცით როგორი კონკურსია ევროვიზია და ამ შემთხვევაში შედეგი მხოლოდ არტისტზე არ არის დამოკიდებული. ათასი კაციდან ხუთი თუ უკმაყოფილოა, ეს დიდს არაფერს ნიშნავს და ნეგატივზე ყურადღების გამახვილება არასწორი იდეაა. საქართველო ღირსეულად წარსდგა, ღირსეული კონკურენცია გაუწია ყველა ქვეყანას, მათ შორის უზარმაზარ დიდ ბრიტანეთს, ესპანეთს, საფრანგეთს და სხვა მრავალს, რომელიც 0 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა. ვფიქრობ, ეს შედეგი ქართველი ხალხის სუფთა შრომის, მთელი გულის და სულის ჩადების დამსახურებაა. ვერც პოლიტიკამ დაგვხია უკან და ვერც ფინანსებმა.

„არასდროს მინდოდა და არც ახლა ვაპირებ პირადი ცხოვრებით და შეხედულებებით მაყურებლის თვალში გაჩხერას“

- ამბიციურობა დაგიწუნა მაიკო კაჭკაჭიშვილმა, რას უპასუხებ მას?

- ამბიცია ცუდი არ არის. ამბიცია მამოძრავებელი ძალაა, მით უმეტეს ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცდილობენ ქვეყნისთვის კარგი გაკეთონ. ამბიციაა, როდესაც უკეთესი გინდა, ამბიციაა, როდესაც უკეთესს ცდილობ. ამბიცია მაშინ არის ცუდი, როდესაც უმაქნისს აქვს, რომელიც არც არაფერს აკეთებს და ტყუილად თავს იქებს. მე ყოველთვის დაუღალავად ვშრომობ, ამით საკუთარ თავსაც ვავითარებ და საკუთარ შემოქმედებასაც, ამიტომ თუ მაქვს, ტყუილად არ მაქვს. ეს არავის საპასუხო სიტყვები არ არის, ზოგადი მოსაზრებაა.

- რომელი დღე, საათი, წუთი იყო ყველაზე ემოციური და რთული შენთვის?

- ემოციური იყო თითოეული გამოსვლა, რადგან იმ მომენტში ქვეყანას წარმოვადგენდი და თითოეული ქართველის გულისცემა მესმოდა. მეც მათთან ერთად განვიცდიდი ყველაფერს და ამასთან ემოციურად გამკლავება ძალიან საინტერესოა. ყველაზე რთული ჩემთვის საფინალო ნომრის, ფაქტობრივად, ჩაშლა იყო. როდესაც გამოსვლის შემდეგ მაჩვენეს ბოლში გახვეული სცენა და არასწორად გადაღებული კადრები, ძალიან დამწყდა გული და ძალიან განვიცადე. ასევე რთულია ქულების მოცემის პროცესი. ამ დროს ხვდები როგორ უპირისპირდება პოლიტიკა ხელოვნებას და ეს გაურკვეველ გრძნობებს იწვევს ყველა არტისტში. ზოგადად, ნებისმიერი კონკურსი ძალიან რთული გასაძლებია ადამიანისთვის, მით უმეტეს ისეთი, სადაც მხოლოდ შენს თავს არ წარადგენ. მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

- ვინ გედგა გვერდით, ვინ გამხნევებდა?

- ვფიქრობ, ეს იყო შემთხვევა, როდესაც მთელი საქართველო გვერდში მედგა და ეს ძალიან დიდ ძალას მაძლევდა, მაძლევს და მომავალშიც მომცემს. გყავდეს გულშემატკივარი და თანაც ამ რაოდენობის, მომღერლისთვის უდიდესი ბედნიერება და სტიმულია. განსაკუთრებულად ჩემი მეუღლე მგულშემატკივრობდა, მას ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ამ ნომრის მომზადებაში, ერთად ვმუშაობდით, ერთად გავაკეთეთ ყველაფერი, ერთად ავიღეთ ეს პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე. გიორგის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავად გამოდიოდა სცენაზე.

- და ბოლოს, როგორ გგონია, რა შეიცვლება შენთვის საქართველოში ამ კონკურსის შემდეგ კარიერის კუთხით?

- კარიერულად, ვფიქრობ, ყველაფერი ამ წლების განმავლობაში ძალიან სტაბილურად და აქტიურად მქონდა. მუდმივად სამუშაო პროცესში ვარ და გულშემატკივარს ყოველთვის ვახალისებ ჩემი შემოქმედებით. ახლაც ვიდეოკლიპის გადაღებას ვიწყებ და მეორე ალბომზე მუშაობასაც მალე დავასრულებ. არასდროს მინდოდა და არც ახლა ვაპირებ პირადი ცხოვრებითა და შეხედულებებით მაყურებლის თვალში გაჩხერას. უბრალოდ, იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ყოველთვის ვცდილობ ჩემი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გავუზიარო, მეც მეტი და მეტი სიამოვნება მივიღო ჩემი საქმისგან. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკის კეთებაა, სხვა დანარჩენი თავისით, ბუნებრივად მოდის და ხდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ინტერვიუ კახა კუკავასთან

კახა კუკავა: „უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას დაპატიმრება ადასტურებს არა სამართლიანობის აღდგენას, არამედ შერჩევით სამართლიანობას“

მირიან ბოქოლიშვილი

რას ფიქრობს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებზე? რა გარიგება შეიძლება არსებობდეს სააკაშვილ-ივანიშვილს შორის და რატომ უკავშირებს მერაბიშვილის, ახალაიასა და უგულავას დაპატიმრებას შერჩევით სამართალს? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ კახა კუკავას ესაუბრა:

– როგორც „მხედრიონი“ არ ექვემდებარება რებრენდინგს, ისე „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ შეძლებს ამას ძველი სახეებითა და ამავე სახელწოდებით. ალბათ, კიდევ წავლენ ვიღაცები. თვალშისაცემია, რომ დათო ბაქრაძეც ნელ-ნელა ცდილობს ამ პარტიისგან დისტანცირებას.

სხვათა შორის, გასულ კვირას 4 წელი გავიდა 26 მაისის ცნობილი მოვლენებიდან. დღეს ამ საქმეზე სასჯელს იხდის მხოლოდ ვანო მერაბიშვილი, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი. იმხელა მიტინგი დაარბიეს და იმდენი ჯალათი მონაწილეობდა იქ, რომ მხოლოდ მერაბიშვილზე ჯოხის გადატეხა არასამართლიანია. ვანო სულ არ იმყოფებოდა იქ, ეს სადამსჯელო ღონისძიება შესაძლოა, მის გარეშეც შესრულებულიყო. მთავარი პასუხისმგებლობა ვისაც აწევს, ის ხალხი არ დააპატიმრეს. ვანოც დაპატიმრეს, იმიტომ, რომ 17 მაისის მოვლენები გადაეფარათ. ხელისუფლებას არ აქვს ამ საქმის გამოძიების სურვილი და უნარი, რადგან ბევრი თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას, კვლავ თანამდებობაზე რჩება.

– რაკიღა 26 მაისს შევეხეთ, თავად აქციის ორგანიზატორების, კერძოდ, ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობაზე რას ფიქრობთ?

– ამაზე ყოველთვის იყო საუბარი, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ესეც იმის დასტურია, რომ ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ფაქტია, რომ არც ერთ მათგანს ამ მიმართულებით ძიება არ წაუყვანია და მხოლოდ ზეპირი საუბრები ისმის. პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე თუ საუბრობთ, კი ბატონო, გეთანხმებით, მე არ ვუჭერდი მხარს ამ აქციის პოლიტიკურ ნაწილს, მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს აქცია არასწორად იყო დაგეგმილი. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც 26 მაისს რუსთაველზე აღმოვჩნდი, იყო ის, რომ პოლიციამ დაიწყო ხალხის დარბევა.

– სააკაშვილის სისხლის სამართლებრივ დევნაზე რა აზრის ხართ?

– რეალურად სააკაშვილის წინააღმდეგ არანაირი დევნა არ მიმდინარეობს. დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს აქვთ კომუნიკაცია და ბევრ საკითხს ერთმანეთთან ათანხმებენ. როცა ბიძინა ივანიშვილი კვლავ სააკაშვილს გადააბარებს საქართველოს და თავად საფრანგეთში წავა საცხოვრებლად, ჩემი ეს ინტერვიუ მერე გაიხსენეთ. თუ მისი დაპატიმრება უნდოდათ, მანამდე უნდა მიეცათ პასუხისგებაში, სანამ საქართველოში იმყოფებოდა. კოდუა წავიდა ავსტრიაში და ერთ კვირაში აღძრეს საქმე, ადეიშვილი წავიდა უნგრეთში და ორ კვირაში აღძრეს საქმე. ასე მოხდა სააკაშვილის შემთხვევაშიც. ხელისუფლებამ ამ ადამიანებს ქვეყნის უსაფრთხოდ დატოვების გარანტია მისცა და ახლა საუბრები იმაზე, რომ სააკაშვილს დევნიან, ცოტა სასაცილოდ ჟღერს. ბაჩო ახალაიაც თვითონ ჩამოვიდა, გააღო ციხის კარი, ჩაჯდა საკანში და მოიხურა კარი. ესენი ვერც ახალაიას დაიჭერდნენ. უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას დაპატიმრება ადასტურებს არა სამართლიანობის აღდგენას, არამედ შერჩევით სამართლიანობას. რატომ მხოლოდ ეს სამი ადამიანი და არა სხვა, არანაკლებ მძიმე დანაშაულებში მხილებული პირები, რომლებიც ქვეყნიდან უმტკივნეულოდ გააცილეს.

– ანუ თქვენი ინფორმაციით, სააკაშვილი და ივანიშვილი ახლაც თანამშრომლობენ?

– ამაში დარწმუნებული ვარ. 21 მარტს ნაციონალების აქცია დააფინანსა ბიძინა ივანიშვილმა. დეკემბერ-იანვარ-თებერვალში ქვეყნის მთავარი თემები იყო ლარის კურსის გაუფასურება და ვაზაგაშვილის აფეთქება. მარტის მთავარ თემად კი იქცა ნაციონალების რევანში, რუსთაველზე დაგეგმილი აქცია და ა.შ. როგორც ჟანგბადის ბალიში, ისე სჭირდებოდა ბიძინა ივანიშვილს 21 მარტის აქცია.

– ნაციონალებიდან ოთხეულის წასვლას რას უკავშირებთ?

– პარტიის შიგნით რა ხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ მე რომ მათ ადგილზე ვიყო, აუცილებლად მოვახდენდი სერიოზულ ცვლილებებს და არა ფასადურს. იმ შრომით, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ეწევა, არჩევნებზე სხვა პარტია ხმების 60 პროცენტს მიიღებდა, მაგრამ მათ დამლად აზით ის 9-წლიანი რეჟიმი, რომელიც მთელ საზოგადოებას აწვნევინეს საკუთარ თავზე. ამ პარტიის რებრენდინგს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილებები იქნება იმ მასშტაბის, რომ 9-წლიანი რეჟიმის პასუხისმგებლობა ჩამოირეცხონ.

– ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების, იგივე ირაკლი წერეთლის მხარდაჭერას სააკაშვილის მიმართ, რით ხსნით?

– ეროვნული მოძრაობა არის ზვიად გამსახურდია და ის გუნდი, რომელმაც რეალურად მოგვიტანა საქართველოს დამოუკიდებლობა. იმ გუნდს, ვინც ბალტინი შემოიყვანა საქართველოში, არასდროს მივიჩნევდი ეროვნულ მოძრაობად.

– ვის გულისხმობთ?

– ირაკლი წერეთელი გახლდათ სახელმწიფო საბჭოში სწორედ იმ პერიოდში. თუ იმას ვიხსენებთ, რომ 80-იან წლებში ის მართლაც იბრძოდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს 90-იანი წლების სამარცხვინო ფურცლები, როცა ედუარდ შევარდნაძესთან ერთად სამეგრელოს ტყეებში მოსაკლავად დასდევდნენ ზვიად გამსახურდიას, ამ დროს იგივე ირაკლი წერეთელი იჯდა სახელმწიფო საბჭოში. მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილას, მინიმუმ ვიტყოდი, რომ ამ ქვეყანაში მთლად ყველაფერი რიგზე არ არის-თქო. სამოქალაქო ომში იყო ორი მხარე – შევარდნაძე და გამსახურდია. ის ხალხი, ვისაც ახლა ეროვნულ მოძრაობად წარმოადგენენ, იყო შევარდნაძის მხარეს.

„როგორც „მხედრიონი“ არ ექვემდებარება რებრენდინგს, ისე „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ შეძლებს ამას ძველი სახეებით და ამავე სახელწოდებით“

რაზე ვერ თანხ

მირიან ბოქოლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობიდან“ ოთხეულის წასვლა გასული კვირის მთავარ თემად იქცა. ამ ფაქტს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა, რომლის ინფორმაციითაც, „ნაციონალები“ კიდევ სამ ჯგუფად იყოფიან, თუმცა ღარიბაშვილს არ დაუკონკრეტებია, რა ჯგუფებზეა საუბარი. საზოგადოების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს სააკაშვილის გუნდის ტაქტიკური სვლა გახლდათ და რეალურად, პარტიამ გაშლის იმიტაცია გაითამაშა.

„ნაციონალების“ გარდა, როგორც ჩანს, მმართველ გუნდშიც მთლად ყველაფერი რიგზე არ არის. ამას თუნდაც ის ხმაური მოწმობს, რომელიც გასულ კვირას საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების არჩევას უკავშირდებოდა. ამბობენ, რომ მმართველ გუნდში გავლენების გადანაწილება სერიოზული დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს.

რა ხდება რეალურად ქართული პოლიტიკის კულუარებში? ვინ ვის უპირისპირდება გუნდებს შიგნით და რა კონფიგურაციის პარლამენტს მივიღებთ 2016 წლის არჩევნების შემდეგ? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ოთარ ჩრდილელს ესაუბრა.

– პირველ რიგში, მაინტერესებს თქვენი შეფასება, დაიშალნენ თუ გაიშალნენ ნაციონალები?

– ვფიქრობ, ეს იყო კლასიკური დაშლა და „ნაცმოძრაობის“ დაშლის დეტონაცია გამოიწვია ბევრმა ფაქტორმა. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო გაქცევის იმიტაცია საკუთარი წარსულისგან. „ნაცმოძრაობის“ რაღაც სეგმენტმა ჩათვალა, რომ დისტანცირება მოეხდინა ცხრაწლიანი სისტემური დანაშაულებიდან, ჩამოშორებოდა ამ დანაშაულებს თუ მათი ავტორების მუდმივ „გაპრავებას“. მეორე საკითხია, რამდენად ეფექტური აღმოჩნდება „ნაცმოძის“ ამ ნატეხის, დავარდნა პოლიტიკურ სივრცეში. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: ვიდრე მინარეთს მოიპარავ, იფიქრე, სად დამალავ მას. რასაც გასულ კვირას ვუყურეთ, ვერ ვიტყვით იმას, რომ მათ გარკვეული აქვთ, რა სურთ, გარდა უკვე მრავალჯერ გადამღერებული ლიბერალური გზისა და ფართომასშტაბიანი შეტევისა ხელისუფლებაზე. ისინი კიდევ კარგა ხანი იქნებიან თავისმართლების რეჟიმში: საკუთარ ხელმძღვანელობასთან, კოლეგებთან, ამომრჩეველთან.

– პრემიერის ინფორმაციით, პარტიის შიგნით კიდევ სამი დაჯგუფება იკვეთება... თქვენი ვარაუდით, რა დაჯგუფებებზეა საუბარი?

– ნაციონალებში განხეთქილება არახალია. ჯერ კიდევ მერის არჩევნების დროს სერიოზული განხეთქილების ვაშლი ჩამოვარდა სააკაშვილ-უგულავას შორის. მიშა – ვაშაძეს, ხოლო გიგი ნიკანორს ლობირებდა. შემდეგ იყო შიდა პერტურბაციები, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა მათ ე.წ. აქციებზე... ზოგი საერთოდ „ჩამოშორდა“ მათ და მშვენიერი ქართული სახელი „ივერია“ დაირქვა... ნაციონალებისგან დისიდენტთა რიგებში ჩაეწერა ნიკა რურუა, გრიგოლ ვაშაძე და ა.შ. სიტყვა დისიდენტმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს. ლათინურ-რელიგიური ტერმინია. შენგან განვჯდები, ანუ შენთან ერთად არ ვჯდები... საკვირველი არა ნაციონალების დაშლა, არამედ მათი ერთიანობის ილუზიის შექმნა იყო. მანდ ბევრი დაჯგუფებაა: მიშას, ვანოს, უგულავას, ბაქრაძის, ახალაიას. ამ უკანასკნელის ირგვლივ გაერთიანებულია სამეგრელოს ნაციონალური დეპუტაცია და მათ ბონუსად დამატებული აკაკი მინაშვილი. მათთან სერიოზული დულილი მიდის, აღნიშნული კვარტეტი უკვე კარგა ხნის ჩაძირული ნაციონალური გემიდან გადასახტომად ყველაფერს აკეთებდა. მათ გუნდში თანამოაზრეები დარჩათ.

– ფიქრობთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვებიც დატოვებენ?

– ჩემი სუბიექტური აზრით, აუცილებლად მოხდება ბერთოლეს მარილივით მათი დაშლა. ფიზიკის კანონია, რაც იწელება, აუცილებლად სკდება. იწელებოდა ამ პარტიის შიგნით სიტუაცია და ბოლოს გასკდა.

– მომავალ არჩევნებში ვინ წარმოგიდგენიათ მთავარ ოპოზიციურ ძალად?

– მე ნაკლებად ვფიქრობ, ვინ იქნება ოპოზიციურ ველზე მთავარსარდალი, ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია, რა ღირებულ რეფორმებს გავატარებთ ჩვენ, რათა ხალხმა კიდევ ერთხელ მოგვცეს ნდობის ვოტუმი. ძველად ესპანეთში ცამეტზე მეტკაციან თეატრალურ დასს კამპანიას ეძახდნენ. დარწმუნებული ვარ, მომავალ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ ნამდვილად არ იქნება მთავარ ოპოზიციურ ძალად წარმოდგენილი და ერთი კამპანიაც კი არ ეყოლებათ პარლამენტში. არასაპარლამენტო პარტიებიდანაც ვერ გამოვყოფ ვერავის. იცით, რამდენიმე მათგანი ვერ ავითარებს სტრატეგიას, აქვთ ძალიან მწირი და ერთფეროვან-მომაბეზრებელი ლექსიკა. როცა ქართულ პოლიტიკაში 20-25 წელი ხარ და არ ცდილობ, პარტიაში გქ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოთარ ჩრდილელი: „ამ საკითხზე ნამდვილად აქვთ უთანხმოება“

„სააკაშვილი ჩარჩა იქ, სადაც პირადმა ტრუბადურმა, აწ მისგან დისტანცირებულმა ხაჩიძემ, ხელთუქმნელი ოდა „მიშა მაგარია“ უმღერა“

EXCLUSIVE

ონდეს პლურალიზმი, ამომრჩეველი შენდამი კარგავს ინტერესს და ხდები პარაზიტი. პარაზიტების ადგილი კი პოლიტიკაში არ არის.

– რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ნაციონალების ერთი ფრთა, თუნდაც გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით გაუერთიანდეს ირაკლი ალასანიას გუნდს?

– ქართულ პოლიტიკაში გამორიცხული არაფერი არ არის. ვერ გეტყვით, რამდენად მომხიბვლელი და მაცდურია ალასანიასთვის ბოკერიას ამორალური იდეების ფრქვევა. ჩემი აზრით, მთლად გიგა ბოკერიას პროექტი არ არის „ივერია“, რომელთანაც, ვფიქრობ, თუ სიღრმისეული არა, რაღაც გადაკვეთის წერტილი მაინც ექნებათ „თავისუფალ დემოკრატებს“. ყველას თავისი პოლიტიკური გზა აქვს არჩეული. სააკაშვილის ანტურაჟიდან, გარეგნულად ყველაზე დავარცხნილი თითქოს ეს ჯგუფი ჩანს. თუმცა, რა თქმა უნდა, მათ აქვთ სერიოზული მინუსები, რომელსაც ამომრჩეველი არ და ვერ ივიწყებს.

– როგორ ფიქრობთ, რა საკითხებზე ვერ თანხმდებიან პარტიის შიგნით? ამბობენ, რომ პარტიის ნაწილი სააკაშვილისგან გამიჯვნას ითხოვს, რომელიც მოვლენების რადიკალური გზით განვითარების მომხრეაო.

– ფატალისტ-ტაქტიკოსად დაბადებული სააკაშვილი სუსტი ფსიქიკის პოლიტიკური ცხოველია. ის ცუდი პირით ყველაფერს გარეთ ამოაბრუნებს: თავის პუბლიკას, თავის მოწინააღმდეგეებს, თავის პიჯაკსაც კი, თუკი ეს რაიმეთი მაინც სასარგებლო იქნება პირადად მისი პოლიტიკური პერსონისთვის. რა თქმა უნდა, არის ჯგუფი, რომელსაც უნდა, მიშას ჩრდილიდან გამოვიდეს. ისინი ცოტა ხნის წინ მიხვდნენ, რომ მიშასგან დამოუკიდებლად სიარული და თქვენ წარმოიდგინეთ, აზროვნებაც კი შეუძლიათ. არ შეიძლება პარტია ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მუდმივად ჰეითსფიჩით, სიძულვილის ენით საუბრობდეს. წავიდა ეგ დრო, თან კარგა ხანია. სააკაშვილი ჩარჩა იქ, სადაც პირადმა ტრუბადურმა, აწ მისგან დისტანცირებულმა ხაჩიძემ, ხელთუქმნელი ოდა „მიშა მაგარია“ უმღერა. სააკაშვილი თავისი გუნდის ყველა იდეას თავად მიიწერდა. და მაშინ, როცა პოლიტიკოსი, წვიმის მოყვანასაც კი იბრალებს, მზად უნდა იყოს, რომ საზოგადოება გვალვასაც მას დააბრალებს!!!

– თავად მმართველი გუნდი რამდენად ერთიანია? უმრავლესობის ბოლო შეხვედრა, სადაც კომიტეტების თავმჯდომარეების საკითხი განიხილებოდა, აშკარად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა....

– კოალიცია ეკლექტურია, ყველა პოლიტგემოვნების ამომრჩეველზეა გათვლილი. ჩვენ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ ვართ აგრესიულნი, პირიქით, მშვიდი ძალა ვართ, რომლის ფორმულაც არის „ეფექტურობა გამრავლებული სიფრთხილეზე“. არანაირი ხასიათის შიდა უთანხმოება არ არის. ჩვენ არ ვცდილობთ, სკამებისთვის ერთმანეთს პრობლემები შევუქმნათ. არის აზრთა სხვადასხვაობა, პლურალიზმი, მაგრამ ყოველთვის მივდივართ კონსესუსამდე, რომ მთავარია საერთო, ქვეყნის საქმე და არა პირადი ამბიციები.

– ამბობენ, რომ 2016 წლის არჩევნებზე მმართველი გუნდის ბევრ წარმომადგენელს ახალი სახეებით ჩანაცვლებენ, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?

– ოპოზიციის კვაზიფუფუნებაა, რომ ერთი და იგივე გუნდი ჰყავდეს მუდმივად ათწლეულების მანძილზე. ერთი კაცი ხელმძღვანელობდეს მუდმივად პარტიას და არ უშვებდეს მის სადავეებს. საერთოდ, პოლიტიკაში ნებისმიერი თავმოყვარე პარტია თუ კოალიცია უნდა იყოს განახლებადი. მით უმეტეს, როდესაც საუბარია მმართველ ძალაზე. აქედან ჩანს, რომ მომავალი არჩევნებისთვის, ჩვენს გუნდშიც მოხდება სერიოზული ცვლილებები. მოგეხსენებათ, სულ სხვა მიზნები იდგა 2012 წლის არჩევნებზე და სულ სხვა რეალობა და გამოწვევები გვექნება 2016 წლისთვის.

„მომავალ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ ნამდვილად არ იქნება მთავარ ოპოზიციურ ძალად წარმოდგენილი“

– დაბოლოს, მედიაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს ხელისუფლების შიგნითაც არსებობს დაპირისპირება, იგივე ღარიბაშვილსა და კალაძეს შორის... არსებობს თუ არა რაიმე უთანხმოება?

– შეიძლება, ღარიბაშვილს ვისკი და კალაძეს ევროპულად დაყენებული ღვინო მოსწონს და ამ საკითხზე ნამდვილად აქვთ უთანხმოება, მაგრამ თუ პოლიტიკურ, ფუნდამენტურ უთანხმოებაზე მესაუბრებით, გეტყვით, რომ ეს არის ჩვეულებრივი დეზინფორმაცია. ე.წ. „უტკა“, რომელსაც ჩვენი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მტერი ატარებს. მერწმუნეთ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს ასეთი დეზინფორმაციული გამოხტომები ჩვენ მიმართ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი შალიკაშვილი და ვერკა ჯაჯანიძე შემოდგომაზე დაქორწინდებიან

ფეხბურთელი ირაკლი შალიკაშვილი მოცეკვავე ვერკა ჯაჯანიძეზე შემოდგომაზე დაქორწინდება.

ვერკა ტელეპროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მოცეკვავეა და მალე საკუთარ საცეკვაო სტუდიასაც გახსნის.

ფეხბურთელი და მოცეკვავე უკვე 10 თვეა ერთად არიან. ირაკლიმ ხელი ვერკას „ნანუკას შოუში“ სთხოვა და თანხმობაც მიიღო. ქორწილს კი ახალგაზრდა წყვილი შემოდგომაზე, ოქტომბრის დასაწყისში აპირებს.

როგორც ირაკლიმ გვითხრა, ერთმანეთი გიგი გაჩეჩილაძისგან გაიცნეს, ერთმანეთი მაშინვე მოეწონათ და მას შემდეგ ერთად არიან. ურთიერთობის წლისთავზე, წყვილი საკუთარ სიყვარულს ქორწინებით დააგვირგვინებს.



უჩა ლობჟანიძემ ქორწილი ვიწრო წრეში გადაიხადა



ცოტა ხნის წინ, „პრაიმტაიმი“ წერდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კვიპროსული „ომონიას“ ქართველი ფეხბურთელი, უჩა ლობჟანიძე მალე დაქორწინდებოდა.

ფეხბურთელი მომავალი ცოლის ვინაობას ქორწილამდე ყველას უმალავდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარძლის, 19 წლის მარის გვარი, დღემდე ისევ არ იციან უჩას მეგობრებმა. ფეხბურთელმა მეუღლეს სოციალურ ქსელში პირადი გვერდი გააუქმებინა, ქორწილი კი, რესტორან „გუჯარში“, რომელიც ბუბუტეიშვილების რესტორნადაა ცნობილი, ვიწრო მეგობრების წრეში გადაიხადა.

უჩამ და მარიმ ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს, ქორწილის შემდეგ კი თაფლობის თვის გასატარებლად, მალდივებზე გაემგზავრნენ. საქორწინო მოგზაურობიდან წყვილი 2 ივნისს დაბრუნდება.

ირაკლი კლიმიაშვილი ეგვიპტე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუსკა ჩაჩუა მესამე შვილის დედა ხდება

ტელეწამყვანი და მოდელი რუსკა ჩაჩუა ივლისში მესამე შვილს ელოდება. როგორც რუსკამ „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, ის გოგონას მოლოდინშია. პატარასთვის შოფინგს მეუღლესთან ერთად აწყობს. მას პირველი ქორწინებიდან 13 წლის თაზო და 6 წლის ნადინკა ჰყავს. და-ძმა პატარას ისე ელოდებიან, რომ ზღვაზე წასვლაც არ უნდათ თურმე.

რუსკა ჩაჩუა:

- სახელს ვერ ვამხელთ, ის ჩემი მეუღლის შერჩეულია და ალტერნატივა არც მიძებნია.

- მამა ქალიშვილის დაბადებას ხომ არ დაესწრება?

- არა მგონია. იმდენად განიცდის ექოსკოპიაზე დასწრებასაც, რომ ეჭვი მეპარება იმ ყველაფერს გაუძლოს, რასაც შვილის დაბადება ჰქვია. ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს. დიდ მოლოდინშია.

რუსკას რჩეული დიმა ნაფეტვარიძეა, მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი. წყვილმა ჯვარი სამების საკათედრო ტაძარში 7 სექტემბერს დაიწერა.

...ში ისვენებს

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი, ირაკლი კლიმიაშვილი, ცოლთან, ანუკი გონგაძესთან ერთად ეგვიპტეში ისვენებს.

ირაკლი და ანუკი შარმ-ელ შეიხში 24 მაისს, საქართველოში, საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ გაემგზავრნენ, სადაც მათთან ერთად რამდენიმე გუნდელი და მეგობარი იმყოფება.

როგორც სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოებიდან ირკვევა, წყვილი უკვე კარგად გაირუჯა. 30 მაისს კი ირაკლის დაბადების დღეა. ფეხბურთელი თავის 27-ე დაბადების დღეს სწორედ შარმ-ელ შეიხში გადაიხდის.

ირაკლი და ანუკი საქართველოში 31 მაისს დაბრუნდებიან, შემდეგ კი ფეხბურთელი გადაწყვეტს, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

სოფო ტოროშელიძე ვაჟის დედა გახდა



მომღერალი სოფო ტოროშელიძე გუშინ, დღის 2 საათზე, დედა გახდა. მომღერლის ვაჟი 2 კილოსა და 800 გრამს იწონის. მან თავისი ვაჟის სახელი გაგვიმხილა.

სოფო ტოროშელიძე:

- ვაჟს მაქსიმე დავარქვი. ყველაფერი კარგადაა, თავს მშვენივრად ვგრძნობთ.

ახლად გამომცხვარი დედა სოციალური ქსელის მეშვეობით ყველას მადლობას უხდის.

„ძალიან დიდი მადლობა ყველას!!! პირველ რიგში ჩემს მეგობრებს, რომლებიც პირველივე წუთებიდან ჩემ გვერდში იდგნენ და მამხნევებდნენ და ყველაზე რთულ პერიოდში მეხმარებოდა ის ფაქტი, რომ მარტო არ ვიყავი! ყველას მადლობა, ვინც მომილოცეთ, ხალხნო, მთელი ჩემი ოჯახის სახელით“.

სოფო ხალვაშისა და აჩიკო bazaarr გულედანის ტანდემი

სოფო ალბომზე მუშაობს და როგორც გვითხრა, საკმაოდ განსხვავებული სტილის სიმღერებზე, რომელსაც ბექა ჯაფარიძე უწერს, ინგლისურენოვან ტექსტებზე კი აჩიკო გულედანი მუშაობს. მომღერალი ამ ალბომის ქართული ვერსიის ჩაწერაზეც ფიქრობს.

სოფო ხალვაში:

- ჯერ რამდენიმე სიმღერა გვაქვს მზად. ვერ გეტყვით როდის გამოვა. მთავარი ხარისხია. გეტყვით, რომ განსხვავებულია იმისგან, რაც აქამდე მიკეთებია. ახალი ჟღერადობითა და ელექტრო ხმებით კლუბური მუსიკაა. მე და აჩიკო ვმეგობრობთ. ერთად ბევრი რამ გვიკეთებია. ევროვიზიაზე მე ბექას სიმღერა შევასრულე. აჩიკო კი ჩემი მეუღლის ძმაა, ახლო ნათესავები არიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახლიდან გაქცეული ცოლის დასაბრუნე

ნელი თორდია

„იმის გამო, რომ პირადი ნივთები და ბავშვის ტანსაცმელი წამოვიღე, დასაჭერად მიმეტებდა და ასეთ კაცთან როგორ უნდა დავბრუნდე?“

რამდენიმე დღის წინ, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში 36 წლის გია სოსელიამ 34 წლის მეუღლე და საკუთარი 11 წლის შვილის დედა ეჭვიანობის ნიადაგზე დანით მოკლა. გავრცელებული ინფორმაციით, წლების წინათ გარდაცვლილის დედაც მეუღლემ მოკლა. ცოლის მკვლელობით დასრულდა 25 მარტს სვანეთის უბანში დაწყებული ოჯახური კონფლიქტიც. საბედნიეროდ, ჩვენი რესპონდენტის შემთხვევაში, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ამჟამად ქალბატონი და მისი შვილი უსაფრთხო ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ საფიქრალია, სად არის ოჯახური კონფლიქტის სათავე, რამ აიძულა 30 წლის ქალი, ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლის ოჯახიდან გამოქცეულიყო და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისთვის შეეფარებინა თავი? რატომ მიმართა პროკურატურას ქალის მეუღლემ და რა ელით უსახლკაროდ დარჩენილ დედა-შვილს? იმ პირობით, რომ რესპონდენტის ვინაობას არ გავამხელდით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტმა მანანა ფურცხვანიძემ ორგანიზაციის ერთ-ერთი ბენეფიციარის მძიმე ცხოვრების შესახებ გვიამბო:

– ჩვენს ორგანიზაციაში მოსვლამდე 30 წლის ფატი ს-ძემ მძიმე ცხოვრება გაიარა. აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში დაიბადა და გაიზარდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მშობლები გარდაეცვალა და შორეულმა ნათესავმა შეიფარა. 17 წლის იყო, ნათესავმა რომ გამოუცხადა, ჩემი შვილების რჩენა მიჭირს და შენ ვეღარ დაგეხმარები, საკუთარ თავს თავად უნდა მიხედოო. სოფელში სამსახური ვერ იშოვა, ამიტომ თბილისში ჩამოვიდა და ერთ-ერთ მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. სწორედ აქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რომელიც თავიდან ყურადღებას არ აკლებდა და თავს ევლებოდა. გოგონამაც იფიქრა, მის ცხოვრებაში რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა და გადაწყვეტილება ძალიან ადრე მიიღო. მალე აღმოჩნდა, რომ ქმარი დედაზე იყო დამოკიდებული და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ფატიმ მალევე შეიტყო, რომ დედამთილი ბავშვის გაჩენის წინააღმდეგი იყო. ქორწინებიდან რამდენიმე დღეში რძალს გამოუცხადა, ჯერ ბავშვის გაზრდის საშუალება არ გაქვთ და რამდენიმე წელი თავი შეიკავეთო. გაფრთხილების მიუხედავად, გოგონა მაინც დაფეხმძიმდა, რასაც ოჯახში დიდი დავიდარაბა მოჰყვა.

– ბავშვის მოშორებას სთხოვდნენ?

– არ ვიცი, რა ჰქონდათ გეგმაში, მაგრამ ქმარი აცხადებდა, რომ ბავშვი მისი არ იყო. ფატი იძულებული გახდა, ეთქვა: რომ გაჩნდება, დნმ-ის ანალიზი ჩაუტარე და გაიგებ, ვისიაო. ამის თქმა და ქმრის გადარევა ერთი იყო. ფეხმძიმე ქალს საცემად გამოეკიდა, მაგრამ მან მოასწრო და მეზობელთან შეაფარა თავი. ერთი რომ მიეჩვია, მერე მცირე შელაპარაკებაზე მამაკაცი ცოლს გამეტებით სცემდა და ასე წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ძალადობას საშინელი უნდობლობაც ემატებოდა და ქალი იძულებული გახდა, სახლიდან გამოქცეულიყო.

– ქმარმა პროკურატურას როდის და რატომ მიმართა?

მანანა ფურცხვანიძე

„გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქალმა დახმარებისთვის მოგვმართა და დღემდე ჩვენი ორგანიზაციის თავშესაფარში ცხოვრობს“

ნამლავს თუ არა ფეროშენადნობი ქ

რა შედეგებს აჩვენებს ქალაქის ოთხ ადგილას დამონტაჟებული ჰაერის მონიტორინგის სისტემა?

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ზესტაფონში სხვადასხვა სახის დაავადებების გახშირებაზე იყო საუბარი. საზოგადოების ნაწილი ამას ფეროშენადნობ ქარხანას უკავშირებს, საიდანაც, როგორც სტატიაში იყო აღნიშნული, მავნე ნივთიერებების ნაწილი მდინარეში ჩაედინება, ნაწილი კი ჰაერში იფანტება.

სტატიაში ფეროშენადნობი ქარხნის წარმომადგენლის პოზიცია არაზუსტად წარმოჩინდა, ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ დეტალურ განმარტებას იმაზე, რასთან გვაქვს რეალურად საქმე. წამლავს თუ არა ფეროშენადნობი ქარხანა ადგილობრივ მოსახლეობას და რამდენს ხარჯავს კომპანია ზიანის შემცირების მიზნით? **ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ზაქარია ზალიკაშვილს ესაუბრა:**

– თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარი იყო წყლის დაბინძურებაზე. დიახ, ჩვენ ნამდვილად ვიყენებთ დიდი მოცულობით წყალს, ვინაიდან ლითონის ნდობა მაღალ ტემპერატურასთან არის დაკავშირებული და, შესაბამისად, გვჭირდება გაგრილების სისტემა. ამ სისტემისთვის ჩვენ ვიყენებთ მდინარის წყალს, რაშიც გარკვეულ საფასურს ვიხდით, შემდგომ ეს წყალი ჩაედინება კანალიზაციაში და უერთდება ქალაქის მთავარ საკანალიზაციო სისტემას. ტექნიკურ წყალს, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ გაგრილების სისტემისთვის, არანაირი კავშირი არ აქვს სასმელ წყალთან. ჩვენი შიდა სასმელი წყალი გამიჯნულია ქალაქის წყლის მომწოდებელი სისტემისგან.

– რაც შეეხება ჰაერის დაბინძურებას... ამ პრეტენზიებს რას უპასუხებდით?

– თუ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ჩვენი წარმოებით გამონაბოლქვს წარმოვქმნით, ამაზე გეტყვით შემდეგს: გასულ წელს ჩვენ ჩავატარეთ ყველა არსებული ღუმელის კაპიტალური რემონტი, რაც მნიშვნელოვნად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბლად ქმარმა პროკურატურაში იჩივლა

„ფეხმძიმე ქალს საცემად გამოეკიდა, მაგრამ მან მოასწრო და მეზობელთან შეაფარა თავი“

– როგორც კი ქალი შვილთან ერთად სახლიდან წამოვიდა, ქმარმა მაშინვე განცხადება შეიტანა მთავარ პროკურატურაში, ცოლმა სახლიდან ნივთები მომპარა და ბავშვი გაიტაცაო. ამის შემდეგ პოლიციამ პირდაპირი დავალება მიიღო პროკურატურიდან, რომ დაეწყოთ სისხლის სამართლებრივი დევნა. თავიდან არ უცდიათ, გაერკვიათ, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა ქმრის სიტყვები, პირდაპირ ქალის დევნაზე გააკეთეს მითითება, მაგრამ მერე განცხადებას სერიოზულად რომ გადახედეს, მიხვდნენ, რომ ფაქტები რეალობას არ შეესაბამებოდა. ქალმა სახლიდან ნივთები კი წაიღო, მაგრამ ეს იყო პირადი მოხმარების საგნები და ბავშვისთვის ნაჩუქარი ნივთები.

– რა იყო ქმრის მიერ პროკურატურაში განცხადების შეტანის მიზანი?

– ქმარს უნდოდა, რომ ეს ქალი დაეშანტაჟებინა და ხაფანგში გაება. მშვენივრად იცის, რომ ფატის მშობლები არ ჰყავს, ნათესავები სოფელში ცხოვრობენ, მისი დახმარება არ შეუძლიათ და დარწმუნებული იყო, ცოლის სახლში დაბრუნებას ზეწოლის გზით მოახერხებდა. მერე, ალბათ, განცხადებასაც გამოიტანდა. არ ვიცი, საიდან გაიგო ჩვენი ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქალმა დახმარებისთვის მოგვმართა და დღემდე ჩვენი ორგანიზაციის თავშესაფარში ცხოვრობს. ქმართან ცხოვრების პერიოდში ქალს რამდენჯერმე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, ამიტომ მასთან ფსიქოლოგები მუშაობენ. როგორ გასაკვირადაც არ უნდა გეჩვენოთ, ქმარს ამ დრომდე აქვს მოლოდინი, რომ ცოლი შეურიგდება, თუმცა ცოლი შერიგებას კატეგორიულად გამორიცხავს. სასამართლოში უკვე შეიტანა განცხადება განქორწინებაზე და ჩვენი ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს.

„მცირე შელაპარაკებაზე მამაკაცი ცოლს გამეტებით სცემდა და ასე წლების განმავლობაში გრძელდებოდა“

ფატის წარსულზე საუბარი უჭირს. ოჯახური კონფლიქტის მიზეზებზე საუბრისას განმარტავს, რომ ქმართან ურთიერთობა დედამთილის ჩარევისა და ქმრის პათოლოგიური სიმთვრალის გამო დაეძაბა. მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე არავინ ჰყავს და ქმრის სახლის გარდა, საცხოვრებელი არსად გააჩნია, მეუღლესთან დაბრუნებას კატეგორიულად გამორიცხავს.

ფატი ს-ძე:

– 2009 წელს დავქორწინდი. სამწუხაროდ, ქმარი პათოლოგიურად მსმელი და ეჭვიანი გამოდგა. მთვრალი შეურაცხადი ხდებოდა და შეეძლო, ყველაზე და ყველაფერზე ეეჭვიანა. ამას დედის „შეგონებებიც“ ხელს უწყობდა. მაღაზიაში რომ ჩავსულიყავი, დედამთილი ამასაც „სხვანაირად“ იგებდა. მეგობრებთან ურთიერთობასა და სადმე წასვლაზე საუბარი ზედმეტია, ტელეფონზე ლაპარაკიც კი აკრძალული მქონდა. იმის გამო, რომ წასასვლელი არსად მაქვს, ცემასა და თმით თრევასაც ვუძლებდი, მაგრამ ისეთი სიბინძურე დამაბრალა, რომ ამის შემდეგ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. პროკურატურაში განცხადება შეიტანა, რომ ოჯახიდან ნივთები მოვიპარე და ბავშვი გავიტაცე, რაზეც კინაღამ გავგიჟდი. იმის გამო, რომ პირადი ნივთები და ბავშვის ტანსაცმელი წამოვიღე, დასაჭერად მიმეტებდა და ასეთ კაცთან როგორ უნდა დავბრუნდე? მერე უთქვამს, თუ შემირიგდება, პროკურატურიდან განცხადებას გამოვიტანო. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ, მასთან ცხოვრებას ციხეში ჯდომა მირჩევნია. ასე რომ, შეიტანს თუ გამოიტანს იმ განცხადებას, უკვე სულ ერთია.

„ძდექ“-ის იურისტის თქმით, სამართალდამცავები უკვე გაერკვნენ პრობლემის არსში და, სავარაუდოდ, მარტოხელა დედას მათი მხრიდან პრობლემები არ ემუქრება. რაც შეეხება საფრთხეს, რომელიც ყოფილი მეუღლის მხრიდან მომდინარეობს, არასამთავრობოების განმარტებით, ამ პრობლემის მოგვარებისთვის მუშაობა უკვე დაწყებულია.

არხანა ადგილობრივ მოსახლეობას?

ცვლის გამონაბოლქვის ხარისხსა და დოზას. ამავე დროს ჩვენ დავაყენეთ ახალი ტიპის გამწმენდი საშუალებები, რომელიც შევიძინეთ გერმანიაში. ეს არის ფილტრები, რომელიც ეტაპობრივად მონტაჟდება ამ ღუმელებზე. ქარხანა 1930 წელს აშენდა და ღუმელებს ყოველთვის ეტაპობრივად უტარდებოდა რემონტი. გასულ წლებში იყო სტაგნაცია, ბოლო ორი წელიწადია, ჩვენ აქტიურად დავიწყეთ ღუმელების კაპიტალური შეკეთება. ახალი ტიპის ფილტრების დაყენება კიდევ უფრო ამცირებს გარემოზე ზემოქმედების პროცესს. ეს შედეგი ჩვენთვის უფრო თვალსაჩინო რომ გამხდარიყო, ქალაქის პერიმეტრზე დავდგით ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სისტემა, ეს არის ოთხი დამოუკიდებელი სადგური, რომელიც შეიწოვს არსებულ ჰაერს, ამოწმებს მტვერს და ადგენს მავნე ნივთიერებების მაჩვენებლებს. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის საკუთარი თავის მონიტორინგი, თუმცა მონიტორინგის შედეგები საჯაროა და ის ონლაინ აისახება ამ სადგურებზე.

– და როგორია ეს შედეგები?

– ძალიან ბევრი მაჩვენებლით ეს არის დაშვებული ნორმის ფარგლებში. ჩვენ გარდა, იქ არის კიდევ სხვა ფეროშენადნობი ქარხანა, არის რეზინის გადამამუშავებელი ქარხანა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს მოუწყობელი გზები და საფარი, რომელიც არ არის ასფალტირებული. აქედან გამომდინარე, იმ ნივთიერებებზე, რომელიც შედარებით აჭარბებს დაშვებულ ნორმას, მხოლოდ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი. გასაგებია, რომ დიდი წარმოება ვართ და ყველაზე დიდი შენიშვნები ჩვენზე მოდის, მაგრამ ჩვენ თვითონ რომ არ ვიყოთ ორიენტირებულნი ზიანის მაქსიმალურ შემცირებაზე, ამ მონიტორინგის სისტემაშიც არ დავხარჯავდით 200 ათას დოლარს. თბილისში ასეთი მოწყობილობა სულ ერთია, ჩვენ კი ზესტაფონში დავამონტაჟეთ 4 ასეთი სისტემა, რომელიც საკმაოდ სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული.

– მაშინ, რით ხსნით ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიებს?

– ეს არის ტრადიციული თემა, რომ ზესტაფონი მოიაზრებოდა განსაკუთრებული დაბინძურების ზონად. შეიძლება კომუნისტებს ჰქონდათ კიდეც სურვილი, რომ არ ყოფილიყო მავნე გავლენა, მაგრამ მაშინ არ არსებობდა ის ტექნოლოგიები, რომ ბოლომდე შეემცირებინათ მავნე გავლენა. ბოლო პერიოდში ეს ტექნოლოგიები საგრძნობლად გაუმჯობესდა. მეორეც, ჩვენს მენეჯმენტს აქვს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც გვაიძულებს, ამ მიმართულებით განვახორციელოთ დამატებითი ინვესტიციები. საუბარია დაახლოებით 5 მილიონის მოცულობის ინვესტიციაზე, რომელიც ეტაპობრივად შეცვლის მდგომარეობას. მესმის, რომ წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი სტერეოტიპი კვლავ რჩება, მაგრამ ბევრი დაგიდასტურებთ და ხშირად უკითხავთ კიდეც, ქარხანა მუშაობს თუ არაო, იმიტომ, რომ ქარხნიდან აღარ ამოდის ის სახასიათო ყვითელი კვამლი, რომელიც წლების განმავლობაში იქიდან ამოდიოდა. რომ გახედოთ ზესტაფონს, იქ არის არაერთი პატარა საწარმო, საიდანაც პირდაპირ შავი კვამლი ხრჩოლავს, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ დიდი საწარმო ვართ, თითის გამოშვერაც ჩვენკენ ხდება. რაც შეეხება ზოგადად ზესტაფონში ჰაერის დაბინძურებას, დღეს ყველა მაჩვენებლით საქართველოს ყველაზე დაბინძურებული ქალაქი თბილისია, ამაზე რატომ არ ლაპარაკობს არავინ და არ ხდება მონიტორინგი? თუ საუბარია ონკოლოგიური დაავადებების ზრდაზე, რატომ არ ისმის დედაქალაქში განგაშის ზარი?!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ტრადიციული საქველმოქმედო კონცერტი დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოსგან

my View
თამარ გონგაძე

„სიტყვებითაც მიჭირს გამოვხატო ჩემი ბედნიერება იმ კონცერტთან დაკავშირებით, რომელიც 25 მაისს ლონდონში ჩატარდა. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს, მონაწილეებს. არასოდეს დამავიწყდება უამრავი ადამიანის გულწრფელი ცრემლები, სიხარული... მადლობა არაჩვეულებრივ მსმენელს, უთბილესს, რომელიც დიდი ხანი ფეხზე ამდგარი გვიკრავდა ტაშს“, - ამ სიტყვებს სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე აქვეყნებს მომღერალი თეონა დვალი. დიდი ბრიტანეთის ქართულმა სათვისტომომ ROYAL OVERSEAS LEAGUE Club-ში დიმიტრი ცინცაძის ფონდის მხარდასაჭერად და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გამართა. საქველმოქმედო კონცერტს ყოველწლიური სახე აქვს და მას ირინა სარაჯიშვილის თაოსნობით დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომო აწყობს.

25 მაისის კონცერტში მონაწილეობდნენ ევროპაში მოღვაწე ოპერის ქართველი მომღერლები - ბარიტონი მიხეილ ქირია, სოპრანო თეონა დვალი, პიანისტი ლუკა ოქროსცვარიძე, საღამოს მასპინძელი კი იყო დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

თეონა დვალი:

- მე შევასრულე სამი რომანსი, მათ შორის ორი ქართული: ოთარ თაქთაქიშვილის მზეო თიბათთვისა“ და ალექსი მაჭავარიანის „მზეთა მზის სახეო“. ასევე შევასრულე რახმანინოვის „ნე პოი კრასავიცა“, ასევე არია და ბოლოს დუეტი მიშა ქირიასთან ერთად ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“. მიშა ქირიამ შეასრულა - დონიცეტი, ოპერა პოლიუტო, სევეროს სცენა, არია და კაბალეტა. ვერდის ოპერა “ტრავიატა”, გერმონტის არია და გერმონტისა და ვიოლეტას დუეტი.

ირინე სარაჯიშვილი (დიდი ბრიტანეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე):

- მე და მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო უკვე დიდი ხნის მეგობრები ვართ. როდესაც სათვისტომოს ბორდთან ერთად დავიწყეთ ფიქრი, თუ რა ფორმატით უნდა ჩაგვეტარებინა წელს საქველმოქმედო საღამო, გადაწყდა, რომ ეს იქნებოდა კლასიკური კონცერტი, რაც ძალიან აკლია აქაურ ქართველ მსმენელს. მე ვიცოდი, რომ ჯანლუკა იყო ის პიროვნება, ვინც სწორად შეარჩევდა მონაწილეებს და მსმენელს უმაღლესი დონის კონცერტს მოასმენინებდა. უმალ დამთანხმდა და გადაწყდა, რომ ამ საღამოს ის უმასპინძლებდა. სწორედ მარჩიანომ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ამ საღამოს ვარსკვლავები: Glyndebourne Opera თეატრში მოღვაწე ბარიტონი მიხეილ ქირია, ულამაზესი სოპრანო თეონა დვალი (Mariinsky Theatre), სხვადასხვა ფესტივალების მონაწილე და გამარჯვებული ვირტუოზი პიანისტი ლუკა ოქროსცვარიძე. კონცერტმა მოლოდინს გადააჭარბა. თეონა დვალისა და მიხეილ ქირიას ერთად შესრულებულმა დუეტმა მსმენელი ააცრემლა. ტაში დიდხანს გაგრძელდა. ვირტუოზმა პიანისტმა ლუკა ოქროსცვარიძემ კი დაუვიწყარი სიამოვნება მოგვარა ყველა იქ მყოფთ. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მონაწილე ძალიან დაკავებულია, ისინი სპეციალურად ჩამოფრინდნენ ლონდონში სიკეთის საკეთებლად. მსურს სათვისტომოს სახელით ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, რომ გამონახეს დრო და შემოგვიერთდენ ამ კარგ აქციაში, რომ ერთად გადავარჩინოთ ჩვენი პატარები. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს საპატიო სტუმრებს, რომლებიც მუდამ მხარში გვიდგანან და მათი თანადგომით არა ერთი ღონისძიება მოეწყო. მადლობა საქართველოს ელჩს დიდ ბრიტანეთში და ჩრდილოეთ ირლანდიში - ბატონ რევაზ გაჩეჩილაძეს. მადლობა სათვისტომოს ყველა წევრს თანადგომისთვის.

კონცერტის შემდეგ სტუმრებს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ - მაყურებლებს შორის იღბლიანი ბილეთები გათამაშდა. იღბლიანებს საპატიო სტუმრებმა საჩუქრები გადასცეს.

„სტუმართა შორის იყო ყველასთვის ცნობილი და ჩვენთვის საყვარელი მუსიკოსი ქეთი მელუა, რომელიც გასული წლის საქველმოქმედო საღამოს მასპინძელი გახლდათ. ქეთიმ თავისი ხელმოწერილი CD-ით რამდენიმე იღბლიანი მაყურებელი დაასაჩუქრა. ჩვენ გვერდით იყო ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა ბალერინა, მშვენიერი ელენე გლურჯიძე, რომელიც ასევე საქველმოქმედო აქციებში მხარში გვიდგას, საღამოს გათამაშებაზე გამარჯვებულებს მან პირადად გადასცა თავისი ხელმოწერილი პოსტერები და 2 ბილეთი „მაკნატუნაზე“ დასასწრებად. წიგნის ავტორებმა დავით გიგაურმა და ანა სალდაძემ თავიანთი წიგნი გადასცეს გათამაშებაში გამარჯვებულს. ანამ ასევე გადასცა „შატო მუხრანის“ ღვინო. სამწუხაროდ, ჩვენს კონცერტს ვერ ესწრებოდა მამა დოროთე, ლონდონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, რადგანაც ის საქართველოშია, მაგრამ ყველა აქ მყოფი დალოცა“, - „პრაიმტაიმს“ განუცხადა ირინე სარაჯიშვილმა.

თაკო გაჩეჩილაძე - „როგო

my View
თამარ გონგაძე

თაკო გაჩეჩილაძე თავისი კოლეგების მსგავსად დიდი დოზით არსად ჩანს. ერთი თვეა მუსიკალურ პროექტში - „ერთი-ერთში“ გამოჩნდა და ფურორიც მოახდინა. თაკოს შესრულებულმა უიტნი ჰიუსტონისა და მერაია ქერის დუეტმა მაყურებელი მოხიბლა. ჰიუსტონის რეპერტუარზე გაზრდილი თაკოსგან ეს გასაკვირი არც იყო და ამას თვითონაც ამბობს. ხოლო ვინც ის თავიდან აღმოაჩინა, დიდად მოხიბლულია. გარდა იმისა, რომ ნაკლებად ჩნდება, ყვითელი პრესისგან პირადი ცხოვრების დამალვასაც ოსტატურად ახერხებს. ამბობს, რომ რომანების ცვლაში არ არის, თუმცა მონაზონივით რომ არ იცხოვრებს - ფაქტია. ამდენად, მისგან კოლეგა ფეისმა გოგონებმა ამ „საგანში“ მასტერკლასი უნდა გაიარონ.

ყველგან თუ არ ჩანს, სიმღერით ცხოვრებას მაინც ახერხებს. გაუმართლა, მამის „ბიგ ბენდში“ გარდატეხის ასკიდან მღერის, ერთ-ერთი სოლისტია. არ უჩივის პრივატული საღამოებიდან მიღებულ შემოთავაზებებსაც. როგორც ამბობს, საწუწუნო არაფერი აქვს.

თაკო გაჩეჩილაძე:

- „ნაგლი“ ვიქნები რომ ვიწუწუნო. შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ადრე უფრო მეტი იყო. თან ყველა დიდ სადღესასწაულო კონცერტებშიც ვმონაწილეობ. მამის „ბიგ ბენდში“ ვარ დასაქმებული, ესეც რომ არ იყოს, გამოდის, რომ ან სახლში უნდა დავჯდე, ან - გავთხოვდე. მე არც ერთი მინდა და არც მეორე. სიმღერის ჩაწერა-დატრიალებასაც დიდად აზრი არ აქვს. მე რომ ისრაელში ქორწილებში და დაბადების დღეებზე დავდიოდე, გამართლება ექნება. იქ სასიარულოდ სხვა რეპერტუარია საჭირო, რაც მე არ გამომდის. ფანოღი რომ ვიმღერო? ღადაობითაც არ მიცდია.

- მამასთან თანამშრომლობა როგორია?

- მამა ძალიან საყვარელი ადამიანია. მაგრამ საქმეში, ანუ სახლის გარეთ, კრიტიკული და მომთხოვნია - რატომ დაიგვიანე? არ გააცდინოო - შენიშვნებს არ მაკლებს.

- თაკო, კარგად ახერხებ პირადის დამალვას. შენი რომანები აფიშირებული არასდროს ყოფილა. არ იტყვი - როგორ?

- ვარხერხებ? რა ვიცი. თბილისში ვერაფერს დამალავ. ადამიანები იმაზე ჭორაობენ, რაც დამალულია. ჩემს ცხოვრებაში ეს არ ყოფილა. ცხოვრება რომანებში არ გამომივლია. იმდენი სასიყვარულო ურთიერთობა არ მქონია, რომ დაგეწერათ. რომც მექნება, აფიშირებას არ გავუკეთებ. გათხოვილმა ბავშვობაში ბევრი ვილაპარაკე პირადზე და შევცდი. შენი პირადი ცხოვრება სააშკარაოზე არ უნდა გამოიტანო. თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ პირად ურთიერთობაში, პირველი გამოცდილებიდან გამომდინარე, თავშეკავებული ვარ. რთულად შევდივარ ურთიერთობაში. ჯერ უნდა გავიცნო, მერე გამოცდები ვუტარო, დავაკვირდე და მერე გადავწყვიტო. ამას ბევრი ვერ უძლებს. ვნახოთ, ვინ გაუძლებს :) ტვინს რომ ჭამენ ქალები, ასეთი კატეგორიის არ ვარ. არ მიყვარს ზედმეტი შემოწმება და კითხვები. მე ჩემი მოთხოვნები მაქვს, რომლის არქონა უთავმოყვარეობაა.

- შვილიშვილი გვინდაო, შენ და ნინოს არ გეჩიჩინებიან მშობლები?

- ახლა რა თემას შეეხე... რა ვქნა? მეც მინდა. მზისგან ჩავისახები და გავაჩენ-მეთქი, ვხუმრობ. ბავშვები ძალიან მიყვარს, სულ ვეთამაშები, მათთან ყველაზე მაგრად ვერთობი. მაგრამ, ჩემს შვილს მინდა ღირსეული მამა ჰყავდეს. მინდა ისეთ ოჯახში გავზარდო, როგორშიც მე გავიზარდე. ასეთ მამაკაცს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. ამიტომ ოჯახის შექმნაზე ლაპარაკი ჯერ ზედმეტია. ამაში მეთანხმებიან მშობლები. საკმაოდ ძლ-

„ჩემს შვილს მინდა ღირსეული მამა ჰყავდეს. მინდა ისეთ ოჯახში გავზარდო, როგორშიც მე გავიზარდე. ასეთ მამაკაცს ჯერჯერობით ვერ ვხედავ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რც იქნა დამინახეს და უარყოფითი არაფერი უთქვამთ, ალილუია“

„ცხოვრება რომანებში არ გამომივლია. პირად ურთიერთობაში, პირველი გამოცდილებიდან გამომდინარე, თავშეკავებული ვარ. ჯერ უნდა გავიცნო, მერე გამოცდები ვუტარო, დავაკვირდე და მერე გადავწყვიტო. ამას ბევრი ვერ უძლებს. ვნახოთ, ვინ გაუძლებს“

„რა კითხვა დამისვი? არ იცოდე მაინც რა ტიპი ვარ? მოგება რომ არ მინდოდეს მივიღებდი მონაწილეობას? დამწყები მომღერალი რომ ვიყო, ჩემთვის მონაწილეობაც სიამოვნება იქნებოდა. მხოლოდ კონკურსანტის ეტაპი გავიარე“

EXCLUSIVE

„თუკი სადმე, სოციალურ ქსელში, ჩემი ფოტო დევს, მიდის კომენტარები - რას ჰგავს, რატომ მღერის ეს უნიჭო, მახინჯი გოგოო. სუპერმარკეტში გოგონებმა ჩამიარეს - რა მახინჯი ყოფილა, რას ჰგავსო, ჩაილაპარაკეს“

„ნაგლი“ ვიქნები, რომ ვიწუწუნო. შემოთავაზებები მაქვს. მამის „ბიგ ბენდში“ ვარ დასაქმებული, ესეც რომ არ იყოს, გამოდის, რომ ან სახლში უნდა დავჯდე, ან - გავთხოვდე. მე, არც ერთი მინდა და არც მეორე“

- გამოდის, რომ ამ პროექტმა ახალი ეტაპი დააყენა შენს ცხოვრებაში.

- შეიძლება, თუმცა ეს ჩემთვის ახალი ეტაპი და ახალი თაკო არ არის. მე ვიცი, რა შემიძლია. ასე იმიტომ მიიღეს, რომ არ ვჩანდი და არ იციან რა შემიძლია.

- ამიტომ უნდა ჩანდე შენი შესაძლებლობებით...

- ალბათ, მართალი ხარ. რომ არ ვჩანდი, თქვეს, ვაიმე, დედა, ეს ვინ ყოფილაო?! მე მიხარია - როგორც იქნა დამინახეს! :) ცეკვებზე ვიზარმაცე, რეპეტიციებზე არ დავდიოდი და ამიტომ.

- მოგება გინდა?

- რა კითხვა დამისვი? არ იცოდე მაინც რა ტიპი ვარ? მოგება რომ არ მინდოდეს მივიღებდი მონაწილეობას? წელს ძლიერი მონაწილეები ჰყავს ამ პროექტს. ეს მომწონს, არ ვეშვები, მეტია ჯანსაღი კონკურენცია - გინდა აჯობო. რა თქმა უნდა, მონაწილეობაც კარგია, მაგრამ ჩემთვის აღარ. დამწყები მომღერალი რომ ვიყო, ჩემთვის მონაწილეობაც სიამოვნება იქნებოდა. თუმცა ჩემთვისაც დიდი სიამოვნება და უდიდესი გამოცდილებაა ეს პროექტი. მაგრამ დიდი მიზანი მაინც მოგებაა. მხოლოდ კონკურსანტის ეტაპი გავიარე.

იერი ქალი ვარ. ეს ძლიერ სქესს აფრთხობს. ნამდვილ, შემდგარ მამაკაცს კი, პირიქით, მოსწონს ძლიერი ქალები. მაგრამ ეს „ნამდვილი კაცი“ სად არის? ყველაფერს თავისი დრო აქვს, არ განვიცდი.

გარდასახვა

ერთთვიანი ფიქრის შემდეგ თაკო „ერთი-ერთში“ მონაწილეობას დასთანხმდა. უნდა მოგება, მონაწილეობასაც ამით ამართლებს.

„ყველაზე რთული პროექტია. გარდასახვა, პლასტიკა... რაც რთულია მე ხომ ის მომწონს. არანორმალურად დიდი გამოცდილებაა. სასიამოვნოდ ვიღლები, არ მცალია მეგობრებისთვის, პირადი ცხოვრება გადავდე, ვერ დავდივარ სავარჯიშოდ და ერთი თვეა მგონია, რომ მოჩლაჩული დავდივარ“.

- რომელ ნომერს გამოყოფდი?

- უიტნი და მერაია გავარტყი. ბავშვობიდან ყურსასმენებით მათ ვუსმენდი. ამ ორმა დივამ მასწავლა სიმღერა. მამაჩემის გადამკიდე სახლში ყველაფერი ჩართული მქონდა, ჯაზიდან და კლასიკიდან დაწყებული როკით დამთავრებული. ჩემი კუმირები კი მაინც ჯექსონი, მერაია და ჰიუსტონი იყვნენ. ვოკალის პედაგოგთან არ მივლია.

- უიტნი თავისი ხმით იმღერაო, თქვეს.

- ზოგმა ისიც თქვა, დარწმუნებული ვიყავით მეორე შენ არ იყავი და მერაია იყოო. ჩემი მანერით უიტნისთან უფრო ახლოს ვარ. თორემ თეთრკანიანს შავკანიანის ხმა და ყელი ვერ ექნება. ნინი ბადურაშვილის გრიმი მართლა არ ვარგოდა, ერთხელ ამ გოგოს ვაპატიოთ, რომ არ გამოუვიდა გრიმი. ეკა კახიანის დახმარებით ლამაზი ნომერი გამოვიდა. მეწყინა რომ ვერ მიმამსგავსეს, მაგრამ ხდება ხოლმე. უარყოფითი გამოხმაურება ჩემი მისამართით თითქმის არ წამიკითხავს. ალილუია. ძლივს. თორემ თუკი სადმე ჩემი ფოტო დევს, მიდის კომენტარები - რას ჰგავს, რატომ მღერის ეს უნიჭო, მახინჯი გოგოო. სუპერმარკეტში გოგონებმა ჩამიარეს - რა მახინჯი ყოფილა, რას ჰგავსო, ჩაილაპარაკეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალციხის კლანი თბილისის მერიაში

მირიან ბოქოლიშვილი

ახალციხური კლანი აქტუალური ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს იყო, როდესაც ქვეყნის უმსხვილეს ტენდერებს ვანო მერაბიშვილის გარემოცვა იგებდა. როგორც მოგეხსენებათ, მერაბიშვილი თავად ახალციხიდან გახლდათ და ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ მთელ რიგ ბიზნესებს სწორედ მის ოჯახთან დაახლოებული ახალციხური კლანი განაგებდა. როგორც ჩანს, კლანურობა არც ახალი ხელისუფლების პირობებში კარგავს აქტუალობას. ამბობენ, რომ ამჯერად ახალციხურ დაჯგუფებას თბილისის მერიაში ლობირებენ. სახელდება კონკრეტული გვარიც – კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე, რომელიც თავადაც ახალციხიდან გახლავთ.



ვინ მფარველობს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენს“ ნარმანიას უნყებაში?

გიორგი ლომიძე: „აბსურდია ამაზე საუბარი. არც ჩემთან და არც კომპანიის რომელიმე მფლობელთან სუდაძეს არანაირი კავშირი არ აქვს“

სუდაძის გვარი ფიგურირებს 2014 წლის 13 აგვისტოს დაარსებული კომპანია „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენის“ უკან, რომელიც მერიის ერთ-ერთი მსხვილი კონტრაქტორია. ამ კომპანიის სახელწოდებაც new castle (ქართულ თარგმანში „ახალციხე“) მიუთითებს იმაზე, რომ შპს-ს სწორედ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მშობლიური ახალციხიდან მართავენ. თავდაპირველად კომპანიაში წილები ასე ნაწილდებოდა: მალხაზ გელაშვილი (25%), ლია ოდიშვილი (50%) და ირაკლი ბლიაძე (25%), თუმცა მოგვიანებით საჯარო რეესტრის მონაწერით წილები ასე ჩამოყალიბდა: ლია ოდიშვილი – 66,7 პროცენტი და გიორგი ლომიძე – 33,3 პროცენტი, კომპანიის დირექტორად გიორგი ლომიძეა მითითებული.

აღსანიშნავია, რომ დაარსებიდან ორ თვეში, გამოუცდელობის მიუხედავად, აღნიშნულმა კომპანიამ გზის შეკეთების სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. შესყიდვის სახელმეკრულებო ღირებულებამ 605 555 ლარი შეადგინა. საგულისხმოა ისიც, რომ „შპს ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენ“ ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია იყო. ტენდერის პირობები, რომელიც სუდაძის უწყების მიერ გახლავთ შედგენილი, გადასახდელი თანხის 95%-ის ავანსად გაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა.

ლობირებს თუ არა ავთანდილ სუდაძე ახალციხის კლანს და როგორ იმარჯვებენ ახლად დაარსებული, გამოცდილების არმქონე კომპანიები თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში? ამის გარკვევას ჩვენ პირადად კეთილმოწყობის სამსახურის უფროსთან შევეცადეთ, თუმცა მან ინტერვიუზე უარი შემოგვითვალა. კომპანია „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენში“ კი გვითხრეს, რომ ავთანდილ სუდაძეს არანაირი კავშირი ხსენებულ კომპანიასთან არა აქვს.

ავთანდილ სუდაძე

„არ მესმის, რაში გამოიხატება ჩვენთვის უპირატესობის მინიჭება, პირიქით, ვიტყოდი. იმ ტენდერში, რომელზეც თქვენ საუბრობთ, მხოლოდ ჩვენი კომპანია მონაწილეობდა და, ბუნებრივია, გავიმარჯვებდით, არანაირი პირობების მორგებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ავთანდილ სუდაძესა და ახალციხურ კლანს, აბსურდია ამაზე საუბარი. არც ჩემთან და არც კომპანიის რომელიმე მფლობელთან სუდაძეს არანაირი კავშირი არ აქვს“. – განაცხადა კომპანიის დირექტორმა გიორგი ლომიძემ.

საკრებულოში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ადგილი აქვს კორუფციულ გარიგებას, რის გამოც ისინი მერის მოადგილეს, დიმიტრი ქუმსიშვილს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლებას სთხოვენ. რატომ ქუმსიშვილს და არა დავით ნარმანიას? ამაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ირაკლი აბესაძე გვესაუბრა:

– ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქის გზებზე არსებული ეს მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია კორუფციული ფაქტებით, რომელსაც ადგილი აქვს კეთილმოწყობის სამსახურში და შესაძლოა, ამ სქემაში ჩართული იყოს მერის კურატორის მოადგილე. საგზაო სამუშაოებს იგებენ წელს დაარსებული კომპანიები. მაგალითად, 27 იანვარს დაარსებულ კომპანიას, რომელსაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონია, მერიის მიერ უპირატესობა ენიჭება 1 მლნ 300 ათასი ლარის ღირებულების საგზაო სამუშაოების განხორციელებაზე, მაშინ, როდესაც მის ბალანსზე არანაირი ტექნიკაც კი არ ირიცხება. კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა სატენდერო პირობები ყველანაირად მოარგო ამ კომპანიას, რათა ის გამოცხადებულიყო გამარჯვებულად. დაგებული გზების ხარისხს შემდგომში ამოწმებს შპს „ლაბორატორია“, სადაც ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გახლავთ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის სიძე. იკვრება კორუფციული ჯაჭვი, რომლის შედეგიც არის ის, რომ მილიონობით ლარი იფლანგება და თბილისის გზების ხარისხი არ უმჯობესდება. დავით ნარმანია, როგორც მინიმუმ, ამ კორუფციას შეგუებულია, მაქსიმუმ კი თავადვე მონაწილეობს მასში. ამიტომ დიმიტრი ქუმსიშვილისგან მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს თანამდებობიდან კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ავთანდილ სუდაძე.

ირაკლი აბესაძე: „მილიონები ხმარდება კონკრეტული ჩინოსნებისა და კლანების კეთილდღეობას და არა დედაქალაქს“

– რატომ დიმიტრი ქუმსიშვილისგან და არა ნარმანიასგან?

– იმიტომ, რომ ქუმსიშვილი გახლავთ რეალური მერი და გადაწყვეტილებებსაც ერთპიროვნულად იღებს. ამის დასტურია ის საკადრო ცვლილებები, რომელიც ბოლო პერიოდში მერიაში განახორციელდა. ამ ადამიანს წინააღმდეგობას ნამდვილად ვერ უწევს ნარმანია, რასაც მოწმობს ფონდის ხელმძღვანელის, თემურ ხომერიკის სრულიად უცერემონიო განთავისუფლება. ახლა ნარმანია ცდილობს, ქუმსიშვილის მიერ გაშვებული ხომერიკი საკუთარ მრჩევლად მაინც დაასაქმოს.

– რა ინფორმაცია გაქვთ კომპანია „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენთან“ დაკავშირებით, რომლის უკანაც, როგორც ამბობენ, სწორედ ბატონი სუდაძე დგას?

– კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ცდილობდა, ეს კომპანია ტენდერში გაეყვანა და რამდენიმე შემთხვევაში მოახერხა კიდეც, რომ ახალციხელების კომპანიას გაემარჯვა, თავად კეთილმოწყობის სამსახურის უფროსიც ახალციხიდან გახლავთ. მან ერთ-ერთ ტენდერში ორჯერ გამოაცხადა გამარჯვებულად ეს კომპანია, მაშინ, როდესაც შესყიდვების საგენტომ ორჯერვე გაუუქმა შედეგები. ეს ადამიანი დაჟინებით ცდილობს, გაამარჯვებინოს კომპანიას, რომელშიც მას პირადი ინტერესი აქვს. არანაირი წინაღობა არ ხვდება, რადგან შემდგომ შესრულებულ სამუშაოებს, როგორც უკვე გითხარით, ამოწმებს მისი ნათესავი. ეს კომპანია არის ახალციხელების მფლობელობაში. ის დაფუძნდა შარშან, თუ არ ვცდები, ივნისში და უკვე მილიონობით მოცულობის კონტრაქტი აქვს გაფორმებული მერიასთან. იგივე შეიძლება ითქვას შპს „პრიორიტეტზე“, რომლის დაფუძნებიდან 4 თვეში მერიამ ამ კომპანიას 1 მილიონ 300 ათასი ლარის კონტრაქტი გაუფორმა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს არ აისახება ქალაქის გზებზე. ყველა აღნიშნავს, რა საავალალო მდგომარეობაშია თბილისის გზები. როგორც ჩანს, ეს მილიონები კონკრეტული ჩინოსნებისა და კლანების კეთილდღეობას ხმარდება და არა დედაქალაქსა და მის მაცხოვრებლებს. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური არის ის ორგანო, სადაც ინერება ტექნიკური პირობები, რომლის შესაბამისადაც შემდგომ ცხადდება ტენდერი. ბატონი სუდაძე ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობს, ტენდერის პირობები მის მიერ ლობირებულ კომპანიებს მოარგოს.

- თუკი კორუფციაზე საუბრობთ, გამოდის, რომ საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება?

– ჩვენ სხვა ფაქტებთან დაკავშირებით რამდენიმე წერილი პროკურატურაში უკვე შეტანილი გვაქვს. რა თქმა უნდა, მას უნდა მოჰყვეს გამოძიება, თუმცა პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ სასწრაფოდ ჩამოშორდეს თანამდებობას კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, რადგან არ გაგრძელდეს მილიონების ფლანგვა დედაქალაქის გზების ხარჯზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახა ცხადაძის იდეალი

EXCLUSIVE

ამაზე დიდი თანამდებობდა სპორტში არ არსებობს, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება

მაგდა კლდიაშვილი

„საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა ყველა ადამიანისთვის და იმედი მაქვს, რომ რაც ჩაფიქრებული მაქვს, აუცილებლად მივაღწევ“

კახა ცხადაძე საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ზამთრიდან ჩაუდგა სათავეში და უკვე ორ შეხვედრასაც უხელმძღვანელა, მათ შორის, ერთი ოფიციალური იყო. გერმანიასთან საქართველო 0:2 დამარცხდა, თუმცა ცხადაძის მიზანი სულ სხვაა. ახალ შესარჩევ ციკლამდე, ახალი მწვრთნელი მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს და ყველა ფეხბურთელს, განურჩევლად ასაკისა, ნაკრებში თამაშის შანსს აძლევს. რა არის კახა ცხადაძის იდეალი და როგორი ნაკრების ჩამოყალიბება სურს მას. როგორ პასუხობს მათ, ვინც შვილის ნაკრებში გამოძახებისთვის აკრიტიკებს და რა გადაიტანა აზერბაიჯანში - „პრაიმტაიმის“ კითხვებს კახა ცხადაძე პასუხობს.

- ბაქოს „ინტერიდან წამოსვლის გადაწყვეტილება ზამთარში მიიღეთ, მაშინ უკვე იცოდით, რომ კლუბში ფინანსური კრიზისი იყო, დავას ხომ არ აპირებთ?

- მაშინ, როდესაც ნაკრებში წამოვედი - არა, რა თქმა უნდა. კრიზისი გაჩნდა მარტში. ჩვენ საერთაშორისო ბანკი გვასპონსორებდა, რომლის პრეზიდენტი ჩვენი პრეზიდენტი იყო. ეს ადამიანი გადადგა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მოვიდა ახალი პრეზიდენტი, რომელმაც აღარ ისურვა კლუბის დაფინანსება და აქედან წარმოიქმნა ეს პრობლემა. რაც შეეხება დავას, მე ვიცნობ ამ ადამიანს და დარწმუნებული ვარ, რომ თავის მოვალეობას ბოლომდე შეასრულებს. ფეხბურთელებმაც იციან ეს.

- შეიძლება ითქვას, რომ „ინტერი“ თქვენი გამართული გუნდია. ნათქვამი გაქვთ, რომ „ინტერში“ აპირებდით დარჩენას და გუნდის ევროსარბიელზე ჯგუფურ ეტაპზე გაყვანას, რატომ გადაიფიქრეთ ბაქოში დარჩენა?

- როდესაც ასეთი დონის წინადადება მივიღე, რომელსაც ეროვნული ნაკრების გაწვრთნა ჰქვია, ამაზე დიდი თანამდებობდა სპორტში არ არსებობს, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება.

- თუმცა ნაკრებზე შეთავაზება თავად თქვენ გააკეთეთ და განაცხადეთ, რომ ზაფხულამდე უხელფასოდაც იმუშავებდით...

- ეს მაშინ, როდესაც გუნდი უკვე მწვრთნელის გარეშე იყო დარჩენილი.

- საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობა დიდი რისკია. არ გგონიათ, რომ სასწორზე დადეთ თქვენი სამწვრთნელო კარიერა?

- რისკი ყოველთვის არსებობს, ყველა თანამდებობაზე და ვინ თქვა, რომ წამგებიანია? შესაძლოა მომგებიანიც იყოს. დიდი პრობლემაა, ასეთი პესიმიზმით რომ უდგებიან საქართველოს ნაკრებსა და საკუთარ ქვეყანას. ადამიანი ოპტიმისტი უნდა იყო, ყოველთვის უნდა ცდილობდე წინსვლას და გჯეროდეს მომავლის. მე ასეთი ადამიანი ვარ.

- თავის დროზე 21 წლამდელების ნაკრების მწვრთნელი იყავით, მაგრამ პოსტი ვადაზე ადრე დატოვეთ, რადგან ბაქოში უკეთესი წინადადება გამოგიჩნდათ და იქ გადახვედით. ახლა გამორიცხავთ, რომ მსგავსი შემოთავაზების შემთხვევაში კვლავ არ დატოვებთ ნაკრებს?

- ეს შესაძლებელი არ არის. მაშინდელ სიტუაციას თუ შევადარებთ, ეს იყო 6 წლის წინ, როდესაც გასავლელი და სასწავლი მქონდა ბევრი, გამოცდილება შესაძენი. მე ჩავთვალე, რომ ეს იყო მომენტი, როდესაც კლუბში უფრო მეტს ვისწავლიდი. შევიძენდი გამოცდილებას და მექნებოდა ყოველდღიური სამუშაო. ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა ყველა ადამიანისთვის და იმედი მაქვს, რომ რაც ჩაფიქრებული მაქვს, აუცილებლად მივაღწევ.

- აზერბაიჯანში მუშაობისას ბევრჯერ დაამახსოვრეთ თავი დემარშებით მედიას, თუმცა ბოლო პერიოდში ამან მოიკლო, რა მისცა „ინტერში“ მუშაობამ კახა ცხადაძეს, დაღვინდით?

- აუცილებლად. პრაქტიკის გარეშე გამოცდილების შეძენა, შეუძლებელია. მაშინ კიდევ დრო მჭირდებოდა. ეს დრო უნდა გამევლო და ვთვლი, რომ ყველა ადამიანმა გარკვეული ეტაპი უნდა გაიაროს. აზერბაიჯანში და უცხოეთში, ბევრი რამ სპონტანურად ხდება. ისეთი სიტუაციები იყო, დიდი გამოცდილება შემძინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთი გვერდზე გავწიოთ, მასმედიასთან ურთიერთობაში ბევრი გადავიტანე, ბევრი პრობლემა, ამიტომაც მზად ვარ. ვთქვი კიდეც, ყველანაირი შეკითხვისთვის მზად ვარ.

- ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, თემურ ქეცბაია თქვენი დიდი ხნის მეგობარია, თუ ისაუბრეთ მას შემდეგ, რაც თქვენ ჩაიბარეთ ეროვნული გუნდი და რჩევები თუ მოგცათ?

- მე და თემური ერთმანეთს ბოლოს ორი კვირის წინ შევხდით. კვიპროსზე ჩავედი და აეროპორტში დამხვდა. ორი დღე ერთად ვიარეთ თამაშებზე. სიმართლე გითხრათ, ჩვენ 1987 წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს და მას შემდეგ, როდესაც მწვრთნელები გავხდით, ფაქტობრივად, არ ვლაპარაკობდით ერთმანეთთან ამ თემაზე. ზოგადად ვსაუბრობთ. როდესაც ნაკრებში მუშაობდა, ის ყოველ წელს ჩამოდიოდა შეკრებაზე ჩვენთან, რჩებოდა და კონტაქტი ჰქონდა ფეხბურთელებთან, აკვირდებოდა მათ, თუ რაღაც კითხვები იყო, ბევრჯერ გვიკითხავს და კონკრეტული პასუხები გაგვიცია. რეკომენდაცია მიგვეცა, ასეთი არ ყოფილა.

- თემურ ქეცბაიას ბევრ ფეხბურთელთან ჰქონდა კონფლიქტი, რის გამოც მოთამაშეებმა ნაკრები დატოვეს. ვნახეთ, რომ ამისულაშვილი დაუბრუნდა გუნდს, როგორ დაალაგებთ ურთიერთობას ფეხბურთელებთან?

- ძალიან მომეწონა ამისულაშვილმა რაც დაწერა. თვითონ იაშვილს, როგორც გამოცდილ და უფროს მეგობარს, უდიდეს პატივს ვცემ, ის ჩემთვის პროფესიონალიზმის ეტალონია, მასთან ვიმუშავე და უდიდესი სიამოვნება მივიღე და კიდევ მინდა, უდიდესი მადლიერება გამოვხატო მის მიმართ, რომ „ინტერში“ ერთი წელი მაჩუქა. რაც მან ამისულაშვილს უთხრა, სრული სიმართლე იყო. გამიხარდა, რომ „ამი“ მივიდა იმ დასკვნამდე და ყველას ვეტყოდი, არ შეიძლება, პირადი ამბიციები ანაცვალო ქვეყნის ინტერესს. პირველ რიგში, ამას ვეუბნები ფეხბურთელებს, რომ ამბიციები გვერდზე გადავდოთ, შეიძლება ეს კლუბში მოხდეს, მაგრამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში პირველი უნდა იყოს ქვეყნის ინტერესი.

- ჩვენ ვნახეთ, როგორი ურთიერთობა გაქვთ ნაკრების ფეხბურთელებთან, ვნახეთ, რომ ნაკრები ერთ გუნდს ჰგავდა, რა მიზანი აქვს კახა ცხადაძეს ნაკრებში და რის ხარჯზეა შესაძლებელი წარმატების მიღწევა?

- უცებ არაფერი არ ხდება, კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, რომ ერთ მუშტად შევიკრათ. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ და რაზეც ვილაპარაკეთ, პირადი გვერდზე გადაიდოს და გაერთიანდეს ერთი მიზანი. ყველასთან ვსაუბრობთ, მათ აზრის გამოთქმის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ხშირად ვაკეთებდი გუნდში, როდესაც თეორიაა, ფეხბურთელს ეძლევა თავისუფლება, ზომიერების ფარგლებში, რომ აზრი გამოთქვას, თუ ვერ გაიგო, სჯობს კითხვა დასვას. მე არგუმენტირებულად უნდა დავუმტკიცო, რომ ეს არის სწორი. საფეხბურთო და პიროვნული თვალსაზრისით ძალიან მძიმე თაობაა, წინა წლებთან შედარებით, თავისუფალი თაობა წამოვიდა და ვთვლი, რომ ჩარჩოში უნდა მოქცევა, ისე, რომ მისი პირადი არ დაზიანდეს. ფეხბურთელებსაც ვუთხარი და მედიასაც, რომ პასუხისმგებელი ვარ მე. ფეხბურთელების კრიტიკა საჯაროდ არ მოხდება, ეს არ იქნება სწორი. კრიტიკა იქნება შიგნით და ძალიან მწვავეც. ჩვენთან ახლა ინდივიდუალურად 4 ფეხბურთელი ვარჯიშობს, ოქრიაშვილთანაც მქონდა საუბარი. უნდა გაიგოს, რომ ინდივიდუალური ფეხბურთელებისგან იქმნება შემდეგ გუნდი, რომელიც გუნდურ თამაშსა და შედეგს ანახებს. ამაში გვაქვს პრობლემა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მანქანასავით, მიყვარს ეს სიტყვა, რომელსაც ჩართავ და 90 წუთი ამუშავებ. ეს არის ჩემი იდეალი.

- ეროვნულ ნაკრებში დებიუტი არც ისე სასიამოვნოდ დაიწყო, გაფართოებული სიიდან ფეხბურთელების გაცხრილვის შემდეგ, ბევრი მათგანი თქვენზე ნაწყენი იყო, აღმოიფხვრა ეს კონფლიქტი?

„მასმედიასთან ურთიერთობაში ბევრი გადავიტანე, ბევრი პრობლემა, ამიტომაც ყველანაირი შეკითხვისთვის მზად ვარ“

- ძალიან არასასიამოვნო იყო. დამიჯერეთ, შევეცადე, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ასეთი განცხადებების გაკეთება და გულში არ ჩამიდია. ყველა ფეხბურთელი, რომელიც დააკმაყოფილებს იმ კრიტერიუმს და იმ საჭირო თვისებებს, რომ გამოადგება ნაკრებს, პირველ პლანზე ჩვენი ურთიერთობა არ დადგება. ვთქვი კიდეც, არ არის საჭირო, მოვწონდე ყველას, პიროვნება კახა ცხადაძე, მაგრამ, როგორც მწვრთნელს, უნდა მომისმინო და შეეცადო გააკეთო, რასაც ვითხოვ. არასასიამოვნო ფაქტი იყო, მაგრამ ზოგისთვის სტიმულის მიმცემი. ამ ეტაპზე იმ ფეხბურთელების გაცხრილვას ვამთავრებთ, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ნაკრებში თამაშობდნენ. უნდა ამოვარჩიოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც გამოგვადგებიან მომავალ შესარჩევ ციკლში.

- ბევრი გაკრიტიკებთ იმის გამო, რომ ნაკრებში საკუთარ შვილს იძახებთ. რამდენად ადვილია იყო მამაც და შვილის დამრიგებელიც, ადვილია ამ ტვირთის ტარება?

- ეს თემა აზერბაიჯანშიც გამოვიარე. თქვენ წარმოგიდგენიათ, იქ როგორ იყო. თავიდან რეზონანსული იყო ეს საკითხი, ბევრი კრიტიკა, თუმცა არგუმენტირებულად შემიძლია ვთქვა, რომ მე ვიცი მისი შესაძლებლობები. ჩემთან მუშაობს ამდენი წელია, ყველა ეტაპი გაიარა და მოვიდა პირველ გუნდამდე. სამი წელია შეუცვლელია თავის გუნდში, შედეგებიდან გამომდინარე. მძიმეა, გეთანხმებით და კიდევ ბევრის გადატანა მომიწევს, მაგრამ მაგაშიც გავძლიერდი. დამერწმუნეთ, თუ ისეთ დონეზე არ იქნება, არც გამოვიძახებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის ეკა ნიჟარაძის ახალი სიყვარული

ნინო მჭედლიშვილი

„არ ვინტერესდები, რას ამბობენ ჩემზე და არც ის მაინტერესებს, სხვებზე რას ლაპარაკობენ“

EXCLUSIVE

მსახიობი, ეკა ნიჟარაძე კვლავ მოექცა ჭორაობას მოყვარულ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამის მიზეზი მისი ახალი სიყვარულის ისტორიაა. როგორც ამბობენ, ეკა შეყვარებულია და მალე ამ ურთიერთობის გაოფიციალურებასაც გეგმავს. ამ ლამაზი მსახიობის რჩეული სიმპათიური მწერალი, რევაზ თაბუკაშვილი გახლავთ. ცოტა ხნის წინ ეკას ფეისბუქგვერზე მათი ფოტოები გაჩნდა, რომლის ქვეშაც წყვილი მილოცვებს იღებს.

ნიჭიერი, ლამაზი და ენერგიული მსახიობის პირადი ცხოვრება ყოველთვის საინტერესო იყო ყვითელი პრესისთვის. წლების წინ ეკასთან ინტერვიუ ჩავწერე, სადაც ის თბილად იხსენებდა პირველ ქმარს, ნიკო გომელაურს და მესამე შვილის მამასთან, თემურ უგულავალთან ურთიერთობაზეც საუბრობდა. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

„ნიკო თეატრალურში გავიცანი. მანამდე, 13 წლის ასაკში ერთი ბიჭი მიყვარდა. სერიოზული გრძნობა, ალბათ, მაინც ნიკოთი დაიწყო. მაშინ თეატრალურში ბევრი არ სწავლობდა, ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. პირველად ნიკო აივანზე დავინახე, რუსთაველზე მივდიოდი. მეორედ დერეფანში შევხვდით, მერე საერთო მეგობრებმა გაგვაცნეს ერთმანეთს. მაშინ თეატრალურის სასადილოში სიგარეტი „ასტრა“ იყიდებოდა. მოდაში კი არ იყო, უბრალოდ, მეტი არ იყო და მაგას ეწეოდა ყველა. მახსოვს, ამ სიგარეტის კოლოფის ნაგლეჯზე თავისი ტელეფონის ნომერი დამიწერა, თუ მოგინდება, დამირეკეო. არ დამირეკავს, მაგრამ ეს ფურცელი დღემდე მაქვს შენახული.

- მერე თვითონ დარეკა?

- რა თქმა უნდა. დარეკვაც არ გვჭირდებოდა, სულ ერთად ვიყავით.

- სიყვარულში როგორ გამოგიტყდა?

- აჭარული ხაჭაპურის საჭმელად ჩავედით, იქვე, ინსტიტუტთან კაფეში. ნიკო ნასვამი იყო, დაულევიათ მანამდე ბიჭებს. რიგი იყო, ამ რიგში ვიდექით და მხარზე თავი დავადე. მაშინ უკვე გაბმული იყო რაღაც ძაფები ჩვენ შორის. მერე მიყვებოდა, მაშინ თავი რომ დამადე, მივხვდი, რომ უკვე ძალიან მიყვარდიო.

- ალბათ, რთული იყო თქვენი თანაცხოვრების პირველი ეტაპი, ფინანსური პრობლემები...

- ეს პრობლემები მაშინ ყველა ოჯახს ჰქონდა, ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა. არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისი. ნიკო განიცდიდა ამას. ახლა რომ ვუფიქრდები, რა გამოვიარეთ...

- ეკა, როგორ გგონია, ნიკოს ბოჰემური ცხოვრებაც ასეთი გაუსაძლისი პირობების ბრალი იყო?

- რას გულისხმობ ბოჰემურ ცხოვრებაში?

- ცნობილი ფაქტია, ნიკოს უყვარდა სმა, ამით პრობლემებს გაურბოდა?

- ჰო, არ ვიცი, ალბათ. ნიკუშამ ინსტიტუტი რომ დაამთავრა, სამუშაო არსად არ იყო, თეატრებში არაფერი ხდებოდა... მე დავიწყე მუშაობა, ნიკუშა სახლში მეხმარებოდა, ბავშვებს იტოვებდა. მასთან მშვიდად ვტოვებდი ტასოს და ჯეჯის. ვუტოვებდი საჭმელს, რომელიც უნდა გაეთბო. ვიცოდი, რომ აჭმევდა და დროზე დააძინებდა.

- შეიძლება გკითხო მიზეზი, რის გამოც შენ და ნიკო ერთმანეთს დაშორდით?

- კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. წლების განმავლობაში ბევრი ნეგატიური დაგროვდა ჩვენს ურთიერთობაში. მივხვდი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა და მე გადავდგი ეს ნაბიჯი. ძალიან მძიმე პერიოდი გამოვიარეთ ორივემ. ჩემთვისაც რთული აღმოჩნდა ამის გადალახვა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ნიკოსაც დაულაგდა პირადი ცხოვრება. მეც...

- შენ გყავს მესამე შვილი, ვაჟი, თბილისში ცნობილი პიროვნებისგან, თემურ უგულავასგან, მასთან დაქორწინებული არ ყოფილხარ?

- არა, ჩვენ გარკვეული პერიოდი ვიყავით ერთად. მასთან მყავს 12 წლის ნოდარი.

- რატომ დამთავრდა თქვენი ურთიერთობა?

„როცა ნიკუშა მიხვდა, რომ შეყვარებული იყო, დამირეკა და მითხრა, შენთან მინდა მოვიდე, ნინა მოვიყვანოო“

- მას ცოლი ჰყავდა.

- და შვილი გააჩინე მისგან?

- ჰო, ღმერთმა მომცა და გავაჩინე.

- თვითონ წინააღმდეგი არ იყო?

- არა.

- როცა ამ ნაბიჯს დგამდი, საზოგადოების აზრის არ შეგეშინდა?

- არა. ჩემი ბედნიერების გარკვეული წილი ისაა, რომ საზოგადოებრივი აზრი ჩემს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით საერთოდ არ მაწუხებს. არ ვინტერესდები, რას ამბობენ ჩემზე და არც ის მაინტერესებს, სხვებზე რას ლაპარაკობენ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენ სასწაული შვილი გვყავს. თემურსაც ძალიან უყვარს თავისი შვილი და ჩემი შვილებიც ბედნიერები არიან, რომ ასეთი ძმა ჰყავთ.

- ეკა, შენ მოახერხე ნიკოს მეუღლესთან, ნინასთანაც კარგი ურთიერთობა გქონდოდა...

- როცა ნიკუშა მიხვდა, რომ შეყვარებული იყო, დამირეკა და მითხრა, შენთან მინდა მოვიდე, ნინა მოვიყვანოო. მე უკვე ნოდარზე ვიყავი ორსულად, საკმაოდ დიდი მუცელი მქონდა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და მოვიდნენ.

- არ იყო რთული ყოფილი ქმრის და მისი საცოლის ერთად ნახვა?

- არა, პირიქით, ნინა რომ გავიცანი, დავმშვიდდი. ნიკოს ისე ვუვლიდი, როგორც შვილს, ნინაც ასევე უვლიდა. ნიკო ასეთი იყო, მისთვის უნდა მოგევლო. ნინა რომ გამოჩნდა მის ცხოვრებაში, მივხვდი, რომ ის აიღებდა ამ პასუხისმგებლობას და დავმშვიდდი. არც შევმცდარვარ, ნინაც ბოლომდე უვლიდა ნიკუშას.

„სიგარეტის კოლოფის ნაგლეჯზე თავისი ტელეფონის ნომერი დამიწერა, თუ მოგინდება, დამირეკეო. არ დამირეკავს, მაგრამ ეს ფურცელი დღემდე მაქვს შენახული“

„ყველას ეგ ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ჯერ არ გათხოვილა“

როგორც ჩანს, ეკამ კვლავ იპოვა დიდი სიყვარული. მისი რჩეული მედეა ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის შვილიშვილი, ლაშა თაბუკაშვილის შვილი, უმცროსი რეზო თაბუკაშვილია. ყოველთვის გულწრფელი რესპონდენტი დღეს რატომღაც ჟურნალისტებს გაურბის. სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ჩვენ ეკას მეგობარს, მსახიობ, ონისე ონიანს დავუკავშირდით და მათ ურთიერთობაზე ვკითხეთ.

- ონისე, თქვენს მეგობარზე, ეკა ნიჟარაძეზე მინდა გკითხოთ, ქალაქში ამბობენ, რეზო თაბუკაშვილს გაჰყვა ცოლადო.

- არა, არა, ყველას ეგ ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ჯერ არ გათხოვილა.

- ფოტოები ვნახე მის „ფეისბუქზე“, მილოცვებს იღებს წყვილი... მათ შორის რაღაც ხდება, ალბათ, არა?

- ალბათ (იღიმება). რაღაც არის მის ცხოვრებაში კარგი.

- სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, არ სურს, ალბათ, ამ ყველაფერზე საუბარი.

- ალბათ, რა გითხრა, „ფეისბუქზე“ არ მალავს და... ალბათ, პრესასთან თავს იკავებს.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, ეკა კვლავ გაიხსნება ჟურნალისტებთან და თავისი ახალი სიყვარულის ამბავს თავად გვიამბობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლიმპიური ცეცხლი უკვე საქართველოშია



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

პაატა ჯაში - არ არის მონ

გურამ გაბიძაშვილის



მაგდა კლდიაშვილი

ხვამლის მთაზე პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია პირველ ივნისს მიემგზავრება. ექსპედიცია 45 დღე გაგრძელდება და მასში გამოცდილი არქეოლოგები და სხვადასხვა სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას. ექსპედიციის ხელმძღვანელი დავით სულხანიშვილია, მასთან ერთად კი არქეოლოგი, პაატა ჯაში, კინოდოკუმენტალისტი დავით გოგუაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი გაემგზავრება. ხვამლის მთის საიდუმლოებებს წლების განმავლობაში არქეოლოგი გურამ გაბიძაშვილი იკვლევდა, შემდეგ კი ის გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ხმები ამბობენ, რომ მან ხვამლზე რაღაცას მიაგნო, უკან დაბრუნებულმა კი, როდესაც მთაზე ასვლა დააპირა, ვეღარ გაიღვიძა. რას იხსენებენ მისი მეგობრები და რას ყვება „პრაიმტაიმთან“ არქეოლოგი პაატა ჯაში, რომელიც ისევ გაივლის ხვამლისკენ მიმავალ გზას და ახალი საიდუმლოებების ამოხსნას შეეცდება.

- ხვამლის მთაზე მრავალი ექსპედიცია მოეწყო, რით არის თქვენი ექსპედიცია გამორჩეული?

- ლეჩხუმი არ არის ისე განებივრებული ექსპედიციებით, როგორც საქართველოს სხვა კუთხეები. ხვამლის მთაზე არქეოლოგიური ექსპედიცია არასდროს ჩატარებულა. ხვამლის ციხე-ქვაბის შესწავლის პირველი ცდა 1939 წელს იყო, როდესაც ქართველი ალპინისტი ალიოშა ჯაფარიძე ავიდა ხვამლზე, ამას 1945 წელს მოჰყვა ალპინისტურ-არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ კარსტული წარმოშობის გამოქვაბულში ოთხი სართული იყო გამართული, სადაც მრავალსენაკიანი, ქვიტკირ-აგურით ამოყვანილი ნაგებობები დაფიქსირდა. აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით, ძეგლი შუა საუკუნეებით დათარიღდა, მძიმე პირობების გამო ექსპედიციამ მუშაობა მალე შეწყვიტა. ხვამლის შესწავლა 1980-იან წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ გააგრძელა, რომელსაც გურამ გაბიძაშვილი ხელმძღვანელობდა და რომელიც, ძირითადად არქეოლოგიური დაზვერვებით შემოიფარგლებოდა. ამ პერიოდში, ხვამლის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთი ძეგლი დაფიქსირდა. 2007 წელს, გურამ გაბიძაშვილმა, კერძო ფონდების დახმარებით, შეძლო ხვამლის ექსპედიციის განახლება. შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 2009 წელს მომუშავე სამეცნიერო ჯგუფმა, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამნლიანი გრანტი მოიპოვა და დაიწყო ხვამლისა და მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა. გაითხარა ხვამლის მთის წვერზე მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიის გალავნის მცირე მონაკვეთი და მისი კარიბჭე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მეტალურგთ ნასახლარი და სახელოსნო და ა.შ. არქეოლოგიური გათხრებისას პარალელურად მიმდინარეობდა მღვიმეების კვლევა, ორი სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადაღებაც მოხდა ხვამლის საიდუმლოებების შესახებ. 5 წლის განმავლობაში ჩატარებულმა საველე და თეორიულმა კვლევებმა იმდენად მნიშვნელოვანი თემები დააყენა მკვლევართა წინაშე, რომ ნათელი გახდა ხვამლის მეცნიერული გამოკვლევის გაგრძელების აუცილებლობა. აუცილებელია, ხვამლის მასივის კომპლექსური სამეცნიერო გამოკვლევის გაგრძელება, რომელიც რამდენიმე მიმართულებით წარიმართება: ხვამლის კლდის ზედა ზეგანის სპელეოლოგიური და გეოლოგიური გამოკვლევა, ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნაშთების გაწმენდა და არქელოგიური, არქიტექტურული და სახელოვნებათმცოდნეო გამოკვლევა, აღმოჩენილი დასახლების არქეოლოგიური გათხრების დაწყება, ხვამლის ქვედა ზეგანის და მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური დაზვერვა, კოლხურ-ეგვიპტური, კოლხურ-ბერძნული და სხვა უძველეს ცივილიზაციებთან კავშირების შესწავლა. ექსპედიციის დანარჩენი წევრები არიან: ა. გაბიძაშვილი, ნ. ჯანაშვილი, ნ. ჩადუნელი, თ. აღაპიშვილი, თ. კოლელიშვილი, დ. დვალიშვილი, ც. ნადირაშვილი, ზ. პაპუაშვილი, დ. კოპალიანი. ადგილზე ჩასვლის შემდეგ, დასაქმდება ათი ადგილობრივი კადრიც.

- ხვამლთან დაკავშირებით ბევრი ლეგენდა და ისტორია არსებობს. გურამ გაბიძაშვილის გარდაცვალებაც ერთგვარი საიდუმლოა, ამბობენ, რომ მან ბეჭედი იპოვა და შემდეგ ისევ დაბრუნდა ხვამლზე, თუმცა ის მეორე დღეს კარავში გარდაცვლილი ნახეს, რამდენად მართალია ეს ისტორია და არსებობს თუ არა რეალურად საგანძური ხვამლის მთაში?

- უამრავი ადამიანი, გარედან მოსული, ასეთი ინფორმაციებით ვაჭრობს, რაღაც მდარე ხარისხის ინფორმაციებით. არავითარი ბეჭედი არ ყოფილა. ამას წინათ ვუსმენდი მანდილოსანს, რომლის სახელი და გვარიც არ ვიცი, რომელიღაც გადაცემაში ყვებოდა, თითქოს გურამმა დაურეკა და ოქროს მტვერი ვიპოვნეო. რა ოქროს მტვერი, რა სისულელეა. შემდეგ ის თქვეს, კარავში დაიღუპაო. გურამ გაბიძაშვილი დაიღუპა თავის სახლში, ბედიანის ბავშვები ჰყავდა, მეორე დღეს უნდა ჩავსულიყავი და ხვამლზე ავსულიყავით. მსგავსი არაფერი ყოფილა. სპეკულირებენ, არანაირი ბეჭედი. რაც შეეხება საგანძურს, ისტორიული წყაროები ჩვენთვის უტყუარია და ეს წყარო არის „ქართლის ცხოვრება“, სადაც ჟამთააღმწერელი წერს, რომ 1263-64 წლებში „ნარინ და ულუ დავითმა, განყვეს სამეფო და საჭურჭლენი, გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელი იდგა, მცირე გამოღეს და გაიყვეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს“. გარდა ამისა, ხვამლის საგანძურზე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები, „ხვამლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“. რაც შეეხება საგანძურის ადგილსამყოფელს, რატომღაც მიჩნეული იყო, რომ იგი ხვამლის დასავლეთ კედელში არსებულ ციხე-ქვაბულში იყო. მარი ბროსეს ცნობით ზუსტად ეს გამოქვაბული გაუთხრია მე-19 საუკუნეში ვინმე დადიანს, მაგრამ ვერაფერი უპოვნიაო. შემდეგ უკვე, 1939 წელს პირველად და მეორედ 1945 წ. ალ. ჯაფარიძე მწერალ ლ. გოთუასთან, არქეოლოგ გ. ლომთათიძესთან და სხვა წევრებთან ერთად შედის ამ ქვაბულში ერთი კვირის განმავლობაში ექსპედიციის წევრები ანთავისუფლებდნენ სათავსოებს დიდძალი ქვა-ღორღისგან, მთლიანად გაწმინდეს, საინტერესოს ვერაფერს მიაგნეს და დაასკვნეს, რომ განძი დიდი ხნის გატანილი იყო. 2007 წელს უშედეგოდ, ხოლო 2008 წელს გურამ გაბიძაშვილის ჯგუფმა შევაღწიეთ ციხე-ქვაბში. იგი კლდის ძირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და მასში ქვემოდან ასვლა შეუძლებელია ალპინისტური აღჭუ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩვენი ექსპედიციაც იმისთვის ყოზილი, რომ განძი მოვიძიოთ

„გურამ გაბიძაშვილი დაიღუპა თავის სახლში, ბედიანის ბავშვები ჰყავდა, მეორე დღეს უნდა ჩავსულიყავი და ხვამლზე ავსულიყავით. მსგავსი არაფერი ყოფილა. სპეკულირებენ, არანაირი ბეჭედი“

გარდაცვალების საიდუმლო





რვილობითაც კი. ამიტომ ალპინისტების ჯგუფი, შემოვლითი გზით, ზემოდან მოექცა მწვერვალს და იქიდან თოკით დაეშვა. მათი დახმარებით მოვახერხეთ ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა მთის ძირიდან ქვაბულში შეღწევა.

2009 წელს გურამ გაბიძაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა:

– ჩვენი ვარაუდით, ამ ციხე-ქვაბულში განძი არ უნდა ყოფილიყო, რადგან, მართალია მიუვალი ადგილია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფასადი ამოშენებული ჰქონდა, ვიზუალურად კლდეზე ის მაინც შეიმჩნევა. ამიტომ, არ მგონია, სახელმწიფო ხაზინის აღმოჩენის, თუნდაც რაიმე ალბათობა მაინც დაეშვათ ჩვენს მეფეებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ განძთსაცავი სხვაგან იყოს. ხვამლის კლდე ხომ მთლიანად დახრამულია. მარტო გარედან 19 გამოქვაბული ფიქსირდება, ხოლო შიგნით რა ხდება, კაცმა არ იცის. ჩვენ იმხელა კულტურა გვაქვს მიწისქვეშა ქალაქების შენებისა, მარტო ვარძია რად ღირს?! ისიც ხომ ცნობილია, რომ ვარძიის ახლანდელი სახე უკანა ნაწილია. მიწისძვრამ ჩამოანგრია. ამოშენებული ფასადი, რომელიც ისე ფარავდა ქალაქს, ამვლელ-ჩამვლელი ვერაფერს ამჩნევდა. და, რა გასაკვირია, რომ ხვამლის მთის ბუნებრივი ქალაქ-ქვაბული გამოეყენებინათ განძთსაცავად და ამისთვის ყველაზე დაფარული და მიუვალი ადგილი შეერჩიათ.

2009 წელს გურამ გაბიძაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა:

- რა კავშირი აქვს ხვამლის მთას ბერძნულ მითოსთან?

- ხვამლის მთა უკავშირდება პრომეთეს მითსაც. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ადამიანებისთვის საკრალური ცოდნის მიცემისთვის, ზევსის ბრძანებით, პრომეთე კავკასიის მთაზე მიაჯაჭვეს. არსებობს საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ სწორედ ხვამლის მთაა ის ადგილი, სადაც პრომეთე-ამირანი იყო მიჯაჭვული. ამ ადგილს უკავშირდება ჰერაკლეს გმირობაც და აქ გამოემართნენ არგონავტებიც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. ხვამლის მთა მოხსენებული აქვს ჟიულ ვერნსაც თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში „ჯიუტი კერაბანი“, სადაც ჟიულ ვერნი, თავისი გმირის პირით ამბობს, რომ ქუთაისთან არის მთა ხვამლი, რომელზეც არის მიჯაჭვული მითიური პრომეთე. ხვამლი არ არის ისეთი გეოგრაფიული ადგილი და წერტილი, რომ რუკაზე იყოს დატანილი. მყინვარზე ან იალბუზზე რომ იყოს საუბარი, კიდე გასაგები იქნებოდა, დანარჩენი, არცერთი მთის სახელწოდება არ არის დატანილი, არც ძველ და არც ახალ რუკებში. ასე რომ, თვითონ სახელწოდება ხვამლი რომ გაეგო, სადღაც გაეგონა და მიეწებებინა, ნაკლებად დასაშვებია. უფრო სავარაუდოა, რომ მას ჰქონდა ანტიკურ ლიტერატურასთან წვდომა, სადაც ნათქვამია, რომ პრომეთე მიჭაჯვული იყო ხვამლზე. ჟიულ ვერნის სახელობის ბევრი საზოგადოება და ფონდია. ჩვენ დავუკავშირდით პარიზში ერთ-ერთ ფონდს, შევთავაზეთ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობა, შევეკითხეთ, როგორ შეიძლებოდა ამ ინფორმაციის მიღება, მათ გვითხრეს, რომ გავწევრიანებულიყავით მათ საზოგადოებაში და შემდეგ ყველაფერზე გვექნებოდა წვდომა. არგონავტიკაში, აპოლონიოს როდოსელი წერს, რომ არგონავტებს გმინვა მოესმებათ პრომეთესი, მაგრამ საიდან ისმის, არ წერია. ცნობილი მღვიმეა ვერძისთავა. ის შეიძლება დავუკავშიროთ ანტიკურ სამყაროს. როგორც ცნობილია, ჰერაკლე ათავისუფლებს პრომეთეს. ეს ხდება ხვამლზე და რა კავშირშია ვერძისთავა და ჰერაკლე? - პირდაპირ კავშირშია. ჰერაკლეს ძალიან უნდა მამის, ზევსის ნახვა, რადგან ზევსი ღმერთია, მას არ შეუძლია დაენახვოს ჰერაკლეს, ამიტომ ზევსი გადაწყვეტს, რომ ვერძის ტყავში გაეხვიოს, თავზე ვერძის თავს ჩამოიცვამს და ისე ენახვება ჰერაკლეს. ზევსმა პრომეთე ხვამლზე მიაჯაჭვა, ჰერაკლე მის გასათავისუფლებლად მიდის, ეს ადგილი კი ვერძის თავთან არის დაკავშირებული. ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია და გარკვეული მსჯელობების საშუალებას იძლევა. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეს ასეა, მაგრამ კვლევის საგანია, ბევრია სამუშაო.

– უფრო მეტსაც გეტყვით, ძალიან საინტერესოა, რომ ამ გამოქვაბულს, „ვერძისთავა“ ჰქვია, რაც დაკავშირებული უნდა იყოს არგონავტებთან და ოქროს საწმისთან. აპოლონ როდოსელი „არგონავტიკაში“ წერს – „ქუტაისი ხმელეთზე და კირკეს ველზე ამარანტის შორეული მთებიდან... ფაზისი მოაგორებს თავის ფართე ნაკადს... ხელმარცხნივ ახლა იყო მაღალი კავკასიონი, აიას ქალაქი ქუტაისი“. სწორედ აქ მოესმათ არგონავტებს პრომეთეს გმინვა. დღეს კავკასია ზოგადი სახელია მთათა მასივისა, ძველ დროში კი კავკასია, როგორც ჩანს, რომელიღაც კონკრეტულ მთას ან კლდეს ერქვა, სადაც გამოქვაბულში პრომეთე იყო მიჯაჭვული. მეორე საუკუნეში დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა ფილოსოფოსმა არიანემ და ისიც წერს, რომ კავკასიაში ერთი მთაა, რომელზეც, თქმულებისამებრ, ჰეფესტოს ბრძანებით, პრომეთეა მიჯაჭვული. ყველაზე ადრე კი სტრაბონი აღწერდა პრომეთესა და კოლხ იბერთა გმირს (ნაგულისხმევია ამირანი), რომელიც ერთი და იგივე უნდა იყოსო. ყველაზე უცნაურია ის, რომ ხვამლის კლდე პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად მოხსენიებული აქვს მწერალ ფანტასტ ჟიულ ვერნს სათავგადასავლო რომანში „შეუპოვარი კერაბანი“ და ასე აღწერს იმ ადგილს: „სწორედ აქ, ამ მთებში, ჰორიზონტზე რომ აღმართულა ხომლის კლდე, რომელიც თანამედროვე ქალაქ ქუთაისს გადაჰყურებს“. წარმოუდგენელია, საიდან უნდა სცოდნოდა ჟიულ ვერნს ასე ზუსტად ხვამლის მდებარეობის შესახებ, როცა, როგორც ცნობილია, თვითონ პარიზს არასდოს გასცილებია. ასე რომ, მრავალი წყაროს თანახმად, პრომეთე სწორედ ხვამლის მთაზე ყოფილა მიჯაჭვული, ხოლო მის მიერ მოტაცებული ზეციური ცეცხლი გარკვეულ ცოდნასთან ასოცირდება, რომელმაც კაცობრიობა სულ სხვა საფეხურზე აიყვანა. და, ეს ცოდნა, როგორც ჩანს, უკავშირდება რკინას ანუ მეტალურგიას. ასევე სიმბოლური დატვირთვა აქვს ოქროს საწმისსაც. ბერძნები აქ მართლა ტყავის წასაღებად ხომ არ მოვიდნენ?! ჩვენი აზრით, ესეც რკინის წარმოების საიდუმლოსთან უნდა იყოს კავშირში.

- რას მოუტანს საქართველოს ხვამლის შესწავლა?

- ხმალის ექსპედიციის თეორიულ კვლევებს, გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალას, დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ექნება, როგორც საქართველოსთვის, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა მათგან კავკასიით დაინტერესებამ. შესაძლებელი გახდება მათი მოწვევა და მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში. ხვამლის ექსპედიცია ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. ჩვენი კულტურა მჭიდრო კავშირშია მსოფლიო კულტურასთან. გამოკვლევები და სიახლეების მოპოვება კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ მსოფლიო კულტურის ნაწილი ვართ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi



მაკა მახარაძე და ნატა მურვანიძე

ზაზა მიქაშავიძე

მანანა კობახიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოყენება იკრძალება

paparazzi

მამულიჩა

გიული ალასანია

ვან ბაიბურთი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუ ჩაიცვამთ „ნაშურად“ ბანკეტზე, შეუფერებელი ასაკია - დიზაინერის რჩევები ირაკლი რუსაძისგან

„რომ ვთქვა, ქალბატონი, ეკა ბესელიას კაბა მომეწონა-მეთქი, იტყვიან, ცუდი დიზაინერიაო. ამიტომ, ვიტყვი სიმართლეს, არ მომეწონა. არ ვიცი რომელმა დიზაინერმა შეუკერა, არ მინდა არაკოლეგიალური ვიყო...“

EXCLUSIVE

„ცოტაა პოლიტიკოსი ქალი, რომელსაც კარგად აცვია“

my View

ნინო მჭედლიშვილი

ჩვენი სტუმარი 24 წლის დიზაინერი, ირაკლი რუსაძეა. როგორ ჩავიცვათ ზაფხულის ცხელ დღეებში, როგორი ფეხსაცმელი მოვირგოთ, რა აქსესუარებს მივანიჭოთ უპირატესობა. საბანკეტო კაბები, „ნაშურად“ ჩაცმული სკოლადამთავრებული გოგონები, უგემოვნო სელებრითები. აი, ყველა ის თემა, რომელზეც დღეს ჩემს რესპონდენტთან ვისაუბრეთ.

- პატარა ასაკიდან ვხატავდი. ბავშვობიდან მინდოდა ჩემი გემოვნებით ჩამეცვა, პროტესტი მქონდა მასობრივ ტანსაცმელზე. დღეს ბევრი რამ შეიცვალა. ჩემს თაობაში მშობლები შვილებს იმის მიხედვით აცმევდნენ რაც იყიდებოდა. არ ფიქრობდნენ იმაზე, ვის რა ფერი, როგორი სტილი უხდება, არ ფიქრობდნენ შვილების გამორჩეულობაზე, განწყობაზე. მე, ამ მხრივ, გამიმართლა. თავიდანვე თავისუფლება მომცეს მშობლებმა... სამხატვრო აკადემიაში არ ჩამიბარებია. 13 წლიდან დავიწყე მუშაობა. მაშინ იყო მოდის სახლი „დალოდ“, რომლის ხელმძღვანელმაც, ნანა შუკვანმა მთხოვა მასთან დამეწყო მუშაობა. ჩემი ესკიზები ნახა და მოეწონა. ეს ჩემთვის დიდი პრაქტიკა იყო, ვფიქრობ, დრო უკეთ გამოვიყენე. ზოგადად, ვფიქრობ, რომ პრაქტიკა მეტს გასწავლის ვიდრე კოლეჯი, აკადემია. იქ მუშაობამ მომცა ის, რომ გარდა დიზაინერისა ვარ კონსტრუქტორი, შემიძლია კოსტიუმის მთლიანად აწყობა. როცა მარტო ვარ და დამხმარე არ მყავს, ჩემს მომხმარებელს შემიძლია თვითონ დავუხატო, გამოვუჭრა, შევუკერო, საბოლოო სახემდე მივიყვანო.

- ყველა დიზაინერს თავის სტილი აქვს, რა ჰქვია შენს ხელწერას, რითიც სხვებისგან გამოირჩევი?

- მიყვარს შუალედული მომენტის დაჭერა. არ მომწონს არც ზედმეტად გადატვირთული და არც ზედმეტად მარტივი, უფორმო ტანსაცმელი. მთავარია კოსტიუმს ეტყობოდეს, რომ ნაფიქრია. მქონია მომენტი, როცა ერთი მოდელისთვის 20 ესკიზი შემიქმნია.

- ირაკლი, შენ არაერთი სელებრითი შეგიმოსავს, საინტერესოა, ვის არ შეუკერავ არასდროს?

- ცუდად თუ არ გამმივა, ბევრია ასეთი. თუმცა კომერციულ დატვირთვას თუ გავითვალისწინებთ, უარს, ალბათ, არ ვიტყვი. თან განსაკუთრებით უგემოვნოდ ჩაცმულ ქალბატონებს რომ ვხედავ, აზარტი მიჩნდება, გავალამაზო გემოვნებიანი სამოსით.

- გემოვნების კუთხით, რომელ პოლიტიკოს ქალს გამოარჩევ?

- ტელევიზორს ხშირად არ ვუყურებ, მაგრამ ინტერნეტის საშუალებით ვადევნებ თვალს მათ ჩაცმულობას. თბილისი იმდენად პატარა ქალაქია, ადვილად ამჩნევ ვინ იცვამს გემოვნებით. ცოტაა პოლიტიკოსი ქალი, რომელსაც კარგად აცვია. შეიძლება ეცვას ძვირადღირებული სამოსი, მაგრამ არა საინტერესოდ და გამორჩეულად.

- გამორჩეულად უნდა ეცვას პოლიტიკოს ქალს?

- შეიძლება არ ეცვას გამორჩეულად, იყოს სადად ჩაცმული, მაგრამ რაც შეეხება ფეხსაცმელსა და ხელჩანთას, ყოველთვის უნდა ჰქონდეს განსხვავებული. აქსესუარს დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის შემთხვევაში. ძალიან მომწონს პოლიტიკოსის ცოლი, ანუკი არეშიძე, ყოველთვის გამორჩევა და არამხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზია. პოლიტიკოსი ქალები საზოგადოების მაღალ ფენას განეკუთვნებიან და არ მგონია ვიღაცას მეტი დანაზოგის გაკეთება უწევს ჩაცმისთვის. ალბათ, გემოვნების დეფიციტია, მოუცლელობის პრობლემა.

- ეკა ბესელიას ჩაცმის სტილზე რას იტყვი?

- არ მომწონს. რაც უფრო მეტად ცდილობს ყურადღება მიიქციოს ჩაცმის კუთხით, მეტად ცუდად გამოიყურება. არასდროს უხამებს ფეხსაცმელს კაბას.

- 26 მაისის ღონისძიებაზე ქალებში შაბიამნისფერი ჭარბობდა. მოდურია წელს ეს ფერი?

- ვფიქრობ, ეს კონკრეტული ღონისძიებისთვის გაკეთდა და ტენდენციას დიდად არ ითვალისწინებენ.

- შაბიამნისფერს საქართველოს დამოუკიდებლობასთან რაიმე მნიშვნელოვანი კავშირი აქვს და მე არ ვიცი?

- (იცინის). არა, ზოგადად საკითხისადმი მიდგომა ვიგულისხმე, რომ ვთქვა, ქალბატონი, ეკა ბესელიას კაბა მომეწონა-მეთქი, იტყვიან, ცუდი დიზაინერიაო. ამიტომ, ვიტყვი სიმართლეს, არ მომეწონა. არ ვიცი რომელმა დიზაინერმა შეუკერა, არ მინდა არაკოლეგიალური ვიყო... მომწონს სალომე ზურაბიშვილის ჩაცმის სტილი, გემოვნებიანი ქალია.

- შოუბიზნესის წარმომადგენლებიდან ვის გამოარჩევ ამ მხრივ?

- არ მომწონს თაკო ჩხეიძის ჩაცმულობა. იმდენად კარგია გარეგნულად, ბევრად დიდი არჩევანი აქვს. არ მომწონს ნინა წკრიალაშვილი სტილი. ზოგჯერ აცვია გემოვნებით. კარგი სხეული აქვს და უფრო გემოვნებით შეუძლია ჩაიცვას. ძალიან არ მომწონს ნინო ჩხეიძის ჩაცმის სტილი. ლელა წურწუმიას ყოველთვის სადად და უპრეტენზიოდ აცვია. ცუდად არასდროს მომხვედრია თვალში.

- მამაკაცებზე რას მეტყვი?

- ქართველი მამაკაცები დიდ ყურადღებას არ აქცევენ ჩაცმას. თუმცა, მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ გემოვნება დაგვეხვეწა ნინა წლებთან შედარებით. თბილისის ქუჩებში ძალიან ბევრ გემოვნებით ჩაცმულ გოგოს შეხვდები.

- რაც შეეხება მოდის ახალ ტენდენციებს... როგორ ჩავიცვათ ამ ზაფხულს?

- ზაფხულს ყოველთვის ღია ფერები უხდება. აქტუალურია თეთრი ფერი. თავისუფალი სტილი, მამაკაცური ფართო შარვლები, მამაკაცური სტილის პერანგები, თავისუფალი, გრძელი. ვფიქრობ, სექსუალურიც არის ასეთ სამოსში ქალი.

- ფეხსაცმელი?

- არ მიყვარს დიდი პლატფორმა ფეხსაცმელი, ძალიან უხეშია. არ მომწონს, როცა ზედმეტი ფანტაზიაა დახარჯული ფეხსაცმლის შექმნაში. მომწონს როცა მამაკაცური ტიპის ფეხსაცმელები აცვიათ ქალებს, საინტერესო ჭრილის სანდლები.

- ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე განსაზღვრულია წელს?

- ორივე მოდურია, ტანისამოსის შესაფერისად. წელს მოდურია ფეხსაცმელი წაწვეტებული ცხვირით.

- დაბალწელიანი შარვალი ჩაბარდა ისტორიას?

- მაღალწელიანი შარვალი მეტად უხდება ქალს, რომელსაც წელი გამოყოფილი აქვს თეძოსგან. ქვედაბოლოც მაღალწელიანი მომწონს. ასეთი სტილი ხაზს უსვამს ლამაზ ფორმებს, მაღლა წევს თეძოს ხაზს და ფეხებსაც გრძელს აჩვენებს.

- რაც შეეხება ჩანთებს?

- დიდი ზომის ჩანთებია მოდური, არაგადატვირთული და არაპრიალა ტყავისგან შეკერილი.

- როგორი საცურაო კოსტიუმებით უნდა მოინონონ თავი წელს გოგონებმა?

- არ მომწონს ჭრელი, იმიტაციებიანი კოსტიუმები. ვეფხვებიან და ყვავილებიან საცურაო კოსტიუმებზე მეცინება. ძირითადად სადა კოსტიუმები ჩაიცვით. მომწონს მთლიანი, ძველებური სტილის კოსტიუმები, მენჯის ხაზთან რომ ამოდის ჭრილი, გრძელ ფეხს აჩვენებს.

- ალბათ, ჩვენ მკითხველს დააინტერესებს, რა ღირს ბრენდი, ირაკლი ნასიძე?

- ასე გამიჭირდება თქმა, გააჩნია მოდელის სირთულეს და ცუდად თუ არ გამიგებს მკითხველი, ჩემს ხასიათს. პირველ რიგში ქსოვილი უნდა იყოს ხარისხიანი. ზოგადად ერთი ღირებულება არ აქვს ჩემს ნამუშევრებს. არასდროს მითქვამს, რომ ამაზე ნაკლებად ან მეტად არ შევკერავ. ჩემთან არ დადის ყველანაირი ტიპის მომხმარებელი. ჩემთან დადიან ისინი, ვისაც მოსწონს ჩემი სტილი და ვინც მენდობა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვანაირად ვუდგები თითოეულს. ჩემთვის მთავარი არ არის თანხა. შეიძლება ადამიანს რაღაც მომენტში გაუგო და საჩუქრადაც გაუკეთო კაბა, ან მოდელი გაამარტივო, თუ მეტი ფული არ აქვს, რომ გული არ დაწყვიტო.

- ეჭვი მაქვს, ხვალ შენს სალონთან რიგი დადგება.

- სალონი არ მაქვს. თამუნა ინგოროყვასთან ვმუშაობ კონსტრუქტორად. პირად შეკვეთებს სახლში ვიღებ. ზოგჯერ ხდება ასეც, მოდის მომხმარებელი და მეუბნება, ამდენი მაქვს და ამ ბიუჯეტით რა შეგიძლია შემიკეროო. ვცდილობ არავის დავწყვიტო გული და გამოსავალი ვიპოვო.

- და ბოლოს, ბანკეტის სეზონია, რას ურჩევ გოგონებს, როგორ ჩაიცვან ამ დღეს?

- არ მესმის ამ ასაკში გოგონებს რატომ არ აქვთ ჩამოყალიბებული გემოვნება და მშობლები რატომ ერევიან მათი ჩაცმის სტილში? ტვინს ურევენ ბავშვებს. არ მომწონს ბანკეტზე „ნაშურად“ ჩაცმული გოგონები. დამიჯერეთ, არც ერთ კაცს არ მოსწონს ამ ასაკში ასე ჩაცმული გოგო. უმჯობესია ჩაიცვათ ფიგურის გათვალისწინებით, არ გადატვირთოთ სახე მაკიაჟით და არ ახვიდეთ ისეთ პლატფორმაზე, რომელზეც ცეკვა კი არა, სიარულიც არ შეგიძლიათ. არაა აუცილებელი კაბა, რომელშიც ზედმეტად ჩანს მკერდი, ზურგი, ზედმეტად მოკლე კაბასაც ნუ ჩაიცვამთ, „ოსკარის“ კაბებს ნუ დაამსგავსებთ საბანკეტო კაბებს.

„განსაკუთრებით უგემოვნოდ ჩაცმულ ქალბატონებს რომ ვხედავ, აზარტი მიჩნდება, გავალამაზო გემოვნებიანი სამოსით“

ქალაქის მ

my View

ნინო მჭედლიშვილი

26 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად გამოპრანჭული პოლიტელიტის ნაწილი, დიზაინერების (და არამხოლოდ მათი) კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. განსაკუთრებული აქცენტი შაბიამნისფერ კოსტიუმებზე გაკეთდა, რომელსაც უპირატესობა ოთხმა ქალბატონმა მიანიჭა. მათ შორის იყვნენ, ეკა ბესელია და ქალაქის მერის მეუღლე, თიკა თინიკაშვილი.

ჩვენ თიკას კოსტიუმის ავტორის ვინაობა გავარკვიეთ. როგორც აღმოჩნდა, მერის მეუღლის სამოსი დიზაინერმა, თინათინ მაღალაშვილმა შექმნა. ქალბატონ თინას, სალონში ვესტუმრეთ და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ.

- თინათინ, დიდი ხანია, ქალაქის მერის მეუღლე თქვენი მომხმარებელია?

- თიკა შარშან გავიცანი, ზაფხულში, „ბერი ანდრიას ფონდის სახლის“ პრეზენტაცია გავაკეთეთ დიღომში. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ეს არის სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა სახლი, სადაც მძიმე თერაპიის შემდეგ, რეაბილიტაციას გადიან ასეთი ბავშვები.

ჩვენ ამ ფონდის მეგობრები ვართ და ვცდილობთ ამ ფონდთან რაც შეიძლება მეტი ადამიანი დავამეგობროთ. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა თიკამ ჩემზე, უშუალოა ურთიერთობაში, ჩემთან რომ მოდის, არ არსებობს არ მოიკითხოს ჩემი პერსონალი, არ მიესალმოს, არ დაემშვიდობოს, მადლობა არ გადაუხადოს. ეს არ არის შეძენილი, ეს ადამიანის ბუნებიდან მოდის, ასე მგონია. ჩვენი პირველი თანამშრომლობა იყო მაისის შუა რიცხვებში, როცა მოვიდა და მთხოვა, ოფიციალური მიღებისთვის შემექმნა მისთვის კაბა. ძალიან ლამაზი კაბა შევუკერე. ეცვა, თუმცა წვიმიანი დღე იყო, მოსასხამი არ გაუხდია და შესაბამისად, კაბაც არავის მოხვედრია თვალში. ის კაბა რომ ყოფილიყო პირველი,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერის მეუღლის დიზაინერი კრიტიკოსებს პასუხობს

„ყველას რომ მოსწონდეს ჩემი სტილი, ყველა ჩემთან შეიკერავდა ტანსაცმელს და ჩემზე მდიდარი დიზაინერი არავინ იქნებოდა საქართველოში...“

EXCLUSIVE

„მივწერე თიკას, თუ გინდა გავაკეთებ კომენტარს-მეთქი. არ არის საჭირო, ხალხი მაინც ილაპარაკებს, ნარმანიას ცოლს ყოველთვის მოუნახავენ სალაპარაკოსო, მომწერა“

„ჩემი, როგორც დიზაინერის შეცდომა ის იყო, რომ კატეგორიულად მომეთხოვა, არ დაეხურა შლაპა“

ასეთი აჟიოტაჟი მეორე კოსტიუმზე აღარ ატყდებოდა. მეორე ვიზიტი ჩემთან 26 მაისისთვის ჰქონდა. მითხრა, რომ უნდოდა რაღაც ლამაზი, გამორჩეული. დაათვალიერა ჩემი კოლექცია და ნახა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართულ ხაზს ვატარებთ. ეროვნული პრინტებით, ქართული ჩოხის ელემენტებით ვაკეთებთ კოლექციებს, რაც ძალიან პოპულარულია ჩვენთან. ასეთი კოლექციები ძალიან მალე იყიდება.

- საზოგადოების დიდმა ნაწილმა ქილიკი დაიწყო თქვენ მიერ შექმნილ სამოსზე...

- მართალი გითხრათ, იმდენი დრო არ მაქვს სოციალური ქსელში კომენტარები ვიკითხო და მით უმეტეს ვწერო. მაგრამ ჩემამდე მოვიდა ერთი კომენტარი, რამაც ძალიან მატკინა გული. ეს კოსტიუმი ქართული ჩოხის შეურაცხყოფაა, უთქვამთ. 2011 წელს, 26 მაისს საპატიო ყარაულის ახალი უნიფორმა სწორედ ჩემი შექმნილი იყო. ოთხი წლის განმავლობაში საპატიო ყარაული სიამაყით ატარებს ამ ფორმას. მაშინ არავის უთქვამს, რომ პირველი ქართული უნიფორმა თინათინ მაღლაშვილმა გააკეთა, ან ის, რომ ეს ფორმა ქართული ჩოხის შეურაცხყოფა იყო. უცხოეთიდან ჩამოსულ დიპლომატებს ჩემი უნიფორმებით ხვდებოდნენ და ვიცინოდით კიდეც, რომ ყოველ წელს, 26 მაისს, თინათინ მაღლაშვილის ჩვენება იმართება... გულსატკენია, როცა ქართულ საზოგადოებას ასე მოსწონს თავისი კულტურა და ამ დროს ტრადიციულ დეტალებს კოსტიუმზე სასაცილოდ იგდებს... სუხიშვილებმა გააახალგაზრდავეს ქართული ცეკვა, უძველესი ქართული სიმღერების რემიქსები გაკეთდა, რატომ არ შეიძლება ჩოხის ელემენტები გამოვიყენოთ თანამედროვე სამოსში? მართალია, „სამოსელ პირველს“ უჭირავს ეს ეროვნული ხაზი, მაგრამ რაც ჩვენ გავაკეთეთ „ბოდის სახლში“, ქართული ცეკვა, ქორეოგრაფია გადავიტანეთ სამოსზე, „სამაიას“ პრინტი გადავიტანეთ ქსოვილზე. კოლექცია მთლიანად გაიყიდა. ანალოგიური მოხდა ბელორუსიაში, როდესაც ეს კოლექცია წარვადგინე, სიმღერის „შენ ბიჭო ანაგურელო“ რიმეიქის ფონზე გამოვიტანე სამოსი, ანსამბლის „სამება“ შესრულებით. მქონდა ასეთი კონცეფცია, „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, რომელიც ჩვენ გვიყვარს და დღემდე ვაფასებთ“. ამიტომ მიკვირს, როცა საქართველოში ამ ტენდენციას იწუნებენ. შეიძლება ვიღაცამ ეს ძველმოდურად ჩათვალოს, მათ მე ვერ დავეთანხმები.

- თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ ჩოხის ელემენტებმა გამოიწვია ქილიკი საზოგადოებაში?

- პრობლემა იყო ფერიც. ესეც გამკვირვებია. 2015 წლის მსოფლიოს მოდის ტოპ ათეულში, მეორე პოზიციას იკავებს სწორედ ეს ფერი. ალბათ, ამიტომაც დაემთხვა ამდენი ერთი ფერის სამოსი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე. მარტო თიკას რომ სცმოდა შაბიამნისფერი კოსტიუმი, ვფიქრობ, ამხელა აჟიოტაჟი არ ატყდებოდა, მაგრამ ოთხ დიპლომატ ქალბატონს ეცვა ერთი და იგივე ფერი. არ ვიცი როგორ დაემთხვა, მაგრამ, ალბათ, ყველა დანარჩენს ეცვა შავი, შესაბამისად, გამოჩნდნენ ისინი ვისაც არ ეცვათ შავი. ზოგადად არ მივესალმები იმ ტენდენციას, რომ პოლიტიკოსებს მხოლოდ შავი, მუქი ლურჯი ან ნაცრისფერი უნდა ეცვათ. ასეთ დროს კომუნიზმის ეპოქა მახსენდება, როცა ყველას ერთნაირად ეცვათ, ძალიან ოფიციალურად და ზედმეტად მკაცრად, ქალსაც და კაცსაც.

„გულსატკენია, როცა ქართულ საზოგადოებას ასე მოსწონს თავისი კულტურა და ამ დროს ტრადიციულ დეტალებს კოსტიუმზე სასაცილოდ იგდებს...“

„ეს სკანდალი, გარკვეული დოზით, მაგალითი იქნება ჩემთვის, თუმცა ვერ შეგპირდებით, რომ შავებში გამოვაწყობ პოლიტიკოსებს“

- თიკას კოსტიუმის ესკიზი როგორ შეიქმნა, ფერი და სტილი თავად შეურჩიეთ?

- მე, პირველ რიგში, კლიენტის მოთხოვნებს ვიგებ. თიკას უნდოდა ჟილეტი და შარვალი, არაოფიციალური ნაწილისთვის. ეს უნდა ყოფილიყო სეირნობა მოედანზე და შემდეგ „ყვავილების ფესტივალზე“. მართალი გითხრათ, არასდროს ვყოფილვარ 26 მაისის აღლუმზე, შეიძლება ჩემდა სამარცხვინოდ, მაგრამ ამ დროს ყოველთვის ძალიან ბევრი საქმე მაქვს ხოლმე და ვერ ვახერხებ დღესასწაულზე დასწრებას. ამდენად, რას მოითხოვს კონკრეტულად ამ დღესასწაულის ეტიკეტი, არ ვიცი. ამის მერე აუცილებლად დავაკვირდები, თუმცა არ შევთავაზებ მუქ ფერს ასეთ დღესასწაულზე არც პოლიტიკოსს. ვერ მივხვდი, რატომ გამოიწვია ფერმა ამხელა აგრესია. ალბათ, მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში, ისეთი, რომ დიდი აგრესია მოდის მთავრობის ხალხზე, მათი ოჯახის წევრებზე...

- ფერი რა კავშირშია სოციალურ ფონთან?

- ფერი არაფერში. უბრალოდ, ხელმოსაჭიდი მიზეზი აღმოჩნდა მთავრობის ოჯახის წევრების გასაკრიტიკებლად. მე რამდენიმე ფერი შევთავაზე თიკას: ცისფერი, შაბიამნისფერი, იასამნისფერი. ღია ფირუზისფერი თავად ამოირჩია. ეს მისი საყვარელი ფერია და სხვათა შორის ჩემიც. და, მინდა გითხრათ, რომ არც ამ სკანდალის შემდეგ შევიცვლი გემოვნებას. დიდხანს ვყოყმანობდით შლაპაზე, გაგვეკეთებინა თუ არა. უბრალოდ, თიკა ახლადნამშობიარებია, სულ რაღაც სამი თვის და დიდხანს მზის გულზე მისი ყოფნა არ შეიძლება. საქართველოში სუფთა თეთრი შლაპა ვერ ვიშოვნეთ. ჩემი, როგორც დიზაინერის შეცდომა ის იყო, რომ კატეგორიულად მომეთხოვა, არ დაეხურა შლაპა. ზედმეტი იყო, მეც როგორც დიზაინერს ეს თვალში ცუდად მომხვდებოდა. უბრალოდ, აუცილებელი იყო, ალბათ.

- თვითონ თიკა კმაყოფილი იყო? ამ აჟიოტაჟის მერე თუ ესაუბრეთ ერთმანეთს?

- პირველივე დღეს, როგორც კი ატყდა ამბავი, ძალიან შეეწუხდი. რასაც ვაკეთებ, მთელი პასუხისმგებლობით ვაკეთებ და როცა ჩემ გამო ადამიანი ასეთ მდგომარეობაში ვარდება, რა მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სარჩულის გამო თუ დიზაინერის გამო, ძალიან ვღელავ. მივწერე თიკას, თუ გინდა გავაკეთებ კომენტარს-მეთქი. არ არის საჭირო, ხალხი მაინც ილაპარაკებს, ნარმანიას ცოლს ყოველთვის მოუნახავენ სალაპარაკოსო, მომწერა. მაშინ, ოფიციალური ნაწილისთვის კაბა რომ შეგიკერე, იმის ფოტო მომეცი, ორივეს დავდებ ჩემს გვერდზე სოციალური ქსელში და განმარტებას გავაკეთებ-მეთქი შევთავაზე. ამაზეც უარი მითხრა.

- ამ კაბის ფოტო არ არსებობს?

- სამწუხაროდ, არა. თიკამ მითხრა, სულ უცხო ადამიანები მოდიოდნენ და კომპლიმენტებს მეუბნებოდნენო. ძალიან ლამაზი შავი კაბა შევუკერეთ ნაქარგებით. ასე რომ, ჩვენ ვიცით რა უნდა გავაკეთოთ, ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილისთვის. ყველგან შავის ჩაცმა არ შეიძლება, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

- სხვა დროს თუ ჩავარდნილხართ მსგავს სიტუაციაში, თავის მართლების პოზიციაში?

- არ ვიმართლებ თავს.

- მაგრამ გინევთ...

- არც მიწევს. ყველას რომ მოსწონდეს ჩემი სტილი, ყველა ჩემთან შეიკერავდა ტანსაცმელს და ჩემზე მდიდარი დიზაინერი არავინ იქნებოდა საქართველოში. მე ვაგებ პასუხს ჩემს ნამუშევარზე. თიკამ მომწერა, პოლიტიკურ ორომტრიალში გაგხვიეო. ეს მის ადამიანობაზე მეტყველებს. ამ წუთას თიკაზე, როგორც ადამიანზე ვლაპარაკობ და არა როგორც მერის მეუღლეზე. ძალიან ვაფასებ ადამიანში მის პიროვნებას, ღირსებებს. მე მასზე ვნერვიულობდი, ის - ჩემზე. ესაა ურთიერთგაგება. 8 წლის განმავლობაში უამრავი ნამუშევარი მაქვს შექმნილი, ძალიან ბევრ ღონისძიებაზე ვარ მიწვეული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ყოველთვის გაფაციცებით ველოდები კრიტიკას, მინდა გავიგო, რა არ მოეწონათ. ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის საჭიროა განვითარებისთვის. ეს სკანდალი გარკვეული დოზით მაგალითი იქნება ჩემთვის, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვერ შეგპირდებით, რომ შავებში გამოვაწყობ პოლიტიკოსებს. გავითვალისწინებ იმას, რომ ხალხი საქართველოში ზედმეტად კრიტიკული, ზედმეტად პოლიტიზირებულია და ჩემს ფანტაზიას ცოტა ფრთები უნდა მოვაჭრა. მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც ჯანსაღად გამაკრიტიკა და ახსნა, რომ შლაპა ნამდვილად არ იყო საჭირო.

- როგორ ფიქრობთ, როგორ გაგრძელდება თქვენი და თიკას თანამშრომლობა?

- ვფიქრობ, გაგრძელდება. თიკამ გააკეთა კომენტარი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში იმავე სამოსს ჩაიცვამს. ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი, კმაყოფილი მომხმარებელი.

- კიდევ რომელი ცნობილი ქალბატონები იმოსებიან თქვენთან?

- ნათია სუხიაშვილი, თამთა დემურიშვილი, მაია ბარათაშვილი, თამარ მაყაშვილი, ნინი შერმადინი (როცა საქართველოში იყო), არაერთი პროკურორი, რომელი ერთი დაგისახელოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ფრუიძე - „

my View
თამარ გონგაძე

გიორგი ფრუიძე 13 წლისაა, ერთ-ერთი ყველაზე პატარა კონკურსანტი „X ფაქტორში“. ძალიან დამოუკიდებელია. მარტომ მიიღო პროექტში მონაწილეობის გადანყვეტილება, ქუთაისიდან ჩამოვიდა, წარმატებას მიაღწია და დედაქალაქში დამოუკიდებლად მოძრაობს. დედასთან ერთად ცხოვრობს, თუმცა ყველგან მარტო დადის, ეს რეპეტიცია იქნება თუ ინტერვიუები. შეხვედრაზე დედას რომ შევუთანხმდი, მითხრა, მარტო მოვა, ეგ ყველგან უჩემოდ დადისო. მახსოვს ემოცია, როდესაც „X ფაქტორის“ ქასთინგის ჩაწერას დავესწარი და გიორგიმ „We Are The World“ შეასრულა. მოზარდის მიერ შესრულებულმა ამ უბერებელმა ჰიტურმა სიმღერამ დარბაზს უდიდესი მუხტით გადაურბინა. ჟიური ფეხზე ააყენა და მხურვალე აპლოდისმენტების თანხლებით შეაგება. პროექტში ამ დონემდე მისვლას არ ელოდა, დედაქალაქში „გუდიანები“ და „აუები“ ცხოვრობდნენ ეგონა. დღეს წარმოდგენა შეეცვალა და ოცნება, ცნობილ ადამიანებთან დაემყარებინა ურთიერთობა, აიხდინა.

გიორგი ფრუიძე:

- ქუთაისი ყველაფერია ჩემთვის. უზომოდ მიყვარს, ახლობლები, საყვარელი მეგობრები - ყველა იქ ცხოვრობს. მამაქალაქად მივიჩნევ. მე როგორი ვარ? ბავშვობიდან ასეთი - მეგობრული, შემიძლია ყველა ასაკის ადამიანთან დავამყარო კონტაქტი. არ მიყვარს სახლში გამოკეტილობა. კონტაქტური ადამიანი ვარ. ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა. მყავს 21 წლის ძმა. მეგობრული ძმები ვართ. მას ხმა მუტაციის პერიოდში გაუფუჭდა. პროფესიულ სცენაზე არ უმღერია, თუმცა სახლში მღეროდა.

- შენ რა ასაკიდან მღერი?

- სულ ვმღეროდი, სახლში იქნებოდა თუ გარეთ. მიყვარდა სახლში კარაოკეს სიმღერა. დავდიოდი ხალხური სიმღერის ანსამბლში - „იმერელი ბიჭები“, სოლო პარტიებს ვმღეროდი. ქუთაისში ვმართავდით კონცერტებს. სცენაზე მარტო გამოსვლის გამოცდილება არ მქონია. ზურგს უკან გუნდის სახით ცოცხალ კედელს ვიყავი მიჩვეული და ქასთინგის დროს სცენაზე მარტო რომ აღმოვჩნდი, თავი უხერხულად ვიგრძენი.

- პროექტში როგორ აღმჩნდი?

- ქასთინგზე სკოლიდან ისე მივედი, რომ ჩემთან სახლში არავინ არაფერი იცოდა. თუ ვერ გადავიდოდი, ისედაც ვერავინ გაიგებდა. მინდოდა წარმატებისთვის დამოუკიდებლად მიმეღწია, ჩემი შესაძლებლობები წარმომეჩინა, ეს ყველას გაეგო. აქამდე ასაკის გამო ამ პროექტში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მეძლეოდა. გავხდი თუ არა 13 წლის, პროექტში მონაწილეობის მიღებაც გადავწყვიტე. მახსოვს, მანანა მორჩილაძის შეფასება, მოვეწონე. მაგრამ როგორც გუნდში სიმღერას მიჩვეულს არ მქონდა გრძნობით სავსე სახე და მიმიკები, ხესავით ვიდექი. ახლა უკვე სცენაზე ხესავით არ ვდგავარ. ყველანაირი ნერვიულობა მეხსნება. იქ სულ სხვა სამყაროში ვარ. თითქმის არაფერზე ვფიქრობ და სიმღერაც გამომდის. დიდად არ ვღელავ ხოლმე. გამოვტყდები - არ ველოდი ასეთ წარმატებებს თუ მივაღწევდი და აქამდე მოვიდოდი. ხალხის ჩემდამი დამოკიდებულება ძალიან მსიამოვნებს. ეს დიდ სტიმულს მაძლევს. ვისაც ჩემი სჯერა და უნდა რომ წარმატებას მივაღწიო, ვცდილობ, ჩემი ნამღერით იმედები არ გავუცრუო. ცნობადობას უარყოფითი არაფერი მოჰყოლია. ჩემ მიმართ ყველა დადებითად არის განწყობილი.

„სცენაზე მარტო გამოსვლის გამოცდილება არ მქონია. ზურგს უკან გუნდის სახით ცოცხალ კედელს ვიყავი მიჩვეული და ქასთინგის დროს სცენაზე მარტო რომ აღმოვჩნდი, თავი უხერხულად ვიგრძენი“

„ცნობილ ზედა ფენას გავეცანი და მივხვდი, რომ ცხვირაწეული ვერაფერს მივაღწევ“

„თუ ახლა დავტოვებ პროექტს, ამით არაფერი დამაკლდება. მე აქ დიდი გამოცდილება უკვე მივიღე“

- კონკურენცია როგორია?

- არ მეგონა ამ პროექტში ასეთი მეგობრული სიტუაცია თუ იქნებოდა. მენტორებიც ჩვენი მეგობრები არიან. ჩვენ კატეგორიაში ერთმანეთის გაგდება არც ერთს არ გვინდა. ერთმანეთს ვამშვიდებთ და სტიმულს ვაძლევთ. უცხოა ისეთი დამოკიდებულება - იმან არ მაჯობოს და მე გადავასწროო. ასეთი ურთიერთობა არ იგრძნობა. სხვა კატეგორიებთანაც ვმეგობრობ. პროექტის გარეთაც ერთად ვართ. ვსეირნობთ, დროს ერთად ვატარებთ.

- შენს მენტორზე - ანრიზე რას იტყვი?

- მეგობრული ადამიანია, როგორც ბავშვებს ისე არ გვიყურებს, თავს გვიტოლებს, სალაპარაკო ენას ყველასთან გამონახავს ხოლმე. ჩვენთან რბილად საუბრობს, არ უხეშობს. არ არის მკაცრი. ბავშვები და ანრი ერთმანეთს კარგად ვუგებთ. მისი, როგორც მომღერლის სტილი მომწონს. იმიჯით ბევრს არ ჰგავს, არ არის მოსაწყენი და ეს მომწონს.

- რა რჩევას გაძლევს?

- ვინაიდან სცენას სიმსუქნე არ უხდება, მეუბნება, რომ წონაში დასაკლები ვარ, ხარ თუ არა დიეტაზეო - მკითხა. მართალიც არის, თუ გინდა სცენაზე გამოსვლა, აღნაგობაზეც უნდა იზრუნო. არც ის არის დანაშაული, რომ პუტკუნა ვარ. ახლა დიეტას ვიცავ, 6 საათის მერე არ ვვახშმობ და ბევრ რამეს აღარ გეახლებით. ცომეული საერთოდ ამოვიღე რაციონიდან. რეპეტიციებიდან დაღლილი მივდივარ და ჭამა არც მახსენდება. ანრი გვარიგებს, მთავარია, ხალხის კეთილგანწყობა და არა პროექტის გამარჯვებულობაო. კეთილგანწყობა მართლა მნიშვნელოვანია. ხალხს შენდამი სიყვარული და ყურადღება უნდა დაუფასო.

- სკოლაში არ დადიხარ, ცნობილ ადამიანებთან კონტაქტობ, დიდ სცენაზე მღერი - გრძნობ, რომ ზღაპარში ხარ?

- დიახ, ეს ძალიან სასიამოვნოა. სულ მინდოდა, რომ ცნობილ ადამიანებთან მეკონტაქტა. კლასელები გვერდით მიდგანან, ორშაბათობით ჩამოდიან. სკოლა და ჩემი ქალაქი მხარში მიდგას. მეც ვახერხებ ჩასვლას და საკონტროლო წერის დაწერას. მე ამ პროექტისგან მივიღე ის, რაც მინდოდა, ხალხის სიყვარული, გამოცდილება, დიდ სცენაზე სიმღერა. ადამიანი ხომ გადის სხვადასხვა ცხოვრებისეულ ეტაპებს. მე ცნობილ ზედა ფენას გავეცანი და მივხვდი, რომ ცხვირაწეული ვერაფერს მივაღწევ. ვარსკვლავები არ ყოფილან თავაწეულები. ქუთაისიდან რომ ჩამოვედი, პირველად აქ ყველა მოსარიდებელი, საშიში მეგონა. გადაღებაზე ჩამოსულებისგან უხეშობას ველოდი. ამ დროს პირიქით - თბილი ხალხი ჩამოვიდა. გასაოცარი კი ჩემთვის ის იყო, რომ ჯერ პროექტში მოვხვდი, მერე ათეულში გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მკიდია ბავშვი“ ვარ!“

EXCLUSIVE

„სკოლა და ჩემი ქალაქი მხარში მიდგას. მეც ვახერხებ ჩასვლას და საკონტროლო წერის დაწერას“

„თუ გინდა სცენაზე გამოსვლა, აღნაგობაზეც უნდა იზრუნო. არც ის არის დანაშაული, რომ პუტკუნა ვარ. ახლა დიეტას ვიცავ, 6 საათის მერე არ ვვახშმობ და ბევრ რამეს აღარ გეახლებით. ცომეული საერთოდ ამოვიღე რაციონიდან“

„მინდოდა წარმატებისთვის დამოუკიდებლად მიმელწია, ჩემი შესაძლებლობები წარმომეჩინა, ეს ყველას გაეგო“

დავედი და ახლა უკვე სამეულში ვარ. თუ ახლა დავტოვებ პროექტს, ამით არაფერი დამაკლდება. მე აქ დიდი გამოცდილება უკვე მივიღე. გავაკეთე ის, რაც მინდოდა და ამიერიდან ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. სიმღერა ჩემთვის ყველაფერია. როგორც გითხარით, სულ მემღერება.

დედა

„We are the world“ - როგორც ამბობს, ეს სიმღერა იმიტომ აარჩია, რომ მისი გადაკეთება ადვილია.

„როდესაც ამ სიმღერას ვუსმენდი, მისი გადაკეთების იდეები ყოველთვის მებადებოდა და გადავაკეთე კიდეც. ვფიქრობ, ჟიურის სხორედ ეს ახალი ვერსია მოეწონა და გადაირია. დედას ჩემი ნამღერი თავიდან ბოლომდე მოსმენილი არასდროს ჰქონდა, არც სხვას. სახლში მარტო დარჩენილი ვმღეროდი ხოლმე. ვინმე თუ შემომისწრებდა, ფონოგრამას მაშინვე გამოვრთავდი და ვწყვეტდი სიმღერას. ახლა უკვე მომეხსნა ეს სირცხვილის შეგრძნება. სხვათა შორის, ოთხ კაცში სიმღერა უფრო მერიდება, ვიდრე - სცენაზე. დედა ფიქრობდა, რომ ჩემი ამ პროექტში მისვლა კრახით დასრულდებოდა. მაგრამ - არა“.

მამა

„მამა რომ დაიღუპა, ექვსი წლის ვიყავი. მახსოვს, რომ იყო თბილი ადამიანი. მისი დიდი დამსახურებაა, რომ მე ასეთი გახსნილი ადამიანი და მის მსგავსად თბილი ვარ. კიდევ ვთვლი, რომ დედას ჩემთვის ზედმეტი რომ გაეკეთებინა, მე აქამდე ვერ მოვიდოდი. მიყვარს დამოუკიდებლად ყველაფრის კეთება. არ მიყვარს სხვისი ჩარევა. დამოუკიდებლობითა და ჯინიანობით დღეს ბევრ რამეს მივაღწიე. მე რომ შებოჭილი ვყოფილიყავი, პროექტში დამოუკიდებლად მისვლას ვერ გავბედავდი. ახლა კი მინდა ჩემი წარმატებით ჩემი ქალაქი გავახარო.

- გამარჯვება გინდა?

- ამის თვითმიზანი არ მაქვს. უხეშად ვიტყვი - „მკიდია ბავშვი“ ვარ. როდესაც ანრიმ ჩემი ზოდიაქოს ნიშანი გაიგო (თევზები ვარ) თქვა, „მკიდია“ ხარო. ცუდის დავიწყება ადვილად მჩვევია.

პოპულარობა

- გოგონები გააქტიურდნენ?

- კი, გააქტიურდნენ, მაგრამ ამ სიტუაციაში გააქტიურება არ არის უულწრფელი. რადგან მე „იქს ფაქტორის“ კონკურსანტი ვარ, ამიტომაც იპრანჭებიან. ბევრი ნაცნობი „სიაფანდი“ გახდა. მანამდე მეგობრობა არ უნდოდათ და რახან პროექტში ვარ, ამ ვითომ მაგრებს ახლა უკვე ჩემთან უნდათ კონტაქტი. ეს სხვებისგანაც მსმენია, სხვა კატეგორიების კონკურსანტებისგან. როდესაც ვიღაც „გეტენება“, არ არის ლამაზი. დაუფიქრებლები არიან, შეცდომებს უშვებენ. დამღლელია უცნობ გოგონებთან ტელეფონზე საუბარი, პასუხის გაცემა. არადა, თავიდან მიხაროდა.

- პოპულარულს როგორი თვისება არ გინდა გქონდეს?

- ცხვირაწეული არ ვიქნები. ვიქნები მეგობრული. რაც არ უნდა მაგარი მომღერალი იყო, მაღალი რანგის, პიროვნულად ცივი და თავში ავარდნილი თუ ხარ, ხალხის სიყვარულს ვერ მოიპოვებ.

- შენი საყვარელი მომღერალი?

- ჯეისი ჯეის ვოკალზე ვაფანატებ. მინდა მივემსგავსო. მაგარ მელიზმებს აკეთებს, დიდი დიაპაზონი აქვს. ადელიც მიყვარს. მინდა მეც მივაღწიო დიდ წარმატებას, მაგრამ საქართველო ამის საშუალებას არ მაძლევს. ჯერ პატარა ვარ, გარდატეხის ასაკი მეწყება. გაჩერებით არ გავჩერდები, უბრალოდ, არ უნდა ვიმღერო ის სიმღერები, როგორსაც ახლა ვმღერი. ერთ წელიწადში შესვენება მომინევს. ყველა ნოტს, რაც მინდა, ვერ ავიღებ, მაგრამ მე კიდევ მეტი მინდა. არადა, ბიჭს მეტი შესაძლებლობა არ აქვს. მე მაინც მინდა.

- მომღერალმა იოკამ მასტერკლასი ჩაგიტარათ, რა დაგამახსოვრდა მისგან?

- დიახ, თავისი კონცერტის დღეს ჩაგვიტარა მასტერკლასი. სასტუმროში ვნახეთ. მოგვცა რჩევები, სავარჯიშოები გვასწავლა, გვიმღერა. წარმატების მიღწევის საიდუმლოება გაგვანდო. უნდა იყოთ ახალი ადამიანების აღმოჩენით დაინტერესებულიო. მომწონს ახალი სახეები წარმატებას რომ აღწევენო...

- როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- არ ჰქონდა „თავში ავარდნილი“, იყო მეგობრული. თავმდაბალი ადამიანი ჩანს.

- თბილისი როგორია შენი - ქუთაისელი ბიჭის თვალით?

- ყურადღებიანი და თბილი ხალხი ცხოვრობს თბილისში. ტრანსპორტში მესაუბრებიან, სითბოს გამოხატავენ. მეც არ მინდა მათ იმედი გავუცრუო.

- ახლო მომავლის გეგმები როგორი გაქვს?

- თბილისში კონცერტებში მივიღებ მონაწილეობას. საქველმოქმედო კონცერტებში გვიწვევენ. აქტიური ცხოვრებით ცხოვრება ძალიან კარგია. ყოველთვის მინდოდა ასეთი ცხოვრება მქონოდა.

- ქუთაისში რომ დაბრუნდები რას გააკეთებ?

- სწავლას გავაგრძელებ, მერე ცოტას შევისვენებ და გარდატეხის ასაკი რომ ჩაივლის, ისევ აქტიურად ავმღერდები. მინდა მუტაციის შემდეგ დიდი დიაპაზონი მქონდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანანა ნიკოლაიშვილი: „უპასუხისმგებლოდ ჩატარებული საატესტატო გამოცდები არაფრისმომტანია და მხოლოდ მოსწავლე და მისი ოჯახი „იჭყლიტება“

ნელი თორდია

2015 წლის საატესტატო გამოცდები, რომელზეც 44 000-ზე მეტი მოსწავლე იყო დარეგისტრირებული, საქართველოს 1600-მდე სკოლაში ჩატარდა. გამოცდების შედეგად, მეთორმეტეკლასელთა 5%-ზე მეტი ატესტატის გარეშე დარჩა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსწავლეებს წელს განსაკუთრებით მათემატიკის, უცხო ენისა და რუსული ენის დაძლევა გაუჭირდათ. შედარებით უკეთესი შედეგებია ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ისტორიაში. საბოლოოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მოსწავლეთა 97.83%-მა გადალახა, მათემატიკაში – 93.66%-მა, ინგლისურში – 93.92%-მა, ისტორიაში – 98.76%-მა, რუსულში – 86.68%-მა, გერმანულში – 90.77%-მა და ფრანგულში – 84.35%-მა. 2015 წლის საატესტატო გამოცდების მიმდინარეობასა და შედეგებზე საკუთარი მოსაზრების გაზიარება „განათლების ლიგის“ პრეზიდენტსა და განათლების ექსპერტს მანანა ნიკოლაიშვილს ვთხოვეთ:



– წინა ხელისუფლებიდან მოყოლებული, რაც მახსოვს, საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილების რაოდენობა სულ 5%-ია, ანუ თითო საგანზე თითო პროცენტი. არ მახსენდება, რომ შაშკინს ჩაჭრილების რაოდენობაზე საუბრისას 5%-ზე მეტი ეხსენებინოს. „ისინიც“ და „ესენიც“ 5%-ს გამოცდაზე გასული ბავშვების რაოდენობიდან ანგარიშობენ, მაგრამ არავინ ახსენებს იმ ბავშვებს, რომლებიც გამოცდებზე არ დაუშვეს. წინა ხელისუფლება უატესტატოდ დარჩენილი ბავშვების რაოდენობას საგულდაგულოდ მალავდა, თუმცა იმ სკოლის დირექტორების მიმართ, რომელიც საატესტატო გამოცდებზე დაბალ შედეგებს აჩვენებდა, გარკვეულ სანქციებს აწესებდა. შაშკინი ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ დირექტორს ხსნიდა და ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. როცა სკოლა გამოცდებზე ცუდ შედეგებს აჩვენებს, დირექციასა და მასწავლებლებს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცდების ჩატარებას არავითარი აზრი არ აქვს. გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ამ ხელისუფლებამაც იგივე უნდა გააკეთოს და საერთოდ, გამოცდები ცოტა სხვა რამეა... ერთსაათიანი აბიტტური მოსწავლის გამოცდისთვის მოსამზადებლად საკმარისი არაა. მათემატიკა და ისტორია 5-დან მე-12 კლასის ჩათვლით ბარდება, გეოგრაფია მე-5-დან მე-11 კლასის ჩათვლით, ქიმია მე-7-დან მე-11 კლასის ჩათვლით, ინგლისური, ფიზიკა, ბიოლოგია... წარმოუდგენელია, რომ ასეთ მცირე დროში გაიარო ეს უზარმაზარი პროგრამები. ამიტომ ან აბიტტურის საათები უნდა გაიზარდოს, ან მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა უნდა დაიწყოს.

– დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს გულისხმობთ?

– დღეს მოსწავლეების 60-70% მასწავლებლის ინდივიდუალური მუშაობა სჭირდება. კი ბატონო, არიან ბავშვები, რომლებმაც თავის დროზე ისწავლეს და საგაკვეთილო პროცესში სრულად ჯდებიან, მაგრამ ასეთი მოსწავლე ძალიან ცოტაა და უმეტესობას დამატებითი მეცადინეობა სჭირდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, დაქვეითებული ათვისების უნარის მქონე, ინკლუზიურთან მიახლოებული ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ დამატებით მეცადინეობას. იმისთვის, რომ სკოლამ მოსწავლე საატესტატო გამოცდისთვის მოამზადოს და კონკურენტუნარიანი ცოდნა მისცეს, აუცილებელია დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც ყველა ქვეყანაში ანაზღაურებადია.

– მოსწავლეების უმეტესობა არც იმ ერთსაათიან აბიტტურზე დადის, რადგან მასწავლებლებთან დადიან და აბიტტური არაფერში სჭირდებათ.

– იმიტომ არ დადიან, რომ ის დრო არაფრისთვის საკმარისი არაა. ერთი საათი გინდ ყოფილა და გინდ არა და ამის ჩატარებისთვის გამოყოფილი ფული ნყალში გადაყრილი ფულია. გონივრულად რომ დაეგეგმათ, მაშინ ყველა ივლიდა. დღევანდელ მოცემულობაში, საჭიროა მასწავლებლის ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეთა მცირე ჯგუფებთანაც კი. იმისთვის, რომ მოსწავლეები არ ჩაგვეჭრან და გამოცდებისა და ზოგადად, განათლების დონემ აიწიოს, თითოეულ სკოლას თავისი საჭიროებებიდან გამომდინარე, უნდა მიეცეს დამატებითი თანხები. ყველა სკოლამ იცის, რამდენი ბავშვი ამთავრებს მომავალ წელს სკოლას და რამდენს სჭირდება დამატებით მეცადინეობა. ეს უნდა დაიანგარიშონ და როცა ბიუჯეტი დაიგეგმება, სამინისტროს მიანოდონ. მოგეხსენებათ, ბაზარზე რა ფასებია. მშობელი იმაზე ათჯერ და ოცჯერ მეტს იხდის, ვიდრე მასწავლებლის დამატებითი ანაზღაურება იქნება.

სამაგიეროდ, ყველა მოგებული დარჩება. სახელმწიფო გაძლიერდება, რადგან არ ეყოლება გამოცდაზე ჩაჭრილი და დაუსაქმებელი ახალგაზრდა, რომელმაც არ იცის, ენერგია რაში დახარჯოს. ატესტატის გარეშე ვერც სნავლას იწყებს, ვერც მუშაობას და ხან იარაღს კიდებს ხელს, ხან ნარკოტიკს და ხან კაზინოებში დაბოდიალობს.

„DPM-Group-ი“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალს - „SUMMER BEATS-ს“ აწყობს

მუსიკალური ფესტივალების მოყვარულებს „DPM-Group-ი“ სასიამოვნო საღამოებსა და სიურპრიზებს სთავაზობს. ელექტრონული მუსიკის ფესტივალს სახელწოდებით „SUMMER BEATS“ „ჯინო-პარკი“ 5-6 ივნისს უმასპინძლებს. ფესტივალზე სლოგანით - „MAKE LOVE GEORGIA“ დაუკრავენ ამერიკელი და მოსკოველი დიჯეები. ფესტივალზე საკუთარ ტრეკებს შეასრულებენ ცნობილი ქართველი დიჯეებიც. 5 ივნისს წარმოდგენილი იქნება მუსიკოსი - DANTE, 6 ივნისს კი - PHONIQUE.

„საქართველოში, სადაც ტურიზმის განვითარება პრიორიტეტთა ნუსხაში პირველ ადგილზეა, ისეთი არტისტების ჩამოყვანა, რომლებიც მსოფლიო ჩარტებში მოწინავე ადგილზე არიან - ამ დარგის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. დაეხმარება ქართველ შემსრულებლებს, არტისტებსა და მუსიკოსებს საერთაშორისო ბაზრებზე გასვლაშიც. DPM-ის მიზანია ქართველი არტისტების გამოვლენა და საერთაშორისო ფესტივალებზე წარმოდგენა, აგრეთვე, თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობების დამკვიდრება, ახალი ქართველი არტისტებისა თუ შემსრულებლების აღმოჩენა, საერთაშორისო ბაზარზე მათი კომერციალიზაცია“, - აცხადებს „DPM GROUP-ის“ გენერალური მენეჯერი - ლელა წიკლაური.

„DPM GROUP“-ი წარმოადგენს ამერიკულ კომპანიას, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული მუსიკის ფესტივალებს მართავს. კომპანია მაღალი ნდობით სარგებლობს საერთაშორისო დონის არტისტების Production Company-სთან. „DPM COMPANY-ის“ ინიციატივით და დახმარებით საქართველოში უკვე იმყოფებოდნენ მსოფლიოში აღიარებული არტისტები: CHRIS LAKE. OLIVER NELSON. TIVI NOISE. „DPM COMPANY“ შვილობილ კომპანიასთან ერთად საქართველოში „ჯინო - პარკის“ პარტნიორი ხდება. ფესტივალების ლოკაციის ადგილი სწორედ „ჯინო-პარკი“ იქნება, სადაც ასეთი ტიპის ღონისძიებებისთვის ამოუწურავი შესაძლებლობები არსებობს. მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში.

„ჩვენ ვგეგმავთ „ჯინო-პარკის“ ტერიტორიაზე საქართველოს მოსახლეობას, და არა მარტო მათ (კავკასიის რეგიონი), შევთავაზოთ მუსიკალური ფესტივალები. ამჯერად დაგეგმილია 5-6 ივნისი, სადაც 15 000-მდე ადამიანს ველოდებით. დაგეგმილია კიდევ 4 ღონისძიება. ეტაპობრივად გაიზრდება ფესტივალების მასშტაბებიც“, - აღნიშნავს კომპანიის გენერალური მენეჯერი.

ბილეთების შეძენა შესაძლებელია მცხეთის ქუჩის №17-ში, აგრეთვე, პირველად საქართველოში, მომხმარებელს შეეძლება ისარგებლოს სახლში მიტანის სერვისით. ბილეთების აგრეთვე იყიდება biletebi.ge-ზე. დისტანციური შეკვეთის განსახორციელებლად, ან დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე - 577055505.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტარიელ სუარისა და გია ყანჩელის ტანდემი

my View
თამარ გონგაძე

27 მაისს მუსიკოსმა და გიტარისტმა ტარიელ სუარმა თავის საღამოზე მიგვიწვია და თავის შემოქმედებას საკმაოდ ლამაზ გარემოში გვაზიარა. მუსიკოსი თავის „შეშლილ გიტარას“ (როგორც მისმა მეუღლემ, ია ფარულავამ უწოდა) ეროვნული ბიბლიოთეკის წარმტაც დარბაზში უკრავდა. ტარიელმა ორი წლის წინ გია ყანჩელის მუსიკა გატარაზე გადაიტანა. თავდაპირველად 60 ნაწარმოები, შემდეგ გაანახევრა. საკმაოდ სასიამოვნო სიახლეა ყანჩელის კლასიკურ გიტარაზე მოსმენა. ცნობილი მელოდიების ჰანგები სხვა ჟღერადობით საამო თავბრუს გახვევს. ამას გიტარისტის განსაკუთრებული ემოციურობა

ია ფარულავა: „ტარიელს მხოლოდ მე კი არა, სრულიად საქართველო უნდა სცემდეს პატივს. არც ჩვენ გვყავს მისი მსგავსი მუსიკოსი და არც მეზობელ ქვეყნებს. ის მსოფლიო დონეა, ხელის გულზე უნდა ვატაროთ და მისი ყველა ხუშტური ავიტანოთ“

და ინსტრუმენტისადმი განსხვავებული მიდგომა ერთვის და თქვენ მოჯადოებული უსმენთ სუარს. მუსიკოსის განსაკუთრებული მოთხოვნა სამარისებური სიჩუმეა. თავდაპირველად ეს კონდიციონერის ხმამ დარღვია, შემდეგ ღია ფანჯრიდან შემოსულმა ქუჩის ხმაურმა, მოგვიანებით კი ბუნებრივი ხელისშემშლელი ფაქტორებიც გაჩნდა - ჩიტები თავგამოდებით აჭიკჭიკდნენ და ბოლოს გაზაფხულის შხაპუნა წვიმაც წამოვიდა, რომლის ხმა ბიბლიოთეკის მინის სახურავიდან განსაკუთრებულად ხმაურით ისმის. თუმცა ამას ხელი მსმენელისთვის არ შეუშლია. პირიქით, დამსწრე პუბლიკამ დიდი სიამოვნება მივიღეთ. პირველად მოვისმინე ტარიელ სუარი, დაბრაზში კი იყვნენ ისეთები, რომლებმაც იცოდნენ მისი შემოქმედება და აგერ უკვე მერამდენედ ტკბებოდნენ „შეშლილი გიტარით“. საღამოს ორგანიზება თავის თავზე აიღო ია ფარულავამ და თავიც მშვენივრად გაართვა. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ საღამო გახსნილად გამოაცხადა და სცენაზე მეუღლე იხმო. ტარიელმა კი გია ყანჩელის მუსიკით სხვადასხვა ემოცია მოგვგვარა.

საღამოს შემდეგ დამსწრე სტუმრებს შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ. მათ შორის კლასიკური გიტარის რაინდს, პროფესორს - გოგი ცაგარეიშვილს.

გოგი ცაგარეიშვილი:

- კლასიკური გიტარა ცოცხლობს, ვითარდება. იამ „შეშლილი გიტარა“ ახსენა. მაღალ ნიჭიერებას შეშლილობა ახლავს თან. დღეს განსაკუთრებით დახვეწილ და კარგ ხასიათზე იყო ტარიელი. ეს მუსიკაზე აისახა. იმპულსი საზოგადოებიდან მოდიოდა და ის ამას გრძნობდა. მუსიკოსსა და დარბაზს შორის კარგი კომუნიკაცია დამყარდა. ყანჩელი - არანჟირებული გიტარაზე - ეს არის პირველი პრეცედენტი. მაღალი ოსტატობით არის გაკეთებული. გიტარის ყველა შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა გამოყენებული თავისი ესპანური ილეთით - რაზგიანდოთი. ბგერათა პალიტრამ აბსოლუტურად ახალი ხიბლი შემატა ბატონი გია ყანჩელის მუსიკას. ამას თვითონ მაესტროც აღიარებს.

გოგი ცაგარეიშვილი: „ბგერათა პალიტრამ აბსოლუტურად ახალი ხიბლი შემატა ბატონი გია ყანჩელის მუსიკას. ამას თვითონ მაესტროც აღიარებს“

ია ფარულავა:

- ტარიელი ამ მელოდიას უკრავდა საათის წიკწიკის ქვეშ და დიდი ბრძოლა გაიმართა დროსა და ტარიელის მუსიკას შორის. ეს არის ძალიან ძლიერი და მძიმე მუსიკა, ურთულესი და ამ დროს ფილოსოფიური.

ტარიელ სუარი:

- ძალიან ვნერვილობდი კონცერტის წინ. ეს არის ჩემი პირველი კონცერტი, რომელსაც პატრიარქის კურთხევით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვუძღვნი. ევროპასა და საქართველოში ჩემი კონცერტები ამ თემას მიეძღვნება. მე და ბატონი გია ერთად ვმუშაობდით ამ ნაწარმოებებზე. ეს დიდი პატივია ჩემთვის.

მერაბ ფიფია:

- ემოციურად უკრავს. ღრმად. მთლიანად მუსიკაშია და ეს მსმენელისთვის გადამდებია. ყანჩელის გიტარაზე გადატანამ კარგი შედეგი მოიტანა.

ბუკა კარტოზია:

- მაღალი დონის მუსიკოსია და სამწუხაროა, რომ მას საქართველოში დიდი აუდიტორია არ იცნობს. ეს ჩვენი ბრალია, რომ მას სათანადოდ არ ვაპიარებთ. ყანჩელის მინიატურებიდან რომელიმეს გამოყოფა მიჭირს. თუმცა მე პირველი კომპოზიით - „ტირილის შემდეგ“ ძალიან ვისიამოვნე.

გიული ალასანია:

- ერთ ფესტივალზე მოსმენილი მქონდა ტარიელი, მაგრამ ასე მთელი საღამო არა. კმაყოფილი დავრჩი. მე ვიცი, ტარიელს რეპერტუარი ფართო აქვს. დღეს მხოლოდ ნაწილი წარმოადგინა. ვფიქრობ, ის დიდი მუსიკოსია.

დალი ჩიტალაძე:

- ღრმა და სერიოზული მუსიკოსია. რაც ია და ტარიელი შეუღლდნენ, მე მას შემდეგ ვუსმენ მას - სახლში, პრივატულად. თითქმის არც ერთი კონცერტი არ გამომიტოვებია. გია ყანჩელი ჩემი ყველაზე საყვარელი კომპოზიტორია. მისი აუღერება გიტარაზე ახალი და საინტერესოა. ეს კამერული, ინტიმური მუსიკაა, სიღრმისეულად უნდა მოსმენა, უფრო ჩაბნელებულ გარემოში... ნამდვილი მუსიკოსია. ია და ტარიელი პლუს-მინუსია, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულნი. ეს ორი შემოქმედი ერთმანეთს ავსებს. კარგი ტანდემია, იას პროდიუსერის ფუნქცია კარგად გამოსდის.

ბუკა კარტოზია: „მაღალი დონის მუსიკოსია და სამწუხაროა, რომ მას საქართველოში დიდი აუდიტორია არ იცნობს“

ია ფარულავა:

- ბრწყინვალე საღამო იყო. ღელავდა? კონცერტის წინ ყველა მუსიკოსი ღელავს. ეს იყო პრეზენტაცია. მიხარია, რომ ბრწყინვალედ ჩაიარა.

- პროდიუსერის რანგში როგორ გრძნობთ თავს?

- მე პროდიუსერი არ ვარ. პატივს ვცემ მის შემოქმედებას, ნიჭიერებას და გვერდით ვუდგავარ. ტარიელს მხოლოდ მე კი არა, სრულიად საქართველო უნდა სცემდეს პატივს. არც ჩვენ გვყავს მისი მსგავსი მუსიკოსი და არც მეზობელ ქვეყნებს. ტარიელი მსოფლიო დონეა, ხელის გულზე უნდა ვატაროთ და მისი ყველა ხუშტური ავიტანოთ.

- რომელი კომპოზიცია გიყვართ მისი შესრულებით?

- მე ტარიელის შესრულებით ბახი მიყვარს. მიყვარს ყანჩელი, მაგრამ ბახი სულ სხვაა. სულ სხვა ასტორპიაცოლა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N21 (322) ორშაბათი, 1 ივნისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

exclusive

ნინა სუბლათი: „ვერც პოლიტიკამ დაგვხია უკან და ვერც ფინანსებმა“

ვინ არის ეკა ნიჟარაძის ახალი სიყვარული

exclusive

„ყველას ეგ ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ჯერ არ გათხოვილა“

ტარიელ სუარისა და გია ყანჩელის ტანდემი

„ეს არის ჩემი პირველი კონცერტი, რომელსაც პატრიარქის კურთხევით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვუძღვნი“

exclusive

ტრადიციული საქველმოქმედო კონცერტი დიდ ბრიტანეთის ქართული სათვისტომოსგან

exclusive

გიორგი ფრუიძე - „მკიდია ბავშვი“ ვარ!“

„სცენაზე მარტო გამოსვლის გამოცდილება არ მქონია. ზურგს უკან გუნდის სახით ცოცხალ კედელს ვიყავი მიჩვეული და ქასთინგის დროს სცენაზე მარტო რომ აღმოვჩნდი, თავი უხერხულად ვიგრძენი“

exclusive

თაკო გაჩეჩილაძე - „როგორც exclusive იქნა დამინახეს და უარყოფითი არაფერი უთქვამთ, ალილუია“

„ჩემი, როგორც დიზაინერის შეცდომა ის იყო, რომ კატეგორიულად მომეთხოვა, არ დაეხურა შლაპა“

exclusive

ქალაქის მერის მეუღლის დიზაინერი კრიტიკოსებს პასუხობს

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება